

ქრისტეშობის სახელმწიფო

ქართული სტამბის წიგნი

სტამბისტიკურ-ისტორიული ნაკრები

სახელმწიფო გამომცემლობა

1934



ქართული სტამბის წიგნი

პრისტავრობა რაჭველითვილი

ქართული
სტამბის
წიგნი
წიგნი
წიგნი

2 - 33, 20
61
88
112

1934. 22/11

ქართული სტამბის წიგნი

სტატისტიკურ-ისტორიული ნაკვეთი

10849

სტამბის წიგნი
სტამბის წიგნი
სტამბის წიგნი



სტამბის წიგნი
3978 წიგნი (გვ. 11) 1934, 10/11

002 (999.621)

რ. 33—ქ.

ტექრედაქტორი ვ. გორგაძე
კორექტორი გ. ციციშვილი
გამომშვები ს. ლორთქიფანიძე
მთავლ. რწმ. № ა—876

შეკვ. № 26

გადაეცა წარმ. 1/XI 33 წ.
ხელმოწ. დასაბ. 27/XII 33 წ.
სტ. ქალ. 62×94
ნ. რაოდ. სასტ. ფ. 47500

ტირაჟი 3.000

პარტგამომცემლობის სტამბა, ლენინის ქუჩა № 3.

წინასიტყვაობა

ქართული წიგნის სრული პროდუქციის ციფრობრივად გამორკვევა თუმცა ფრიად საინტერესო და მადლიანი, მაგრამ უძაღვესი საქმეცაა. ამიტომ ამ წიგნს, ცხადია, ბევრი ნაკლი ექნება.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე წიგნი უფრო სტატისტიკური ნაწკვევია, ვიდრე ისტორიული. მაგრამ მე ვცდილობდი შეძლებისამებრ გამეცხოველებინა მშრალი ციფრები, თუმცა თავისთავადაც ეს ციფრები მრავლისმეტყველია.

ამ წიგნისათვის მასალების შესაკრებად მე კარგა ხნის განმავლობაში ვმუშაობდი საქართველოს ცენტრარქივში. ცნობები ამოვკრიბე კაკასაის საცენზურო კომიტეტის წლიური ანგარიშებიდან, აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის ტფილისის კომიტეტის საქმეებიდან. არქივში, სამწუხაროდ, საცენზ. კომიტეტის ყველა წლიური ანგარიში არ მოიპოვება. ამიტომ მე მომიხდა გადათვლიერება მეფისნაცვლის კანცელარიის საერთო ნაწილის საქმეებისა, ზოგჯერ სასწავლო ოლქის მზრუნველის საქმეებისაც და სხვა. მეორე მხრით, ცხადია, საცენზ. კომიტეტის მიერ ნებადართული ყველა წიგნი როდი იბეჭდებოდა. ამიტომ იძულებული ვიყავი წლიური ანგარიშების ცნობათა კონტროლი მომეხდინა სტამბების ცნობათა საშუალებით. საქმე ისაა, რომ სტამბები უზგავნიდენ საცენზ. კომიტეტს ცნობას თითოეული დაბეჭდილი წიგნის შესახებ და ღებულობდენ სანებართვო ბარათებს. ამ სანებართვო ბარათებით შევამოწმე ქართული სტამბის წიგნის პროდუქცია თითოეული წლისათვის. ასე რომ საბოლოო ციფრები ზუსტად უნდა ჩაითვალოს.

ზემოთქმულა შეეხება მე-19 და 20 საუკუნეს 1917 წლის რევოლუციამდე. ხოლო ცნობები 1629—1818 წლებში დაბეჭდილი წიგნების შესახებ ამოღებულია იმ კატალოგიდან, რომელიც შედგენილია საქ. მუზეუმის თანამშრომლების ქრისტინე შარაშიძის და ქეთ. ლომთაძის მიერ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი მათ. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე წიგნის პალატის გამგის მოადგილეს მაქსიმე ბერძნიშვილს და ვ. ჯოჯუას, რომელთაც საბჭოთა პერიოდის წიგნის პროდუქციის შესახებ ძირითადი ცნობები მომაწოდეს.

დანარჩენი წყაროები და ლიტერატურა დასახელებულია წიგნის ბოლოში.

შესავალი

წიგნის ბეჭდვის გამოგონება უდიდესი რევოლუცია იყო კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში. ხელნაწერთან შედარებით ბეჭდვა იგივე იყო, რაც დარიუსის დროის სპარსული ფოსტა — ტელეგრაფთან, ხოლო ამ უკანასკნელთან შედარებით — რადიო. ტყუილად როდი უწოდებდნენ წიგნის ბეჭდვას უურო ღვთაებრივს, ვიდრე კაცობრივ გამოგონებას. ძველად ქართო ერთი პატარა ათენის სახელმწიფოს ასამოძრავებლად ასი ორატორი მანც იყო საჭირო. ახლა ერთი გამოჩენილი პირის ნათქვამი მეორე დღის დილიდანვე მილიონობით ვრცელდება, მთელ ერს ეფინება თეთრ ქალაქზე შავად აღბეჭდილი. წიგნი, წინათ მარტოოდენ რჩეულთა ხვედრი, ბეჭდვის გამოგონებით მასობრივი გახდა და ადამიანთა ურთიერთობის გაძლიერების, აზროვნების სოციალიზაციის უდიდეს იარაღად იქცა.

„დაბეჭდვა“ უძველესი დროიდანვე არსებობდა, მაგრამ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. დაბეჭდვა და ბეჭდვა ერქვა რაიმე იურიდიული ხასიათის ქალაქის დადასტურებას, იმას, რასაც ახლა „ბეჭდის დაკვრას“ ვუწოდებთ. ეს იყო უმთავრესად ინიციალები ან მთელი გვარი იმ პირისა, ვინც ამ საბუთს ამტკიცებდა, ე. ი. ხელმოწერა. თუ ამნაირ ბეჭედს თვალი ჰქონდა, „თვალედი ბეჭედი“ ეწოდებოდა. მას ჩვეულებრივად თითზე იკიდებდნენ და იმ მობრტყელებულ მხარეს, სადაც წარწერა იყო, — პირი ერქვა; ხოლო როდესაც ბეჭედს სხვა დანიშნულებაც მიეცა — საბუთების დადასტურებელი ბეჭდის სახელწოდებად „საბეჭდავი თვალი“ (ან ბეჭედი) შემოვიდა ¹⁾. სწორედ აქ მართლდება, სხვათა შორის, სპენსერის თქმა: თითქმის ყველა ის საგანი, რომელიც ახლა ადამიანს სამკაულად აქვს, თავდაპირველად პრაქტიკულად სანმარი იყო.

მაგრამ გუტენბერგამდე ჩვენ საქმე გვაქვს პატარ-პატარა წარწერებთან ან, ყოველ შემთხვევაში, უძრავ ასოებთან. ბეჭედი, გრავიურული ბეჭდვის წესი, შემდგომ ქსილოგრაფია (ხეზე ამოჭრილის გადაღება) და საბეჭდი დაზგა მოძრავი ასოებით — აი ბეჭდვის განვითარების გზა. ქსილოგრაფიული წესით ბეჭდვა ძნელიც იყო და ძვირიც. მისით მხოლოდ პატარ-პატარა წიგნაკების გამოცემა შეიძლებოდა. იგი, ცხადია, ბევრად ჩამოუვარდებოდა იმ ძვირფას ხელნაწერებს, რომელთა შექმნა სასახლოდ ითვლებოდა ყოველი კულტურული ადამიანისათვის. და აი, აქ გვევლინება გუტენბერგის გენიალურა გონება.

¹⁾ იხ. ამის შესახებ ჰ. როფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“. ტფ. 1926 წ. გვ. 70—71.

დაყარეთ მიწაზე მთელი ლათინური ანბანის ასოები, ოქროს ან სხვა რაიმე მასალისაგან გამოჭრილი. განა გაბედავს ვინმე იმათგანი, ვინც ქვეყნიერების შემთხვევითობას ამტკიცებს, თქვას: ეს ასოები შეიძლება ისე დაცვივდეს, რომ ენიუსის ანალების რომელიმე ხანა გამოვიდეს? ასე ეკამათებოდა ციცირონი თავის მოწინააღმდეგეებს. იგი ბრმასავით, მხოლოდ ხელების ცეცებით შეეხო იმ გამოგონებას, რომელმაც მხოლოდ 15 საუკუნის შემდეგ, გუტენბერგის გენიალური გონების და დაუცხრომელი მეცადინეობი ზ ჰპოვა განხორციელება.

დიად, ცალცალკე ასოებისაგან გამოვიდა არა მარტო ერთი ხანა, არამედ მთელი პოემები, წიგნები! ახალი გამოგონება ფრიად დროული იყო და სწორედ ამიტომ სწრაფად გავრცელდა. არის გადმოცემა, რომ ბექდვა გამოიგონა, გუტენბერგზე სრულიად დამოუკიდებლად, მისმავე თანამედროვე კოსტერმა ც. ჩანს, საჭიროება დიდი იყო და კვლავ მართლდება გიოტეს დიადი თქმა: თითოეული ეპოქის ადამიანები ერთნაირივე აზრებისა და მისწრაფებების წარმომადგენელი არიან. ამიტომ ბუნებრივია, რომ ერთდამთავრად დროს სხვადასხვა პირი ერთნაირ გამოგონებას მისწვდება; ეს სწორედ ისევე, როგორადაც სხვადასხვა ბალში წლის ერთდამთავრად დროს ხეებს ერთდამთავრად ხილდს ცვივაო.

ვიწ იყო გუტენბერგი? იგი დაიბადა მაინცში. დაბადების წელი გამოურკვეველია, მაგრამ გვაქვს ერთი ფაქტი: 1436 წ. გუტენბერგი უკვე ცნობილი იყო სტრასბურგში. ამიტომ სავსებით სარწმუნოდ შეიძლება მიღებულ იქნას დაბადების წლად ის დრო, რომელიც მეცნიერებამ ჰიპოთეზად წამოაყენა — 1397 წელი.

გუტენბერგი იძულებული იყო მაშინდელი გერმანიის პოლიტიკური ამბების გამრ მშობლიურ ქალაქს მოჰმორებოდა. სტრასბურგში მან შეისწავლა რამდენიმე ხელობა; რადგან ვაჭირვებას განიცდიდა. მან ყურადღება მიაქცია ქსილოგრაფიული წესით დაბეჭდილ წიგნებს და ამ საქმით მალე ძალიან დაინტერესდა. მან გამოიგონა პრესი, რომლის შემწეობითაც ფიცარზე აპოჭრილი ტექსტი — ქალღმერთზე ბევრად უფრო სწრაფად, სუფთად და თანაბრად იბეჭდებოდა, ვიდრე ტყავის ლილვაკის დაჭერით. გარდა ამისა, პრესი საშუალებას იძლეოდა ებეჭდნათ ქალღმერთის ორივე მხარეს. მუშაობის დროს გუტენბერგი დარწმუნდა, რომ საქმე გამარტივდებოდა, თუ მთელი გვერდის მაგივრად სტრიქონებს დაბეჭდავდა. ალბათ ამას მოჰყვა ასოთა დაშლა-დაჭრა. ამნაირად მივიდა გუტენბერგი მოძრავი ასოების გამოგონებამდე.

მაგრამ ხის ასოებს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: შეუძლებელი იყო ასოები სავსებით თანაბარი ყოფილიყო და, მეორე მხრით, მალე ცვდებოდა, იმტვრეოდა. ამან აფიქრებინა გუტენბერგს გაეკეთებინა ლითონის ასოები. მაგრამ ლითონისაგან ასოების გამოჭრა დიდ დახელოვნებას მოითხოვდა და თანაც ძვირი იყო. გუტენბერგი ხარჯებს არ მოერიდა და ერთ იუველირს 100 გულდენად ლითონის ასოები გააკეთებინა. ეს იყო საქმის დავერგვინება.

DITTONARIO GIORGIANO E ITALIANO.

COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R. P. D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARII
della Sagra Congregazione de Pro-
paganda Fide.



IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
C I D D C X X I X.

CON LICENZA DE' SVPERIORI.

პაოლინი. ქართულ-იტალიური ლექსიკონი. თავფურცელი
იტალიურ ენაზე. რომი. 1629 წ. (დაპატარავებულია).

ვიდრე სტამბას მოაწყობდა, გუტენბერგს ბევრი გაჭირვება გადახდა. ბოლოს, 1450 წლის 22 აგვისტოს მან შეიამხანაგა მაინცელი მდიდარი მოქალაქე ფუსტი და სტამბაც გახსნა. პირველი წიგნი, რომელიც გუტენბერგმა დაბეჭდა — ეს იყო დაბადება (ბიბლია). მისი ბეჭდვა დაიწყო 1452 წელს და მოთავდა 1455 წ. იგი შეიცავდა 1282 გვერდს, in folio. თითოეული გვერდი შესდგებოდა ორი სვეტისაგან.

როგორც აღვნიშნეთ, სტამბები მთელ ევროპას სწრაფად მოედო. უკვე 1470 წელს სტამბები არსებობდა გერმანიის, ჰოლანდიის და იტალიის ბევრ ქალაქში. მესტამბეები ძალიან პატივცემულნი იყვნენ და მათ ყველგან დიდი სიხარულით ხვდებოდნენ, როგორც უძვირფასეს სტუმრებს. საქართველოში სტამბის წიგნს თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ გაეცნენ, როდესაც შორეულ იტალიაში, საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების საჭიროებისათვის — ქ. რომს დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი. ეს იყო სტეფანე პაოლინის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, გამოცემული 1629 წელს. საინტერესოა, რომ რუსეთშიაც სტამბა (მოსკოვს) დაარსდა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ გუტენბერგის გამოგონების დროიდან (1564 წ.). პირველი რუსული წიგნიც ისევე, როგორც ქართული, უცხოეთს, ქ. პრაგაში დაიბეჭდა (ფსალმუნი და ბიბლია) 1517 წელს. უცხოეთს გაიმართა პირველი სომხური სტამბაც, სახელდობრ 1565 წელს — ვენეციაში, შემდეგ კი — რომს (1584). საინტერესოა აგრეთვე აღვნიშნოს, რომ მე-17 საუკუნეში, ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოცემის 66 წლის შემდეგ, რომშივე გამოვიდა ეპისკოპოს ასტვაწათურის მიერ შედგენილი „Lexicon latinoarmenicum“ (1695 წ.).

პირველი ქართული წიგნი და სტამბა

წიგნი და მწიგნობრობა საქართველოში ძველადგანვე საკმაოდ განვითარებული იყო. სიტყვას „წიგნი“ წინათ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და აღნიშნავდა საერთოდ ნაწერს, უმთავრესად კი დოკუმენტებს. მთვარისა და მზის წაჩხუბების ხალხურ ლექსში ნათქვამია:

დაჯდა და წიგნი დაწერა,
ზენა ქარი მიაოთმევსა.

საბუთებო და ისტორიული ძეგლებიც წიგნად იწოდებოდა: „წიგნი მეფისაჲ“, „თარხნობის წიგნი“, „ნასყიდობის წიგნი“, „ანდერძის წიგნი“, „წიგნი ქართლისა მოქცევისა“ და სხვა. იურიდიულ საბუთებშიაც იგივე ტერმინი ხშირად გვხვდება: „თეიმურაზ და თანამეცხედრემა ჩუენმა, დედოფალთ დედოფალმა, პატრონმა ხვარაშან... მტკიცე და შეუცვალებელი საფიცრის წიგნი გიბოძეთ“¹⁾. „პატრონმან გიორგი... ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ“²⁾ და სხვა.

საკუთრად წიგნის (არა დოკუმენტების) კულტურა საქართველოში ძალიან დიდი იყო. არსებობდენ საგანგებო გადამწერლები, რომელთა ხელობასაც მხოლოდ წიგნთა გამომწევა წარმოადგენდა. წიგნის გადაწერა საკმაოდ ძვირად ჯდებოდა. გამქლეობისთვის მას უფრო ხშირად წერდენ ხბოს ტყავზე (ეტრატზე). არსებობდა სამწიგნობროები — „სახლი მწიგნობართა“, „წიგნის-საცავი — სახლი საწიგნე“. ყველა კულტურულ ოჯახში იყო „საწიგნე“ — საგანგებო ადგილი³⁾. საყურადღებოა, რომ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვა: „ხარტოფილაქსი — ბერძულად წიგნების-მნე“⁴⁾. ჩანს, საქართველოში ასეთი თანამდებობის პირნიც ყოფილან და ეს სიტყვაც ქართველ მოწინავე საზოგადოებაში, ალბათ, გავრცელებული იქნებოდა. რაკი წიგნის შექმნა ძნელი საქმე იყო, იგი თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ცხადია, იკი ისე უნდა მოეკაზმათ, რომ ადვილად არ გაფუჭებულყო. მას უკეთებდენ „ყდას“ — „წიგნის საგვერდულს“, ხშირად ოქრო-ვარცხლითა და ძვირფასი თვლებით მოჭედდის. ძვირფასად შეკაზმული წიგნის მზითვად გატანება ხომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მოხდებოდა ხოლმე, რომ მტრის

¹⁾ „საქართველოს სიძველენი“, ტ. III. № 562, გვ. 541.

²⁾ იქვე, № 558, გვ. 537.

³⁾ საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ — პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. აკ. შანიძის რედაქციით. გამომც. „ქართული წიგნი“ — 1928 წ.

⁴⁾ იქვე.

შემოსევის დროს ადამიანებთან ერთად წიგნებსაც გაიტაცებდნენ (თუ არ გაანადგურებდნენ). ასეთ წიგნებს „დატყვევებულს“ ან „წარტყვევნილს“ უწოდებდნენ, ხშირადვე გამოისყიდებდნენ, „დაიხსნიდნენ“ ტყვეობიდან: „მას ეამსა, როდეს მეფე ბატონი სუიმონ ურუმთაგან დატყუევდა და ჩუენ ხუანთაქართანა ელჩად წავედით და ეს წიგნი დატყვევებული ვიპოვნეთ და დაეიხსენით და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურადო“ — ვკითხულობთ ერთერთი ხელნაწერის (1569 წლისა) მინაწერში¹⁾.

წიგნის უპატივცემულობა დასაძრახისი და შეუგნებლობის მაჩვენებელი საქმე იყო. ამ ძხრივ საინტერესოა ხალხური ლექსი, რომელიც პოეტ კონსტანტინე ჭიჭინაძეს გაუფონია რაჭა-ლეჩხუმში.

სვანეთს ქალი გავათხოვე, ზილფოსან და კაოსანი;
შესატყვევად გავატანე ჩემი „ვეფხვის-ტყაოსანი“.
ჩკითხეა და ვერაჲ იცნეს, ოადგან იყენენ სვანოსანნი...
ავადე და წამოვიდე ჩემი „ვეფხვის-ტყაოსანი“.

აქ ურთიერთ ბრძოლის ნიადაგზე აღჩენილი სიბრაზის გარდა, ნათლად გამოჰქვივის ქედმაღლურად დამოკიდებულება და დაცინვა იმათდამი, ვინც წიგნის და პეზიის ფასი არ იცის.

ბოთოეულ წიგნს ჰქონდა „ზანდუჯი“ (სარჩევი) და „ანდერძი“, რომელშიაც მოყვანილი იყო ხოლმე ავტორის ვინაობა და ხშირად ჩამოთვლილი იყო მისი სხვა ნაშრომებიც²⁾. ანდერძში იხსენიებდნენ თავის თავს აგრეთვე გადამწერელნი და ასახელებდნენ შემკვეთს, თუ წიგნს საკუთარი ინიციატივით არ გადაწერდნენ. ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ გადამწერი ამბობს: „ღმერთო და ყოველნო წმიდანო მისნო... გვებრძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა... ვითარცა ძალ-გვეუდვა ვილუაწეთ, დალაცათუ ნალუაწი ესე უნდო უშუერ არს, არამედ შენდობა იყავნ ყოველთაგან“³⁾.

რასაკვირველია, გადამწერის დროს მოსალოდნელი იყო „ცთომილებაჲ“, „დაკლება“ ან „შემატება“. ამიტომ საჭირო ხდებოდა დედანთან მისი შედარება. ამას ერქვა „შეწამებაჲ“, „შემოწმებაჲ“ და „განძართვაჲ“. შიომღვიმის 978 წლის ხელნაწერში ვკითხულობთ: „ღირს ვიქმენ მე უღირსი და ცოდვილი საბა დაწერად ხელითა ამითა... გულსმოდგინედ ვიხარკე, რათა უკთოქელად დავწერო და კუალად შევაწამე და... ყოველივე ვაემართეო“⁴⁾. „წიგნისა სიმართლისათვის იქვ ნუ ვის გაქუს—პირველ დედაჲ მართალი და კარგისა მწერლისა დაწერილი მქონდა... და მერმე დიდ მოჭირვებით შემიმოწმებია“—სწერია.

¹⁾ პ. რ. ფ. ივ. ჯავახიშვილი — ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. ტფ. 1926 წ. გვ. 98.

²⁾ პ. რ. ფ. ივ. ჯავახიშვილი — ისტორიის მიხანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა—წ. I. 1916 წ. გვ. XXIX—XXX.

³⁾ იქვე, გვ. 258.

⁴⁾ თ. უორდანი. ქრონიკები, ტ. I, გვ. 123.

ALPHABETVM
IBERICVM,
SIVE GEORGIANVM,

CVM ORATIONE DOMINICALI
Salutatione Angelica, Symbolo Fidei,
Præceptis Decalogi, Ecclesiæ Sa-
cramentis, & Operibus
Misericordiæ.

Latina, & Iberica lingua compositis, & Cha-
ractère Georgiano impressis:

*Accesserunt Litanie B. V. eisdem lingua,
& characteribus Ibericis.*



ROMÆ, Typis Sac. Congr. de Propag. Fide, MDCXXIX.
SUPERIORVM FACULTATE.

ქართული ანბანი ლოცვებით. რომი. 1629 წ.
თავფურცელი ლათინურ ენაზე (ნამდვილი ზომა).

გელათის XII—XIII ს. სჯულის კანონის ხელნაწერის ანდერძში¹⁾. ამდენი შრომის გამო, საკვირველი როდილაა ერთი გადამწერის ჩივილი: „დიდნი ჭირნი ვნახე უცხოქელობისათვისო“²⁾.

ანდერძის დართვის ჩვეულება დიდხანს არსებობდა, მაშინაც კი, როდესაც წიგნები უკვე სტამბაში იბეჭდებოდა. თითქმის ყოველი ნაბეჭდი წიგნის თავსა ან ბოლოში მოხსენებულია ავტორი, წიგნის გამმართველი (რედაქტორი), თუ ასეთი იყო ვინმე და მბეჭდავი. „მე მოსამართლეთ უხუცესის ორბელის ძეს, ცოდვილს მღვდელ მონაზონს ნიკოლოზს მებრძანა წიგნების გასწორება... და ესე წმიდა სახარება დიდის ჭირითა ბერძენთა დაბეჭდილ სახარებითა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გავმართეო“, ვკითხულობთ ტფილისის სტამბაში პირველად დაბეჭდილი „სახარების“ მეოთხე გვერდზე.

წიგნები შედგებოდა რვეულებისაგან (ე. ი. რვა ფურცლისაგან) და პაგინაცია მხოლოდ რვეულებს ჰქონდა.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნის გადამწერა, მისი შეკაზმვა და სხვა—საკმაო ძვირად ჯდებოდა. ამის შესახებ ფრიად საინტერესო ცნობები აქვს პროფ. ივ. ჯავახიშვილს³⁾. გადამწერის შემდეგ წიგნი უნდა „შეემოსათ“ (აეკინძათ). ამიტომ „მწერალთა“ (გადამწერთა) გარდა იყვნენ „შემოსველნი“ ანუ „მმოსველნი“. ხშირად გადამწერი ამკინძველიც იყო. შემოსვის შემდეგ წიგნი უნდა გადაეცათ „მკაზმავის“ ანუ „მკაზმელისთვის“ ყდის ვსაკეთებლად. ყდები საუკეთესო კეთდებოდა და ხშირად ოქრო-ვერცხლით იყო მოჭედილი. წიგნის სათაურებსა და პირველ ფურცელზე „კამარას“ (заставка) ახატვინებდნენ ხოლმე.

ამ ხელობის მცოდნეს „კამარათა მწერელი“ ერქვა. ხშირი იყო წიგნის დასურათებაც, „ხატებით“ შემკობა. შეძლებული ხალხი სურათებსა და კამარებს უცხოეთიდან (უმთავრესად საბერძნეთიდან) იწერდა. ტბეთის 995 წლის სახარებაში სამოელ ეპისკოპოსი წერს: ვიპოვე ეს „ოთხთავი აღწერილი და შემკული ყოვლითა განგებულთა, ხოლო ნაკლულევან იყო ხატთა და კამარათაგან და გულს ვიდკინე დიდითა ხარკებითა და გამოვიხვენ ესე ხატნი და კამარანი საბერძნეთით, ქალაქით დიდით სამეფოთით და ჩაურთენ ამას წმიდას სახარებასა“.

წიგნის შემკვეთელს — მომგებელი ერქვა. შემკვეთელი, რასაკვირველია, ეძებდა კარგ გადამწერს და შორეულ სინას მთახედაც კი უთვლიდა—ესა და ეს წიგნები გადამიწერეო. ერთერთ თავის შემკვეთელს 984 წ. იოანე სინას მთიდან წერს: „...რომელი გებრძანა, დამიწერია. მარიამ მეგვიპეტელისაჲ არა ვპოვე. სხუად ვერაჲ ვიცოდე, რაჲმცა დავწერეო“.

მარტოოდნენ გადამწერაც ძვირად ჯდებოდა და, ცხადია, ყველანი ვერ მოახერხებდნენ სხვისთვის შეეკვეთნათ. ისინი იძულებულნი იყვნენ თითონ

¹⁾ პროფ. ივ. ჯავახიშვილი. პალეოგრაფია. გვ. 73.

²⁾ იქვე, გვ. 71.

³⁾ პროფ. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფ. 1907 წ. გვ. 41—45 და მისივე „პალეოგრაფია“.

CONIUGATIO VERBORVM.

37

ქიძებენ. *fastidiant*; გეგუღოძებ. *ghaghuhidà, fastidit*, *ფც.*

უ. Che finita.

მე ვილაპარაკებ. *me vilaparachè, ego loquor.*

შენ ილაპარაკებ. *scen ilaparachè, tu loqueris.*

იმან ილაპარაკებ. *iman ilaparachà, ille loquitur.*

ჩვენ ვილაპარაკებთ. *ciuen vilaparachoth, nos loquimur.*

თქვენ ილაპარაკებთ. *thcquen ilaparacheth, vos loquitimini.*

იმათ ილაპარაკებენ. *imath ilaparachen, illi loquuntur.*

შენ ილაპარაკებ. *scen ilaparachè, tu loquere*, *ფც.*

მე ვდაუბაძებ. *me vdauzachè, ego voco.*

შენ დაუბაძებ. *scen dauzachè, tu vocas.*

იმან დაუბაძებ. *iman dauzachà, ille vocat.*

ჩვენ ვდაუბაძებთ. *ciuen vdauzacheth, nos vocamus.*

თქვენ დაუბაძებთ. *thcquen dauzacherh, vos vocatis.*

იმათ დაუბაძებენ. *imath dauzachen, illi vocant.*

შენ დაუბაძებ. *scen dauzachè, tu voca*, *ფც.*

Finita syllaba მე. me.

მე ვჭამებ. *me vciamè, ego comedo.*

შენ ჭამებ. *scen ciamè, tu comedis.*

იმან ჭამებ. *iman ciamè, ille comedit.*

ჩვენ ჭამებთ. *ciuen ciamoth, nos comedimus.*

თქვენ ჭამებთ. *thcquen ciameth, vos comeditis.*

იმათ ჭამებენ. *imath ciamen, illi comedunt.*

ეკისრათ „უმეტრად ჩხრეკა“ (გადაწერა). „შემინდევით ლ-თისათვის უცხად და უმეტრად ჩხრეკისათვის. სხუაჲ ღონე არა მაქვნდა. საფასისგან გლახაკ კუალად ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდა და ლოცვა ყავით ჩემ უბადრუკისათვის“¹⁾.

წიგნი შეიძლება „დაშავებულ იყო“ ან „დაშლილი იყო“. მის აღდგენას და შეკეთებას „განახლება“ ერქვა, ხოლო დაშავებული ნაწერის განახლებას—გაცხოველება ეწოდებოდა. გადამწერლები ხშირად დიდ ფულს აკეთებდნენ. მათ საკუთარი ამქარი ჰყავდათ, რომელსაც „თაბუნი“ ერქვა და რომელიც შეკეთებს ღებულობდა „ტრფი-ალთა წიგნთაჲ“—გან (წიგნების მოყვარულთაგან). წიგნები, თავისი დანიშნულების ძიხედვით განიყოფებოდნენ შემდეგ დარგებად: „სალმრთო წიგნი“, „სამეცნიერო“, „საკითხავი“ და „საერო ანუ გარეშე“. სახლში სახმარ წიგნებს „საშინაონი“ ერქვათ, ხოლო პატარა ტანისა და თან სატარებლებს—„სათანაონი“.

დიდი ფეოდალების სასახლეებსა და მონასტრებში იყო ხოლმე, როგორც თავში მოვიხსენიეთ, „დიდი წიგნისსაცავები“. ათონის მონასტერში, პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით—სულ ცოტა 230 წიგნი მაინც ყოფილა, რაც იმ დროისათვის დიდ ციფრად უნდა ჩაითვალოს. დოდოს მონასტერს ჰქონია 217 წიგნი. ამ წიგნთსაცავების სიდიდე ჩვენთვის ცხადი ვახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რა მდგომარეობაში იყო ევროპის განათლების მაშინდელი ცენტრები, ბიბლიოთეკები, ვთქვათ, რომის პაპის წიგნთსაცავი. „ამ წიგნთსაცავის 1295 და 1311 წლების კატალოგებიდან ჩანს, რომ მას (პაპს) მე-XIII ს-ში სულ 750 წიგნი ჰქონია და ამ ხანში დასავლეთი ევროპის თითქმის უმდიდრესი წიგნთსაცავი ყოფილა. ამაივე დროს მას მხოლოდ ინგლისის კენტერბერის საყდრის წიგნთსაცავი თავის 700-მდე წიგნითურთ თუ შეედრებოდა. მაგრამ პარიზის სორბონის წიგნთსაცავი უკვე მათ მეტოქეობასაც უწევს და სჯობნის კიდევ. 1338 წ. კატალოგით სორბონის წიგნთსაცავს 1720 წიგნი ჰქონია“²⁾.

წიგნების ყიდვა-გაყიდვაც ძალიან გაცხოველებული იყო. „მე... გიორგი მოვიგე წ-ა ესე სახარება დიდისა გულმოსდგინებითა. მრავალთაგან განსყიდული იყო მიერიოთგან, ოდეს მას საყდრისაგან გამოხეებულ იყო, ოდეს მე ვიყიდე და შევჭირე უდაბნოსა ხანძთისასაო“—ვკითხულობთ XI ს. ერთს ხელნაწერში³⁾.

ნიკორწმინდის XI ს. სიგელში ვკითხულობთ: „ვიყიდე წიგნი პარაკლიტონი: ა: და მივეც ფასად ცხენისა ნახევარი“.... „მე დამხუდა იადგარი ნახევარწერილი: ა: და გავასრულე ყ-ითავე სისრულითა, შევმოსე და მოვცვარე და შევბეჭდე და ამისა დაწერისა და შეკახმისათვის მივეც დრაჰკანი დუკატი იე“—ე. ი. 15 დრაჰკანი დუკატი. დეკანოზის

¹⁾ თ. ჟორდანიას ქრონიკები, I ტ. გვ. 209.

²⁾ პროფ. ივ. ჯავახიშვილი. პალეოგრაფია, გვ. 91—92.

³⁾ იქვე, გვ. 97.

ნიკოლოზ ოსეს ძის მიერ გადაწერილ სახარებაში ვკითხულობთ (XVIII საუკ.) „შვიდი თუშანი არის ამა წმინდა სახარების თარგმანში მიცემულიო“. ეს ფრიად დიდი თანხა იყო იმ დროისათვის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კოდი პური ორ-სამ შაურად იყიდებოდა. და ისიც მაშინ, როდესაც სტამბის წიგნები უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო. ჩანს (ამას ჩვენ მერე უფრო ნათლად დავინახავთ), ხელნაწერი ჯერ კიდევ დიდხანს უწევდა კონკურენციას სტამბის წიგნს.

პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა რომს 1629 წელს. ეს იყო ქართულ-იტალიური ლექსიკონი პაოლინისა. მისი სრული სათაური ასეთია: *Dittionario Giorgiano e Italiano, composto da Stefano Paolini con l'aiuto del M. R. P. D. Niceforo Irbachi Giorgiano, Monaco di S. Basilio* (იხ. ამ წიგნის თავფურცელი, გვ. 7). გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ლექსიკონის შედგენასა და გამოცემაში მონაწილეობა მიუღია ქართველებს ნიკიფორე ირბახს¹⁾. იგი კათოლიკე მისიონერებს, ალბათ, საქართველოში ყოფნისასაც იცნობდა და როდესაც თეიმურაზ I-ის ელჩად რომს წავიდა, იქ უფრო დაუახლოვდა მათ. ცხადია, კათოლიკეთა მისიონერებისათვის, რომელნიც ჩვენში თითქმის ყოველთვის ბლომად იყვნენ, ქართული ენის ცოდნა აუცილებელი იყო. ქართველ მეფეებს ძველადგანვე ურთიერთობა ჰქონდათ რომის პაპებთან (უკვე XIII საუკუნიდან). მისიონერები ჩვენში ქრისტიანული ევროპის აგენტები იყვნენ და საქართველოს ხელისუფლება მათ ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევდა, როგორადაც ევროპის კულტურის წარმომადგენლებს. კათოლიკობის პროპაგანდის გასაწევად მომზადებული ხალხი იყო საჭირო. *Della sagra Congregation de Propaganda Fide*-სთან უკვე მეჩვიდმეტე საუკუნეშივე დაარსდა ქართული ენის კათედრა. სტეფანე პაოლინი, ალბათ, იქ მასწავლებლად იქნებოდა და ამის შედეგი იყო ძის მიერ თავის მსმენელთათვის გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონი. მისიონერები უკვე ოდნავ მოძზადებულნი მოდიოდნენ საქართველოში და მალე ქადაგებასაც იწყებდნენ ქართულ ენაზე. ამას მოწმობს რომის პროპაგანდისადმი გაგზავნილი წერილი პატრი სერაფინო მელიკოლესი. ტფილისიდან იგი ატყობინებს რომს: „როდესაც კარგად შევისწავლით ქართულს ენას და ქადაგებას შევიძლებთ, იმედი მაქვს, მეტად დიდი ნაყოფი გამოიღოს ჩვენმა შრომამაო“²⁾. პაოლინის ლექსიკონიც, შემდგომ კი მაჯიოს გრამატიკა, სწორედ ამ მიზნისთვის იყო განკუთვნილი!

ნამდვილად რომ ითქვას, სტეფანე პაოლინის ლექსიკონი არ შეიძლება ქართულ წიგნად ჩაითვალოს. იგი არის სახელმძღვანელო იტალიელებისათვის და არსებითად იტალიის ლიტერატურას ეკუთვნის, მაგრამ ეს იყო

¹⁾ ქართულ საისტ. ლიტერატურაში ნიკიფორე ირბახის პიროვნების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ჩვენი მიზნებისათვის ამას აქტუალური მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ ამ საკითხს აქ არ ვეხებით.

²⁾ მღვდ. მიქელ თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ. 1902. გვ. 224.

პირველი შემთხვევა, როდესაც სტამბაში ქართული შრიფტი გაჩნდა და ქართული ასოები ამოიწყო. თითონ გამომცემელნიც საქმეს ასე უყურებდნენ, ამიტომ ჩვენც პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნად პაოლინის ლექსიკონი უნდა მივიჩნიოთ.

იტალიაში დაბეჭდილ წიგნებიდან (ტფილისის სტამბის დაარსებამდე) ჩვენ გვაქვს ცნობა მხოლოდ ხუთი წიგნის შესახებ. ყველა ეს ხუთი წიგნი დაბეჭდილია მხედრული შრიფტით. ცხადია, იმ 60 წლის განმავლობაში, როდესაც დაბეჭდილა ზემოხსენებული წიგნები, სხვაც ბევრი გამოიცემოდა, მაგრამ მათ შესახებ ცნობა არ შენახულა. არ მოგვეპოვება ცნობები არც ტირაჟის შესახებ. დანარჩენი მაჩვენებლები კი ასეთია:


დარგები	1629		1643		1670		1681		ს უ ლ	
	სახელწ. რაოდ.	ნაბეჭდი ფურცელი	სახელწ. რაოდ.	ნაბეჭდი ფურცელი	სახელწ.	ნაბეჭდი ფურცელი	სახელწ.	ნაბეჭდი ფურცელი	სახელწ.	ნაბეჭდი ფურცელი
მეცნიერული	1	8	1	9	1	9	—	—	3	26
სასწავლო-პედაგოგიური	1	1,5	—	—	—	—	—	—	1	1,5
სასულიერო	—	—	—	—	—	—	1	12,5	1	12,5
ს უ ლ . .	2	9,5	1	9	1	9	1	12,5	5	40

10849

უჩვენებია, რომში ნაბეჭდი წიგნები საქართველოშიაც მოდიოდა, ზოგიერთი მაინც. ჩამოვთვლით ზემოხსენებულ 5 წიგნს: 1. ქართულ-იტალიური ლექსიკონი; 2. ქართული ანბანი ლოცვებითურთ; 3. ქართული გრამატიკა — მაჯიოსი; 4. იგივე — მეორე გამოცემა. 5. საქრისტიანო მოძღვრება — ბელარმინოსი. პროფ. გრიგოლ წერეთლის ცნობით, პაოლინის ქართულ-იტალიური ლექსიკონიც მრავალჯერ გამოცემულა¹⁾. სამწუხაროდ იგი არ ასახელებს, თუ რამდენჯერ და როდის, თუმცა თითონ უნახავს მისი სხვადასხვა გამოცემა.

საყურადღებოა, რომ რომს დაბეჭდილი წიგნები ყველა მხედრული შრიფტისაა. ხუცურით მხოლოდ სასულიერო წიგნები იბეჭდებოდა, ხოლო ამგვარ წიგნებს მაშინდელი ქართველობა არც თუ იმდენად სწყალობდა. რას უფრო ეტანებოდა მაშინდელი ქართველი მკითხველი? ამ მხრით ჩვენ გვაქვს თანამედროვის მოწმობა. ეს არის პატრი ბერნარდეს წიგნის ერთი მინაწერი. მ. თამარაშვილის სიტყვით, ხსენებულ ავტორს სხვა წიგნთა შორის დაუწერია „ბჭობა კათოლიკეთა ქარწმუნოებაზე“, რომელიც

1) „ახალი კავასიონი“, 1925 წ. № 1 კ. 2, მისი წერილი — „ნეპოლი — რომი — ბერლინი“.



მ. თამარაშვილის დროსაც ინახებოდა კათუციონების ძველი მონასტრის არქივში Torre del Greco-ში. შესავალში ბერნარდე წერს: „რადგან ქართველები, თუმცა კი ძლიერ გონიერნი, კაცთ მოყვარენი არიან, ხოლო სასულიერო საგნებში უსწავლელნი და კათოლიკე სარწმუნოებაზე ბრუდით ჩავგონებულნი (ბერძნებისაგან) და არც უყვართ მოსმენა სწავლა-დარიგებისა; არამედ მიზიდულნი არიან ბეჟანიანისა, ბარამიანისა, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზე, ამისათვის მოთხრობასავით დაეუწერე ეს წიგნი, რათა მის კითხვაზე შეხალისიანდენ.“¹⁾



დავითნი. არჩილ მეფის გამოცემა. მოსკოვი, 1705 წ.
(დაპატარავებული).

ასეთი იყო მდგომარეობა. მოვა დრო, როდესაც ტფილისის სტამბაც უწევს ანგარიშს ქართველ მკითხველს და ბეჭდავს შოთას „ვეფხისტყაოსანს“, იმ ავტორის თხზულებას, რომელიც ქართველი სასულიერო წრეების ყველაზე მკაფიო წარმომადგენლის — ანტონ კათოლიკოსის სიტყვით — „ამაოდ დაჰშურა!“

¹⁾ მღვდ. მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 682 — 3.

ტფილისში სტამბის დაარსებამდე ქართული სტამბა არსებობდა რუსეთშიაც. მისი დამაარსებელი იყო არჩილ მეფე, ძე გაბტანგ V შაჰნავაზისა. იგი ჯერ იმერეთში მეფობდა ცოტა ხანს, შემდგომ სპარსეთის თანხმობით კახეთს მართავდა. არჩილი იძულებული იყო კახეთის სამეფო მიეტოვებინა და იგი ერეკლე I-სთვის დაეთმო. შემდგომ, არეულობის ხა-



პირველი სასწავლო ყრმათათვის, მოსკოვი. 1732—1737 წ. (დაბატარაგებულა).

ნაში არჩილი მიიწვიეს მეფედ იმერეთის დიდებულებმა, მაგრამ იგი იძულებული გახდა აქედანაც მალე წასულიყო, რადგან ოსმალეთის ხონთქარი მისი წინააღმდეგი შეიქნა. არჩილი ქართული მწერლობის აღორძინების ერთი საუკეთესო მგოსანთაგანია. მან პირველმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში პატრიოტული კილო. იმერეთის მიტოვების შემდეგ — 1699 წელს

არჩილი უკვე რუსეთს არის გადახვეწილი და იქვე გარდაიცვლება 1712 წელს.

არჩილმა 1703 წელს პეტრე დიდს სთხოვა ქართული სტამბის ნებართვა. დასტურის მიღების შემდეგ მან სახაზინო სტამბაში ჩამოასხმევინა ხუცური შრიფტი. 1705 წელს გამოვიდა ამ შრიფტით დაბეჭდილი „დავითნი“. შემდგომ არჩილი შეუდგა ქართული ბიბლიის გამოცემისათვის მზადებას, მაგრამ მის დაბეჭდვას ვერ მოესწრო. მისი ნაშრომით 1742 — 1743 წწ. ისარგებლეს ბიბლიის გამომცემლებმა — ბაქარმა და ვახუშტიმ ¹⁾.

მაგრამ ტფილისს სტამბა მხოლოდ მე-18 საუკუნის დიმიდეს გაიხსნა ვახტანგ VI მეცადინეობითა და მხურვალე გულმოდგინეობით.

ერთერთ თავის ლექსში ვახტანგი, სხვათა შორის, ამბობს:

სტამბა მოვიღე ვლანეთით,
ვწმრავლე წიგნთა მელანი.

იგი მხურვალე და უშუალო მონაწილეობას ღებულობს თავის მიერ დაარსებულ სტამბაში. ამ მხრით მართალია მეოსანი ი. გრიშაშვილი, რომელიც ასე ასწერს ვახტანგს:

ხელში კალამი. წელზე ხმალი. მკლავზე დასტანგი.
ის არც სტამბაში თაკრობდა ლურჯ ფეშტემალსა.

ტფილისის პირველი სტამბა

რითი აიხსნება, რომ პირველი ქართული წიგნის რომს დაბეჭდვის შემდეგ საქართველოში დიდხანს ვერ მოხერხდა სტამბის გახსნა?

სტამბას ბეჭდავდენ ფრანგნი და რუსნი და მერმე ვლახელნი,
აქ არსად იყო აროდეს ვერ ვპოვეთ მისი მნახველი—

ეკითხულობთ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო ფურცელში. ცხადია, რომს დაბეჭდილი ქართული წიგნები ჩვენს ქვეყანაშიაც იქნებოდა. არ შეიძლება ამ ახალ საქმეს ინტერესი არ გამოეწვია მწიგნობართა შორის და არავინ ცდილიყო მის შესწავლა-გამოყენებას. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში ამის დამადასტურებელი საბუთი არ აღმოჩნდა. ამიტომ უნდა მივიღოთ ფაქტი, რომ საქართველოში ვახტანგ მეფემდე სტამბა არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში იმ მასშტაბისა, როგორც ეს უკანასკნელი იყო. ექსორიაქმნილი ქართველი მეფეები და ბატონიშვილები რუსეთის სხვადასხვა კუთხეში აარსებდენ სტამბებს, ხოლო თვით

¹⁾ პ. რ. ფ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I ტომი, ტფ. 1923 წ. გვ. 358.

საქართველოში ეს გვიანობამდე ვერ მოხერხდა. ამის მიზეზი იყო ის უმწეო ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიაც ახალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო იმყოფებოდა.

საშუალო საუკუნეებში სამი კულტურა განვითარდა: ბიზანტიური, არაბული და ევროპული. საქართველო პირველ ორთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და მათს დიდ გავლენას განიცდიდა. აღმოსავლეთში არაბთა ძლიერების დაცემის შემდეგ ბიზანტიური კულტურა ერთადერთი იყო, რომელიც საქართველოზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ბიზანტიის დაცემის გამო კულტურის ეს ცენტრი ჩვენი ქვეყნისათვის დაიხშო და ევროპასთან დამაკავშირებელი გზები მთლად დაიკეტა. ევროპიდან ინდოეთს მიმავალი გზა საშუალო საუკუნეებში — რამდენიმე იყო. ერთერთი გზა ხმელეთით შავი ზღვიდან კასპიის ზღვისა და შემდეგ ამუ-დარიით და სირ-დარიით ზემო-ჭინდამდე და თვით ჩინეთამდე მიდიოდა. ვენეციელებისა და გენუელების სავაჭრო რესპუბლიკები ამ გზების საშუალებით აზიასთან გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობას აწარმოებდნენ. ხსენებულ რესპუბლიკებს სავაჭრო პუნქტები ჰქონდათ შავ ზღვაზედაც და რაკი ეს უკანასკნელი ოსმალებმა იგდეს ხელთ, რასაკვირველია, ამ პუნქტებმა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგეს.

საქართველოს ტრაგიკული მდგომარეობა ძალიან კარგად ესმოდათ მაშინდელ ქართველ მმართველებსაც. ამას ცხადად მოწმობს ის მელანქოლიური სიტყვები, რომლითაც 1495 წ. კონსტანტინე მეფე ესპანეთის დედოფალ იზაბელას მიმართავს: ჩვენი მტრები მოითხოვენ — „გადაიხადეთ დიდი ხარკი, იბრძოლეთ მუდამ ჩვენთან ერთად და გამაჰმადიანდითო. ისინი მრავალრიცხოვანი არიან, ჩვენ კი ტრაპიზონის, კონსტანტინეპოლის და სხვა ქრისტიანეთა დაცემის შემდგომ მარტოდ-მარტონი და სრულიად დამდაბლებულნი დავრჩითო“.

როგორც ცნობილია, სპარსეთ-ოსმალეთის შეტაკებათა დროს საქართველოს ტერიტორია თითქმის ყოველთვის ომის ასპარეზად ხდებოდა. დასავლეთი საქართველო ოსმალეთის კერძი იყო ხოლმე, აღმოსავლეთი — სპარსეთისა. ეს იყო ქიშპობა მთელი წინააზიისათვის. როგორც სპარსეთი, ისე ოსმალეთი იმხანად დიდ მატერიალურ ნაკლებობას განიცდიდნენ და მდგომარეობის გამოსწორებას ახალ-ახალ ტერიტორიათა დაპყრობასა და მათ ძარცვაში ეძიებდნენ.

მაგრამ ორივე სახელმწიფოს აკლდა ომისათვის ადამიანობრივი მასალა. ამიტომ ლაშქრობისათვის ჯარისკაცებს ველური წესით აგროვებდნენ. ისინი პირდაპირ ნადირობდნენ ხალხზე და ამ ნიადაგზე საშინლად ფეხი მოიკიდა ჩვენში ტყვეთა ვაჭრობამ. ოსმალთა სახელგანთქმულ იანიჩართა ჯარში მრავლად იყო ქართველი დედის ძუძუსმოგლეჯილი და მაჰმადიანობაში აღზრდილი ბავშვი. ამიტომ გასაგებია ისტორიული წარსულის სურათით გულმოკლული პოეტის მერმინდელი სიტყვები იანიჩარისადმი: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამოუპველ ოსმალოთსა!“

სტამბის წიგნი

სტამბის წიგნი

სტამბის წიგნი

სტამბის წიგნი

სტამბის წიგნი

სტამბის წიგნი

სტამბის წიგნი

სტამბის წიგნი

სტამბის წიგნი

სტამბის წიგნი

სტამბის წიგნი



ბიბლია ანუ დაბადება. მოსკოვი. 1743 წ. მეორე აუნუსხავი გვერდი (დაპატარავებული).

პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამნაირად ახასიათებს საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას: „მევენახეობა-მელენეობა სამეგრელოში უკვე იმდენად იყო დაცემული, რომ ადგილობრივი ღვინო დაბალხარისხოვანი დგებოდა და ტრაპიზონითგან შემოტანილს მეტოქეობას ვეღარ უწევდა. საფეიქრო ხელოვნებასაც და ქსოვილებსაც ცხადი ჩამოქვეითება დაემჩნიათ: იქაური ქსოვილები თუმცა გაქონდათ უცხოეთში, მაგრამ მათი დაბალი ღირსების გამო წინანდელზე ბევრად ნაკლები. იმერეთსა და მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-მეურნეობა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, მაგრამ აქაც სხვადასხვა სამეურნეო დარგებთან შედარებით მესაქონლეობა, ვითარცა უფრო ადვილი გასაძღოლი, უფრო ნაკლებ იყო ჩამოქვეითებული. დაცემული იყო, რასაკვირველია, ვაჭრობაც. ფული ალებ-მიცემობის დროს ქალაქებსა და სავაჭრო ცენტრებსა და გზების მახლობლად მდებარე ადგილებში ტრიალებდა. მოშორებით კი უკვე იშვიათი სანახავი და სახმარებელი იყო: ვაჭრობა იქ სულაღობაზე, გაცვლა-გამოცვლით წარმოებდა. საქართველოს სახელმწიფოს მრავალ ნაწილად დაქუცმაცებამ საზღვრები და საბაჟოები გაამრავლა, რამაც ალებმიცემობის წარმოება და ეკონომიური ურთიერთობაც გააძნელა და საქონელიც წინანდელთან შედარებით ძვირი გახადა“¹).

ამნაირ პირობებში, საკვირველი არაა, რომ სტამბის საქმე, რომელიც პირველ ხანებში უქვევლად სახელმწიფოებრივ თაოსნობას და დახმარებას მოითხოვდა, — ჩვენში დაყოვნდა. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს სპარსეთი და ოსმალეთი საბოლოო დაქვეითების გზას დაადგინენ. სამუდამოდ გაქრა ის დღეები, როდესაც ოსმალთა შიშით მთელი ევროპა ჟანკალებდა, როდესაც სულთანი სულეიმან I (1512—20) ამაყად ეუბნებოდა ეგვიპტის მპყრობელს: მე ვარ მემკვიდრე ძველი რომისა. მრავალი ქვეყანა მეკუთვნის; ხელთ მიპყრია კონსტანტინეპოლი და უნდა მემორჩილებოდეს ყველა ის კუთხე, რომელიც ოდესმე რომის იმპერიაში შედიოდა.

ცხადია, ჩვენი მეზობლების დაუძღურება ისეთი როდი იყო, რომ საქართველოს მათთვის დიდი რამ წინააღმდეგობა გაეწია. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ცდილობდა საერთაშორისო ძალთა კიდილში გამოენახა დასაყრდნობი წერტილი, იქ ეძიებდა მოკავშირეს. ოსმალეთ-სპარსეთის ბუნებრივ მტერს მაშინ ახლად გამძღავრებული რუსეთი წარმოადგენდა. ქართველმა პოლიტიკოსებმაც თავისი გეზი მისკენ მიმართეს და ბრძოლის ველზე თითქოს მარტონი აღარ იყვნენ.

ვახტანგ VI სჯულმდებელი პირველ ხანებში მხოლოდ ვამგე იყო ქართლისა (1703-დან 1711 წლამდე), მერე კი სპარსეთის თანხმობით მეფედ იქნა წოდებული. მისი გამგებლობის დრო ქართლის მოღონიერების და წამოდგომის ხანა იყო. თითონ მწერალი და მაშინდელი დროისათვის ფრიად განათლებული ადამიანი, იგი დიდ საკულტურო მუშაობას ეწეოდა. ვახტანგისეულ დაბეჭდილ თითქმის ყველა წიგნს აქვს მინაწერი, რომ მან

¹) პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. IV. გვ. 198.


მოიწვია მესტამბე ვლახეთით, რომელსაც ქართველებისათვის ეს უცხო საქმე გააწყობინა. წიგნაკს „სწავლა შვიდთა საიდუმლოთა“-ს (დაბ. 1711 წ.) აქვს ამნაირი საინტერესო შესავალი: „... და ქრისტეს სარწმუნოებისათვის ცეცხლებრ მოტყინვარე ბატონიშვილი ვახტანგ, საუკუნოდ ყოს უფალმა ხსენება მისი ამან მოიხვნა სტამბა ქვეყანით ვლახეთით, რაჟამს უფლობდა ვლახეთს იოანე კონსტანტინე ბრაკოვანე ბასარაბა“ (გვ. ე).

ქართველებმა იცოდენ, რომ „სტამბას ბეჭდავდენ ფრანგნი (ე. ი. კათოლიკენი. ავტ.) და რუსნი და მერმე ვლახელნი“. რითი აიხსნება, რომ საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ აირჩია მესტამბეთა თუ მესტამბის მოსაყვანად ვლახეთი, რომელიც მაშინ უბრალო საგოსპოდაროს (საერისთავოს) წარმოადგენდა და ოსმალეთს ემორჩილებოდა? რუმინის შემადგენელი ნაწილები — მოლდავეთი და ვლახეთი ჩამოყალიბდენ მეცამეტე საუკუნის ნახევარში ჰუნგრეთიდან გადასახლებული არისტოკრატიის წყალობით. ახალ მიწა-წყალზე, როგორადაც ერთ დროს ჩვენში „კლარჯნი ხელმწიფენი“, ბოიარები ეწყობოდენ. როგორც ნამდვილი ფეოდალები, და დამოუკიდებლობას ესწრაფოდენ. ისინი ითვლებოდენ ჯერ ბულგარეთის, შემდგომ ჰუნგრეთის, ერთხანად პოლონეთის, ხოლო ბოლო ხანებში ოსმალეთის მორჩილ-ვასალებად. შედარებით ძლიერი იყო ვლახეთი მიხეილ მამაელის (1592—1601) მართველობის დროს. მან ოსმალები დუნაის მარჯვენა ნაპირას გადაარეკა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა მალე აღადგინეს თავისი ძველი ბატონობა. მთელი მეჩვიდმეტე საუკუნის განმავლობაში ვლახეთი დაცემას განიცდიდა და პოლიტიკურად საქართველოსთვის ნაკლებად ცნობილი უნდა ყოფილიყო.

ვინღა იყო ქართული წიგნის მინაწერში მოხსენებული კონსტანტინე ბასარაბა? იგი ერთი გამოჩენილი და თანაც ერთი უკანასკნელი მმართველთაგანი იყო ვლახეთისა. გოსპოდარობა მან მიიღო 1688 წელს და მთავრობდა 1714 წლამდე. კონსტანტინე ცდილობდა თავისი ქვეყნისათვის დამოუკიდებლობა მოეპოებინა, ამ მიზნით იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთის მეფე პეტრე დიდთან, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს ოსმალეთს ებრძოდა. მაგრამ ვლახეთის შინაური მდგომარეობა ისეთი იყო, რომ კონსტანტინე ხელფეხშეკრული იყო. მას ბევრი მოწინააღმდეგენი ჰყავდა და ხონთქართან ხშირად აბეზლებდენ. პეტრე დიდის პრუტის ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. კონსტანტინე ბრაკოვანეს მეტოქემ კონსტანტინე კანტაკუზენმა ბასარაბა დააბეზლა სტამბოლში. იოანე კონსტანტინე ბასარაბას გოსპოდარობა ჩამოართვეს და 1714 წლის აგვისტოს მას და მთელ მის ოჯახობას სტამბოლში თავი მოჰკვეთეს. გოსპოდარობა ამის შემდეგ კანტაკუზენს ხვდა; მაგრამ 1716 წელს, როდესაც ოსმალეთმა ავსტრიასთან ომი დაიწყო, დიდმა ვეზირმა კანტაკუზენი სტამბოლს დაიბარა და ვლახეთის ერთგულების უზრუნველსაყოფად — მასაც თავი მოჰკვეთა (1716 წ. 7 ივნისს). იმ დროიდან მოისპო ვლახეთში აღმართვი გოსპოდარების მმართველობა. ოსმალებმა იქ გ. აბატონეს სტამ-

ბოლის ბერძენი თანარიოტები, რომელნიც უბრალო მოხელეებს წარმოადგენდნენ ¹⁾.

საოცარი მსგავსებაა ამ კონსტანტინე ბრაკოვანეს და ვახტანგის ბედს შორის! ვახტანგიც დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა პეტრე დიდ-



ვეფხისტყაოსანი. ტფილისი. 1712 წ. თავფურცელი.
 (დაპატარავებული).

თან, როდესაც ამ უკანასკნელმა სპარსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა და დარუბანდი და ბაქო აიღო. ვახტანგს სურდა რუსეთის დახმარებით სპარსეთ-ოსმალეთისაგან განთავისუფლებულიყო, მაგრამ განზრახვა ჩაეშალა და სამეფოც დაკარგა 1723 წელს, როდესაც ტფილისი, იქამდე სპარსეთის აგენტს და კახეთის მმართველ მაჰმად-ყულიხანს რომ ეჭირა—ოსმალებმა

¹⁾ С. Н. Палаузов. Румынские господарства Валахия и Молдавия в историко-политическом отношении. Пет. 1859 წ. გვ. 53—57.

დაიკავეს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახტანგი და კონსტანტინე ბრაკოვანგ შორით ერთმანეთს იცნობდნენ. იქნებ მათი ელჩები რუსის პირველი იმპერატორის კარზე ერთმანეთს შეხვდნენ — ერთდაიმავე საქმისათვის მისულნი და ერთმანეთს დაუახლოვდნენ. სამწუხაროდ საამისო ისტორიული საბუთი ჯერჯერობით არ მოკვეთებია და მხოლოდ ჰიპოთეზის წამოყენება შეეგიძლია.

თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ საკვირველად როდი-ღა მოგვეჩვენება ქართველი მეფის საქციელი — ვლახეთიდან მესტამბის მოწვევა. მაგრამ იყო სხვა გარემოებაც. როგორც ვიცით, ამ საკითხზე ქართულ საისტორიო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობს. ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია პროფ. ალ. ხახანაშვილის აზრი, რომელიც საბუთიანად ამბობს (ამ აზრსვე იმეორებს პროფ. კ. კეკელიძე თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში, გვ. 3613—62): ქართული სტამბა დაარსებულა ვლახეთს; ქ. ბუქარესტში XVIII საუკუნის დამდეგს. მის დამაარსებლად უნდა მივიჩნიოთ მღვდელ-მონაზონი ანთიმოზ ივერიელი, სწავლული ადამიანი, რომელსაც ვლახეთში დიდი სასულიერო პოსტი სჭერია და ტომით ქართველი ყოფილა. ამ ანთიმოზ ივერიელის შესახებ ცნობა პროფ. ა. ხახანაშვილს ამოუღია ვენის გერმანული ჟურნალიდან „Zeitschrift für die Kunde des Morgenlands“ — B. XI, Heft. 4, M. Gaster-ის წერილი, გვ. 383). ანთიმოზ ივერიელი ნამდვილად ისტორიული პირია და უნგროვლახეთის ყველა ისტორიკოსი მას იხსენიებს, (განსაკუთრებით ვლახეთის ეკლესიის ისტორიკოსები. მას იხსენიებს ს. პალაუზოვიც (თავისი წიგნის 138 გვ.), რომლის ნაშრომით ზემოთ ვისარგებლეთ.

მოსკოვის სასულიერო სემინარიის პროფესორს ე. გოლუბინსკის თავის წიგნში „Краткий очерк истории православных церквей—болгарской, сербской и румынской или молдо-валахской“ — М. 1871 წ. ანთიმოზ ივერიელის შესახებ შემდეგნაირი ცნობები აქვს:

„ანთიმოზ. ჩამომავლობით ივერიელი ანუ ქართველი. ვლახეთს ჩავიდა 1692 წლების წინ. თავდაპირველად ცხოვრობდა მღვდელ-მონაზონად ბუქარესტის ერთერთ მონასტერთაგანში. 1705 წ. მიიღო რიმნიკის ეპისკოპოსობა, ხოლო 1706 წ. უნგროვლახეთის მიტროპოლიტობა. მაშინდელი დროისათვის ფრიად განსწავლული იყო, ჰქონდა საკუთარი სტამბა, რომელშიაც ყოველთვის, მღვდელ-მონაზონებისასაც, აგრეთვე ეპისკოპოსობის და მიტროპოლიტობის დროსაც, ერთგულად ეწეოდა ბერძნული წიგნების ბეჭდვას (ცნობილია მის მიერ დაბეჭდილი ერთი სლავური წიგნიც). ანთიმოზმა დაიმსახურა თავისი სიმკაცრით ცნობილ ვოევოდა ნიკოლო მავროკორდატოს (ფანარიოტის) რისხვა, 1716 წელს ჩამოაგდეს მიტროპოლიტის ტახტიდან და გაგზავნეს მონასტერში დასამწყვდევად. როდესაც ანთიმოზი საპყრობილე ადგილისაკენ მიჰყავდათ, ალბათ მავროკორდატოსავე ბრძანებით, იგი მდინარეში (მარიცაში) დააღრჩვეს ოსმალმა მხლებლებმა“ (გვ. 361 ზემოხსენებული წიგნისა).

ანთიმოზს კარგად სცოდნია რუმინული, ბერძნული, სლავური, არაბული და, რასაკვერველია, ქართულიც. ყოფილა შესანიშნავი ორატორ-მქადაგებელი



დავით ი. ტფილისი. 1711 წ. მეორე და მესამე გვერდი. (დაბატარაგებულთა).

და იოანე კონსტანტინე ბრაკოვანე ბასარაბასთან ფრიად დაახლოებული პირი. მას დაუბეჭდნია ქართული კონდაკი, გამოუგზავნია საქართველოში შრიფტი და პირველი მესტამბეც. უეჭველია, ანთიმოზნი თავისი სტამბით ემსახურებოდა მართლმადიდებელ ეკლესიას და ამით კონსტანტინეპოლის პატრიარქს აამებდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართველი მეფეები ევროპელ კათოლიკებს დიდი სიამოვნებით ხვდებოდნენ, როგორც მაღალი კულტურის წარმომადგენლებს. ყოველი ქართველი მმართველი ამ მხრით ძალიან შემწყნარებელი იყო. მათ ნაკლებად აწუხებდათ კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ეკლესიას შორის არსებული განსხვავება. ყოველ მათგანს შეეძლო განემეორებინა ცოტაოდენი განსხვავებით საფრანგეთის მეფის ჰენრი IV სიტყვები: ევროპის კულტურა ღირს ერთ წირვად (ე. ი. რაგვარიც უნდა იყოს ეს წირვა, თუ გინდ არა მართლმადიდებლური).

მართლმადიდებელთა პატრიარქი ებრძოდა კათოლიკეებს და შეიძლება სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ანთიმოზმა რომის ქართულ სტამბას ბუქარესტის სტამბა დაუპირდაპირა, ხოლო მერე ტფილისის სტამბის დაარსებასაც ხელი შეუწყო. თუ ყველაფერ ზემოხსენებულს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ სავსებით ნათელი გახდება ტფილისის სტამბის ამბავი. ანთიმოზს ხელს შეუწყობდა იოანე კონსტანტინე ბრაკოვანე ბასარაბაც, როგორც ვლახეთის მმართველი: თუ არა ხელისუფლების დავალებით, ისე ძნელია იმის წარმოდგენა, რომ იმ დროებში ვლახეთიდან საქართველოში ხელოსანი თავისი ინიციატივით და მარტო წამოსულიყოს!

აქვე საინტერესოა გავიხსენოთ, რომ თითონ ვლახეთში სტამბას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. რუმინულ ენაზე დაბეჭდილი წიგნები უკვე მე-XVI საუკუნის დამდეგს გვხვდება, 1560—1580 წლებში დიაკონი კორესი ბეჭდავს მრავალ წიგნს, ხოლო სტამბის საქმე მტკიცე ნიადაგზე დგება მიტროპოლიტი ვარლამის დროს, რომელმაც ბუქარესტში სტამბა დააარსა (1652 წ.), მიიწვია სტამბის საქმის მცოდნე მასწავლებელნი და 1678 წელს პირველი წიგნიც გამოუშვა. ყველა ზემოხსენებულის გამო, საფიქრებელია, რომ სტამბის ხელოვნება ვლახეთში მე-18 საუკუნის დამდეგისათვის საკმაოდ განვითარებულ იქნებოდა.


ვლახეთიდან მოსული მესტამბე ყოფილა მიხაელ სტეფანეს შვილი. მისი დახმარებით გაიმართა ტფილისში პირველი სტამბა და 1709 წელს უკვე მუშაობაც დაიწყო. სტამბა მოთავსებული იყო საგანგებოდ აგებულ შენობაში, იმ ადგილას, სადაც მეფის რეჟიმის დროს სინოდის კანტორა გამართეს, ხოლო წინათ იოანე ნათლისმცემელის ეკლესია იდგა. მეფე მფარველობას უწევდა სტამბას და ცდილობდა ქართველებსაც შეესწავლათ ეს საქმე. ცხადია, პირველ ხანებში საქმე ძალიან გაჭირდებოდა, რადგან ვლახელმა ოსტატმა ქართული ნაკლებად იცოდა. ეს ჩანს მის მიერ დაბეჭდილი ქართული წიგნების მრავალი მინაწერიდან, რომელთაგან მოვიყვანთ ერთერთს ყველაზე მეტად დამახასიათებელს:

„სამდაბლით გვედრებით თქვენ ყოველთა დიდთა და მცირეთა, უკეთუ ცდომილი რაიმე იხილოთ, სიტყუა ანუ ასო ნუ გამჭირდავთ, რადგან უცხო

ვიყავ ქვეყნისა ამის და უსმენელი სიტყუა თქვენთა და რომელნი ჩემნი მო-
წაფენი იყვნენ ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა. ვითარცა მე
ვიყავი ქართლის უნახველი ეგრეთვე ჩემი მოწაფენი სტანბისა. მდაბალი

დავ

ბრძენების ერამინერდსა :	გამრავლებს ცრემლთა ღირსა	ს	ი	ნიღ
ჯეოცის ღვთისმეტყველსა :	მათ ორთავე შათნა წება	ს	ი	
გაიყარნეს გაყურებნი :	მშად ფიცნი ღვთისა შმა	ს	ი	
ღ: ფრილონ დაღვა უმა წაყიდა :	შემხედველთა შევადგულა ტან	ი		



წასვლია ავთანდილისაგან ფრილონი და მისი განდარეველისა მამარიალ.

ჟმა მიშაყაი მიუბნობს :	მსტავსი შივანისა სრული	ს	ი	ნიღ
ბანს თინათინის გონება :	მისად საღონებლად გული	ს	ი	
ბეჭყს მგორდი სივრუვე :	ვარ საწყობროსა კრული	ს	ი	
ღ: შენ გაქუს წამალი ჩემისა :	მამოთელებელი წყობული	ს	ი	
რახივსე გულისა ნიადაგ :	მწეავს გართა სამსაღები	ს	ი	ნიღ
ზად გული კოდისა ცინისა :	შეშენია სამსაღები	ს	ი	
ბრ შეუპოვა ღონეარსა :	დაჩენა სამსაღებ	ს	ი	
ღ: შენხარ მწევი სოფლისა :	ასრე ებამსაღები	ს	ი	
ავთანდილმარტო სიღვის პირსა :	მივა ოთხითა შინა	ს	ი	ნიღ
წამლისა ტარიღისსა :	ეებს ყოვლისა ღონი	ს	ი	
ღლისთა ღღამით მტირალი :	იღვრებს ცრემლთა ფონითა	ს	ი	
ღ: მალად უნს ფოვლო ქვეყანა :	მისვე ჩაღისა წონი	ს	ი	
სადუცანასს ეუბნის :	მგზავრი ზღვის პირსა რებულო	ს	ი	ნიღ
სეითის მის მისა ამბავი :	ღღენი ფონა გასეპული	ს	ი	
ქელსა ტარდაღეს აქოებნი :	ასუნდეს ღარ კიდესულო	ს	ი	
ღ: მქარაენნი ზღვის პირსა :	დაყრით ღვს შეჭირვესულო	ი		

მიუნ

ვეფხისტყაოსანი. ტფილისი. 1712 წ. გვ. 187. (დაბატარავებულია).

ამათი მბეჭდავთაგანი მესტანბე მხ-რვ-ლთა გ-თა ვემუშაობ მოსამსახურე
თქვენი მიხაილ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი“¹⁾.

მიხაილი ამბობს: „...უცხო ვიყავ... და უსმენელი სიტყვა(თა) თქვენ-
თაო“. 1710 წელს დაბეჭდილ „კონდაკის“ მინაწერში ვკითხულობთ შემ-

¹⁾ ტფილისში პირველად დაბეჭდილი „სახარება“, გვ. 3. 1709 წ.

დევს მის მინაწერს: „ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკვიდრებელთა და ზღუათა შინა მიმაჯალნი ზედა ნავთსაყუდელთასა, ეგრეცა მესტანბენი იხარებენ გასრულებასა ზედა წიგნთასა“. 1711 წ. დაბეჭდილ „ფსალმუნში“ ამნაირივე აზრი გამოთქმულია უკვე ლექსად:


ნავთსაყუდელსა მენაჳი რა მივლენ, განისვენებენ,
მოყვასთა თვისთა სამყოფთა, ნახვა სწადს, მით ისვენებენ
ჭირთმყოფნი, ლხინსა შესულნი, მას აღარ მოიხსენებენ
და რა ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავს აღარ შეიჩვენებენ.

ტფილისი:

ქვე

ვიღბაღოს შემადღობაზე იქნება ორშტეჭეს შენაჳ
სად ნასეგარსეღ იშდროს ცის ქმნუღობა ამ სასიით

იქნება: ღ აუ რო შტა
ასე იღგეს შეცსრე ცის
სიარულითა სასწორისა
ღ ღრიანკელიის რიცხვი
სწორად აშვაღ ვერძისა
ღ კურთსი სწორად ნა
ვა ღ რაც სასწორის რი
ცხვი შემადებულის



აღმსრულებელნი სწორებითა იქნება სამსრუთზე ასლო იქნ
ების: ღ რო შეღიღ სასწორის უკანა რიცხვა წინასა
გან უფრო ასლო იქნების: რაც ვერძის რიცხვი შეს
ავებუღლის აღმსრულებელნი სწორება ჩდილოთაზე შა
სლოებისა იქნება: ღ უკანა ვერძის რიცხვი წინასა
ან უფრო ასლო იქნება ჩდილოთაზე: ღ აშა რიგით
ღრიანკელიისა ღ კურთს რიცხვის სიშრე აღმსრულებ
თისა სამსრისაკენ: ღ სიშრე ღსაფრთხისა ჩდილო
საკენ მოემატება: რადისაც აღმოსვლის რიგი
პირველის მძეღლოთასანზე შივა: სიშრე აღმო

სადვი

ქმნულების ცოდნა. ტფილისი. 1721 წ. გვ. 93. ნახაზი შესრულებულია ხელით, წითელი მელნით. (დაბატარავებულია).

ჩვენი პირველი მესტამბეები, ალბათ, არ იცნობდენ დანტეს „ჯოჯოხეთს“, მაგრამ მათი საქმიანობა ძალიან მძიმე უნდა ყოფილიყო, რომ მის

მოთავეებისას ასეთი შვევა ეგრძნოთ. დანტეც ხომ ამბობს თავისი „ჯოჯოხეთის“ პირველ ქებაში:

აჰა, დაოკდენ გულის ჩემის ტბისა ზვიროთები,
წარსულის ღამის სიმძიმელი გამომინელდა
და ვით მენავე, ზღვაურისგან გამორიყული
თვალს რომ შეავლებს ამბოხებულ ზღვის მღელვარებას
ასევე ჩემი მწუხარებით ვნებული გული
უკუმოიქცა და გასცქერის მიჯნას გადავლილს 1)...

ზემონსენებულ შედარება, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო საშუალო საუკუნეთა მისტიკურ-რელიგიურ ლიტერატურაში და ჩვენმა მესტამბეებმაც იქიდან შეითვისეს.


ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიხაილ უნგროვლახელმა ქართული ენა ნაკლებად იცოდა (პირველ ხანებში), მაგრამ, უეჭველია, ქართული ასოები და მათი ამოწყობა საქართველოში მოსვლამდე უნდა სცოდნოდეს. საფიქრებელია, რომ იგი მუშაობდა ქართული წიგნის ბეჭდვაზე ანთიმოზ ივერიელის სტამბაში. საქართველოში ჩამოსვლისას მან უკვე პრაქტიკულად შეისწავლა ენა, კარგად კითხულობდა ქართულს და ამის შედეგი უნდა იყოს ზემონსენებული ლექსის გამართულობა.

როგორც მოვიხსენიეთ, ტფილისის სტამბაში პირველად დაიბეჭდა „სახარება“ ხუცური ასოებით. 1710 წელს დაბეჭდილ „კონდაკში“ — უკვე მხედრულიც გვხვდება. 1712 წელს იბეჭდება თვით მეფის ვახტანგის უშუალო მონაწილეობით — „ვეფხისტყაოსანი“. ვახტანგის მიერ სამეფო ტახტის დაკარგვამდე მის მიერ დაარსებულ სტამბაში დაიბეჭდა სულ ოცი წიგნი. 13 წლის განმავლობაში შეუძლებელია ასე ცოტა წიგნი დაბეჭდილიყოს. ცხადია, მაშინ გამოცემული წიგნების სრული სია ჩვენ ჯერ არ მოგვეპოება. როგორც აღვნიშნეთ, საინტერესოა, რომ ამ ოც წიგნში ხუცურით დაბეჭდილი იყო 1,5, ხოლო მხედრულით — 5. ნაბეჭდურცელთა და სახელწოდებათა მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს 1709—1723 წლებში:

და რ გ ე ბ ი	სახელწოდებათა რაოდენობა	ნაბეჭდი ფურცელი	ხუცური შრიფტით	მხედრული შრიფტით
ბელეტრისტიკა	1	22	—	22
სასწავლო-პედაგოგიური	2	13	—	13
მეცნიერული	1	9,5	—	9,5
სასულიერო	16	245,5	223	22,5
ს უ ლ	20	290	223	67

1) „მნათობი“, № 1—2, 1933 წ. კ. გამსახურდიას თარგმანი, გვ. 139.

სვა ერადი შათანავე არს : ღ საქარაველო შრაკო
 უნის შტერთაუბნ შო ზრებულ იყო ღ არტანა და
 შო შიღს იფა ქარაულსა ენასა სეღ სწავლა ესე
 ფილოსოფია : ღ სსვათა ფნისა კაცნი ქარაველოთ
 ეფიკსოღენ : ღ აწ შე შეფუჭმან შეფეთაშან ვასტანგეს
 სპარსული აიათი რა შელ არს ქმნულების ცოდნ
 ის წიგნი : შიფთა შაფთა მსახობა ღ სსვა ო ქმნებსწი
 გნებთ ვთარქმნე : შინსა აბდურისა თანვრისფლის
 წიგნის კათხვითა ღ თანა შეწეფნიოა : ღ სტროლოა
 ბიე ქარაულად გაშვილე : ნუკუკუე ასწავონ და
 წადიერ იყვენ ფილოსოფოსო ბისად : ღ ინებონ
 ღ შეასრულონ ქარაულსა ენათა ფილოსოფოსო ბა
 ღ გაშვილონ : ღ ჩემთვისაც შენდა ბის შქენე ვარ
 რაშეთუ საქმეთაგან საცხაურარს ვითარშელ შრავა
 ღანი ჭარხი შინასგან ამა წიგნთაზეღ : ღ არცა თუ
 შეფო ბისა მსასურება ღ მიკლიეს



ქმნულების ცოდნა. ტფილისი. 1721 წ. ვახტანგის წინასიტყვაობა.
 (დაპატარაებულთა).

სასულიერო წიგნების ასეთი სიჭარბე მაშინდელი დროისთვის სავსე-
 ბით ბუნებრივია. ინტელიგენციას იმ ეპოქაში სასულიერო წოდება წარ-
 მოადგენდა. სტამბაც პირველ ხანებში სწორედ ამ საჭიროებას აკმაყოფი-
 ლებდა. გუტენბერგმაც ხომ პირველად „დაბადება“ (ბიბლია) დაბეჭდა!
 რაჭველიშვილი 3

ერეკლეს სტამბა

როგორც ვიცით, 1723 წელს ტფილისი ოსმალებმა დაიჭირეს. მალე მათ დაიპყრეს კახეთიც და მთელი აღმოსავლეთი საქართველო ხელთ იგდეს. ტფილისში სტამბა მოიშალა, ხოლო ვახტანგი რუსეთს გარდინებულადიდილი ინტელიგენციითურთ და იქ მიიცივალა (1737 წ.). სპარსეთი ერთხელ კიდევ ფეხზე წამოაყენა ნიჭიერმა ნადირ-შაჰმა. მან ოსმალები განდევნა ჩრდილოეთ სპარსეთიდან და 1735 წელს ყარსთან სასტიკად დაამარცხა. ოსმალებს გზა ეჭრებოდათ და საჩქაროდ დაცალეს არა მარტო ტფილისი, არამედ მთელი აღმოსავლეთი საქართველოც. ნადირ-შაჰი დიდი ზემოთ შემოვიდა ტფილისში. კახეთის მეფედ მან დაამტკიცა სპარსეთის ორიენტაციის მომხრე თეიმურაზ II, რომელიც 1744 წ. ქართლის ტახტზეც ავიდა. კახეთი დარჩა მის შვილს ერეკლე მეორეს და საქართველოც ოდნავ მოლონიერდა. სწორედ ამ ხანებს ეკუთვნის ტფილისის სტამბის აღდგენა-განახლებაც, რომლის მთავარი მესვეური ერეკლე იყო და ამიტომ მას ერეკლეს სტამბა ეწოდება:

1749 წ. ერეკლეს სტამბაში დაიბეჭდა „ლოცვანი“, ხოლო 1751 წელს „კონდაკი ანუ წიგნი საღვთოსა მსახურებისა“, „სახარება“, „ქადაგება ღვთისმეტყველება ანტონ კათოლიკოსისა“ (ყველა ხუცური შრიფტით). სტამბა მოთავსებული იყო თეიმურაზის დროს საპატრიარქო სასახლეში, ერეკლე მეფის დროს კი გადატანილ იქნა სამეფო პალატში. აღამაჰმადხანის მიერ ტფილისის აკლების და სტამბის დაწვის შემდეგ განახლებული სტამბა მოთავსეს მეტეხის ეკლესიის ეზოში¹⁾.

ვიდრე ერეკლე მეფის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების სტატისტიკას შევეუდგებოდეთ, ორიოდ სიტყვით მოვიხსენიოთ სტამბის მომუშავეთა ნომენკლატურა.

სტამბის მუშაკები იყვნენ — გამმართველი და მესტამბეები. გამმართველი კორექტორიც იყო და რედაქტორიც, ხოლო მესტამბე ასრულებდა აწყობა-ბეჭდვასთან დაკავშირებულ ყოველნაირ სამუშაოს. ერეკლე მეფის დროს სტამბის მუშაკების ერთნაირი სპეციალიზაცია მოხდა. ამ დროს უკვე არსებობს: მესტამბეთ-უხუცესი ანუ სტამბის უხუცესი, ე. ი. სტამბის გამგე; ზედამდგეი, ზედამდგომარე ან ზედამხედველი; პლაკის მჭრელი ანუ მეტრანაჰეი; დაზგის მმართველი; პრობის მმართველი — ე. ი. კორექტორი; წარმომდგინებელი ასოსი, ე. ი. ასოთჩამომსხმელი; მწერალი — ჩამოსახმელი ასრების დამწერი; სტამბის სახმართა ზედა გამრჯელი, ე. ი. სამეურნეო ნაწილის გამგე და სხვა. გარდა ამისა წიგნის ბეჭდვასთან უშუალო კავშირი ჰქონდათ: ღრამატიკის კანონზედ გამმართველებს ანუ ქართულსა ენასა ზედა შემწეობთ და სტამბის მუშაკთა მოძღვარს მასწავლებელს²⁾.

¹⁾ დავ. კარიჭა შვილი. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. ტფ. 1929 წ. სახელგამი. გვ. 101.

²⁾ იქვე, გვ. 98—99.

1781 წელს ერეკლემ სტამბისათვის 20.000 მანეთი დახარჯა, გაათართოვა და განაახლა იგი. იმ დროისათვის ასეთი თანხა ძალიან დიდი იყო და სახელმწიფოსაც ემძიმებოდა. ამიტომ ერეკლემ გადაწყვიტა სტამბა იჯარით გაეცა. როგორც ჩანს, სტამბის საქმე მომგებიანი ყოფილა, რადგან მოიჯარეს თავისი-თავიც უნდა შეენახა და ხაზინისათვისაც მოგების ნახევარი მიეცა. სტამბის როგორც მოიჯარეობა, ისე იქ მუშაობა, რასაკვირველია, სამძიმო საქმე იყო და სახელმწიფო ერთგვარ პრივილეგიებს ანიჭებდა მის მუშაკებს. მეფე ერეკლე 1784 წ. ერთს თავის განაჩენში წერს: „ეს დავით მღვდელი სტამბაში განწესებულია, ესეც საქვეყნიერო და სჯულის სამსახურია, ამას მორიგეთ ნუ გამოიყვანთ“. ლაშქრობისაგან განთავისუფლება იმ ხანებში ძალიან ძნელი იყო და ზემოხსენებული სიტყვები მოწმობს, რომ სტამბის მუშაკობა საპატიო ხელობა ყოფილა.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ერეკლემ გადაწყვიტა სტამბის იჯარით გაცემა. მოიჯარეც მალე აღმოჩნდა. ეს იყო მღვდელი ქრისტესია ანუ ქრისტეფორე კეჭერაშვილი. იგი ყოფილა პალესტინაში და იერუსალიმში სტამბის საქმეც შეუსწავლია. 1784 წ. მღვდელი ქრისტეფორე ტფილისის სტამბის მუშაკების მოძღვარია, 1786—1790 წლებში—გამგე და დაზვის მმართველი, ხოლო მერე გამგებელი და ზედამხედველი ბეჭდვისა, ბოლოს კი მისი მოიჯარე. მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში მას 14 ათასზე მეტი წიგნი დაუბეჭდნია. როგორც ჩანს, მღვდელი კეჭერაშვილი პირნათლად გამოდიოდა ხაზინის წინაშე, თითონაც ჰქონდა მოგება და ხაზინასაც შესატანს არ აკლებდა. საინტერესოა ერთი ცნობა, რომელიც დაბეჭდილია მინაბეჭდად 1793 წ. ტფილისში გამოცემულ „ტრიოდონში“. აქ არის ცნობა, რომლის მიხედვითაც შეიძლება დაახლოებით წარმოდგენა ვიქონიოთ მაშინდელი წიგნების ტირაჟის შესახებ: „მებრძანა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ხელმწიფისა ყოვლისა საქართველოსა ირაკლი მეორისა მე მისსა მონასა მისის უმაღლესობის კარის მღვდელს მარტყოფელს კეჭერაშვილს ქრისტეფორეს გამგეობაჲ და ზედამხედველობაჲ სტამბისა, რომლისა სურვილი ფრიადი მაქენდა, და დავბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითა მხედრული და უჯდომელი 400, კიტაიის სიბრძნე 400, ლოცუანი 1000, სახარება 800, დავითნი 1000, სამოციქულო 1000, კვალად და უჯდომელი 1000, ჟამნი 1000, კვალად სახარება 800 და მარხვანი ესე 1000 და შეწვევითა ყოვლად წმიდისა სული-სათა ესე ყოველნი ზემოხსენებულნი წიგნნი დამიბეჭდავს ხარჯითა ჩემითა აღსამაღლებლად და განსაძლიერებლად უფლისა ჩემისა (მეფის ირაკლისა) და საოხად ცოდვილისა სულისა ჩემისასა, რომელიც ვმოქენებ მხილველთაგან შენდობასა“.

როგორც ზემოხსენებული ცნობიდან ჩანს, მაშინდელი საშუალო ტირაჟი დაახლოებით 840 ცალი ყოფილა. ამას აღვნიშნავთ, რადგან, სამწუხაროდ, მაშინდელი წიგნების ტირაჟის შესახებ ცნობები ძალიან ნაკლებად გვაქვს.

დანამდვილებითი ცნობები არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რა დამართა ტფილისის სტამბას რუსეთთან შეერთების შემდეგ. გენერალ ციციანოვის მიწერ-მოწერიდან კი ჩანს, რომ მის დროს ტფილისში სტამბა უკვე აღარ ყოფილა. ციციანოვმა განაახლებინა სტამბა და მან მუშაობა დაიწყო (ხუთი წლის შეჩერების შემდეგ) 1805 წელს; მასში მხოლოდ მთავრობის დადგენილება-განკარგულებანი იბეჭდებოდა.

საცენზურო კომიტეტის საქმეებში შენახული ცნობებით, ტფილისში პირველი რუსულ-ქართული სტამბა დაარსებულა იმპერატორ ალექსანდრე I უმაღლესი ბრძანებით 1816 წელს კავკასიის სამხედრო ოლქის საოლქო შტაბთან¹⁾.

ვიდრე საერთოდ ამ ხანაში გამოცემულ ყველა ნაბეჭდ წიგნზე ვილაპარაკებდეთ, მოვიყვანოთ ცნობები ერეკლეს სტამბაში 1749-დან 1800 წლამდე დაბეჭდილი წიგნების შესახებ. დარგების მიხედვით სურათი ასეთია:

დარგები	სახელწოდებათა რაოდენობა	ნაბეჭდ ფურცელთა რაოდენობა	მათ შორის	
			ხუთური შრიფტით	მხედრულით
სასულიერო	38	725	681,5	43,5
მეცნიერული	3	17	9	8
ნარევი	4	12,5	3,5	9
სულ	45	754,5	694	60,5

აქ საყურადღებო ისაა, რომ ვახტანგ მეფის დროს ბევრად უფრო მეტი მხედრული შრიფტით დაბეჭდილი წიგნი გვაქვს, ვიდრე ერეკლეს ეპოქაში. ჩანს, სტამბის საქმეს სავსებით სამღვდელოება დაჰპატრონებია და საერო შინაარსის თხზულებებს ეშვიათად (თითქმის სულ არა) გააჭაჭანებდა! შეიძლება ითქვას, რომ მთელი მეთურამეტე საუკუნის განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ შორეულად მსგავსი რამ არ დაბეჭდილა.


ქართული სტამბები ტფილისს გარეშე

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგი რუსეთს გადაიხვეწა და თან წაიყვანა დაახლოებით 1200 კაცი. ესენი იყვნენ მაშინდელი ინტელიგენტები და ოსმალთა ხელში დარჩენილი საქართველოსთვის მათი მოშორება დიდი დანაკლისი იყო. მაგრამ ქართულ კულტურაზე ზრუნვისათვის შორს გარდახვეწილებს თავი არ დაუნებებიათ. ვახტანგის ამაღლას რამდენისამე წლის შემდეგ შეუერთდა ახორებული ქართული ეკლესიებისათვის რუსეთს

¹⁾ К. П. К. — 1893 წ. საქმე № 346/15. ცენტრარქივში.

ფულის შესაგროვებლად წასული იოსებ სამეპელი (ქობულა-
შვილი).


სსენებული იოსებ სამეპელის ინიციატივით არჩილ მეფის მიერ დაწ-
ყებული საქმე განგრძობილ იქნა და მოსკოვს სტამბა განახლდა. 1737 წელს



კიტახის სიბრძნე. მოსკოვი. 1777 წ. თავფურცელი.
(ნამდვილი ხომა).

იქ დაიბეჭდა „ზატყი“, ხოლო 1739 წ. — „სახარება“. იოსებ სა-
მეპელის შემდეგ სტამბას მესვეურობდა ბატონიშვილი ბაქარი და ვა-
ხუშტი ბატონიშვილი (ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი). მა-
თი მეცადინეობით დაიბეჭდა 1743 წელს ქართული „დაბადება“ (ბი-
ბლია), რომლის დასაბეჭდად მზადება ჯერ კიდევ არჩილ მეფემ დაიწ-
ყო. სტამბები გაჩნდა პეტერბურგსა, კრემენჩუგსა და მოს-

დოკუმენტ, მაგრამ ამ უკანასკნელებში ქართული წიგნების ბეჭდვას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. მოსკოვის სტამბის პროდუქცია კი, როგორც ჩანს, ტფილისისას არ ჩამოუვარდებოდა და რიგიანადაც იყო მოწყობილი. ქართული წიგნები იბეჭდებოდა აგრეთვე რომში. ყველგან ეს ბეჭდვა გრძელდებოდა მეცხრამეტე საუკუნეშიაც და ამიტომ მათზე მერე ვილაპარაკებთ ახლა კი შევეხებით დასავლეთ საქართველოში არსებულ სტამბებს.



სავედრებელი ღვთისმშობლისა. სოფ. წესი (რაჭა).
1809 წ. გვ. 40—41. (ნამდვილი ზომა).

სტამბა დაარსდა, როგორც ჩანს, ქუთაისს მე-18 საუკუნის დამლევა-რადგან ჩვენ გვაქვს 1803 წ. იქ დაბეჭდილი „სახარება“. სტამბა დაუარსებია სოლომონ მეორეს. „ქ. მსასოებელმან ყოვლად წმიდისა სამებისამან ყოვლისა იმერეთისა მეფემან მეორემან სოლომონ ვიგულისმოდგინე დიდითა გულის მოდგინებითა რათამცა ქვეყანასა ჩვენსა ყოფილიყო სტამბა“ — ვკითხულობთ სოლომონ მეფის ერთერთ დოკუმენტში. „და შეწევნითა ქრისტესითა ვქმენ სტამბა ქუთაისს ყოვლითა სისრულითა უნაკლულოდ, სახსოვრად მეფობისა ჩემისაო“¹⁾.

ქუთაისიდან სტამბა შემდეგ ხანებში რაღაც მიზეზის გამო სოფ. წესს (რაჭა) გადაუტანიათ, სადაც დაუბეჭდნიათ 1810 წელს „სავედრებელი ღვთის მშობლისა“ რომანოზ ზუბაშვილის მესტაჰბეობისას, „სამღროთო და საეკლესიო წიგნი გამოკრებული სადღესასწაულო“. და სხვა. 1815 წლიდან ზურაბ წერეთელს, სოლომონ მეფის ყოფილ სახლთუხუცესს, რომე-

¹⁾ მოყვანილი აქვს პ. გუგუშვილს თავის წიგნში: „ქართული წიგნი“, 1929 წ. სახელგამი. გვ. 94.

ლიც წინათაც სტამბის საქმეს უძღვებოდა, საკუთარი სტამბა გაუმართავს საჩხერეში.

დასავლეთ საქართველოში დაბეჭდილი წიგნი ძალიან ცოტა მოგვეპოვება. ცხადია, ჩვენ შეიძლება იმის მეთვლიყ არ გვექონდეს, რაც იქ სხვადასხვა დროს დაბეჭდილა. ეს ჩანს იქიდან, რომ შესტამბეობა ძალიან საპატიო და შემოსავლიან ხელობად ითვლებოდა და მას იჯარით სიამოვნებით ღებულობდნ. იჯარით გაუცია სტამბა ზურაბ წრეთელსაც. საინტერესოა ის ხელშეკრულება, რომელიც მას დაუდევს მოიჯარესთან.

არქიმანდრიტი ზაქარია ზურაბ წერეთელს სწერს: „ესე უტყუარი პირობის და სიმტკიცის წერილი მოვართვით მე მდაბალმან არქიმანდრიტმან ზაქარიამ თქვენ, ბატონს წერეთელს სახლთუხუცესს ზურაბს და თქვენ შეილს ბატონს გრიგოლს, ასე რომ სტამბის სიყვარული გქონდათ და ორას სამოცი თუმნის სტამბის იარაღები, ტყვია და ქალაღი მოსკოვიდგან მოატანინეთ და იყიდეთ და თქვენ ინებეთ საჩხერეს სტამბის გამართვა და მე მიბრძანეთ, მე თქვენის ერთგულებისა და სიყვარულისთვის ღვთის შეწევნით გავმართე და ვამუშავებ. ახლა კიდევ პირობა მთხოვეთ და წყალობა მიბოძეთ ჩემის ძმისწულის ილარიონისათვის ყმა და მამული საახნაურშილო რვა გლეხი, რომელიც პირიქით მიბოძეთ თავის ადგილმამულიანათ და ის ჩემი ძმისწული ყმათ მოგართვით. რადგან თქვენ ეს წყალობა ინებეთ, მეც პირობა მომირთმევია უტყუელი. თუ თქვენი სტამბა მე არ დამეშალოს თქვენგან საჩხერეს, მე არავისი ბრძანებით არას ადგილს სტამბა არ ვამუშაო, თუ ძალი ვისგან მე არ დამადგა. თუ ჩემს სახლში რამ მცირე-მცირე დავბეჭდო შენი სტამბის წინააღმდეგობი და დამაყენებელი, არც ის ვქნა. კიდევ ეს პირობა მომირთმევია, ჩემის შეძლებისამებრ შენი სტამბა უმუშაოდ არ მოვაცდინო, ხარჯი თქვენი იქნება და ოსტატობა ჩემი, და ჩემს სიცოცხლეში თქვენს სიყვარულს და ერთგულებას ვეცადო. და რომელიც წიგნი თქვენის ხარჯით დავბეჭდოთ, ხარჯს უნდა გამოვიდეთ და რაც დარჩება, ორი წილი თქვენია და ერთი წილი ჩემი იქნება; და რომელსაც წიგნს თქვენ უხარჯოთ დავბეჭდავთ, ის კი საკუთრად ჩემი იქნება. და რადგან თქვენს სტამბაში დავბეჭდავთ რასმე, მისის მიზეზით სარგოც მოგერთმევათო“¹⁾

¹⁾ დ. კარიჭაშვილი. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. 1929 წ. ტფ. სახელგამი. გვ. 111.

ქართული წიგნის კოლექცია 1629-დან 1818 წლამდე

თავის ადგილას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სრული სია ქართული ნაბეჭდი წიგნებისა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ მოგვეპოება და არც თუ როდისმე გვექნება, ვინაიდან მათი დიდი უმრავლესობა სამუდამოდ დაკარგულია. ბეჭდვის დასაბამიდან 1818 წლამდე დ. კ ა რ ი ქ ა შ ვ ი ლ ს ჩამოთვლილი აქვს 84 წიგნი. ჩვენი ცნობებით ამ ხნის განმავლობაში დაბეჭდილია სულ 115 წიგნი. უნდა აღვნიშნოთ კი, რომ აქ ჩათვლილი გვაქვს ყველაფერი, ცალკე ფურცლებად გამოცემული ნაბეჭდებიც, რადგან იმ დროისთვის ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დარგების მიხედვით ამ ეპოქის წიგნები შემდეგნაირ სურათს წარმოადგენს (1818 წლის ჩათვლით):

დარგები:	სახელწოდებათა რაოდენობა:
ბელეტრისტიკა	1
სასწ.-პედაგოგიური	5
სამეცნიერო	8
სახ. საკითხავი	5
სასულიერო	89
ნარევი	7

სულ 115 წიგნი.

თითოეულ წიგნში ნაბეჭდ ფურცელთა რაოდენობის მხრით დანაწილება ასეთია:

ბელეტრისტიკა	22 ფორმა
სასწ.-პედაგ.	24,5 —
სამეცნიერო	68,5 —
სახ. საკითხავი	33,11 —
სასულიერო	1945 —
ნარევი	22 —

სულ. 2115 ფორმა.

არსებული ცნობების მიხედვით თითოეული წიგნის ტირაჟად შეიძლება მივიღოთ 1000 ცალკე მაშინ გამოდის, რომ ჩვენს მიერ განხილული ეპოქის დაბეჭდილ წიგნთა (რომლებსაც ჩვენამდე მოუღწევიათ) ტირაჟი უდრის 115.000 ცალს.

წიგნები, როგორც ვიცით, იბეჭდებოდა ხუცური და მხედრული შრიფტით. მათ შორის თანაფარდობა ასეთია:

	სახელწოდება	ფორმათა რაოდ.
	რაოდ.	რაოდ.
ხუცური შრ.	97	1800
მხედრული	15	315

ხუცური შრიფტის და საერთოდ სასულიერო წიგნთა ფორმების რაოდენობის ასეთი სიჭარბე იმით აიხსნება, რომ იბეჭდებოდა უმთავრესად დიდტანიანი წიგნები (ბიბლია და სხვა).

საერთო სურათი ამ ხანის პროდუქციისა შემდეგნაირია:

და რ გ ე ბ ი	სახელწოდებათა რაოდენობა	ფორმათა რაოდენობა	ხუცური ფორმ. რაოდ.	მხედრული
ბელეტრისტიკა	1	22	—	22
სასწავლო-პედაგ.	5	24,5	—	24,5
სამეცნიერო	8	68,5	—	68,5
სახ. საკითხავი	5	33	—	33
სასულიერო	89	1945	1800	145
ნარევი	7	22	—	22
სულ	115	2115	1800	315

სახელწოდებათა მიხედვით დარგების პროცენტული შეფარდება არის ასეთი:

და რ გ ე ბ ი	% საერთო პროდუქციისა ფორმ. მიხედვით	% სახელწოდ. მიხედვით
ბელეტრისტიკა	0,1	0,8
სასწავლო-პედაგ.	0,12	3,4
სამეცნიერო	3,2	6,8
სახ. საკითხავი	0,12	3,5
სასულიერო	96,36	79,5
ნარევი	0,1	6,0

ეს შეფარდება ნათლად ღაღადებს იმას, თუ რა წრეებს ემსახურებოდა განვლილ პერიოდში წიგნი და ამიტომ მის კომენტარიებს აღარ გამოვუდგებით. მალე დადგება დრო, როცა ეს შეფარდება სწრაფად იცვლება, მაგრამ სასულიერო წიგნთა ხვედრითი წონა (ფორმათა მიხედვით) თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მაინც ფრიად მნიშვნელოვანად რჩება!

პროლეუქცია 1629 წლიდან 1818 წლამდე.

წლები	1. ბელეტ-რისტიკა		2. სასწავლო-პედაგ.		3. სამეცნიერო		4. სახალხო საკითხავი		5. სასულიერო		6. წარევი		7. სულ		8. მათ შორის მხედრული უჩიფტით		
	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	
1629	-	1,5	1	8	-	-	-	-	-	-	-	-	2	9,5	2	9,5	100
1643	-	-	1	9	-	-	-	-	-	-	-	-	1	9	1	9	100
1670	-	-	1	9	-	-	-	-	-	-	-	-	1	9	1	9	100
1681	-	-	-	-	1	12,5	-	-	1	12,5	-	-	1	12,5	1	12,5	100
1705	-	-	-	-	1	11,5	-	-	1	11,5	-	-	1	11,5	-	-	-
1709	-	-	-	-	4	60,5	-	-	4	60,5	-	-	4	60,5	-	-	-
1710	-	-	-	-	4	49	-	-	4	49	-	-	4	49	1	12	24
1711	-	10	1	-	1	18	-	-	1	18	-	-	2	28	1	10	35
1712	1	3	1	-	1	13	-	-	1	13	-	-	3	38	2	25	65
1713	-	-	-	-	1	40	-	-	1	40	-	-	1	40	-	-	-
1717	-	-	-	-	2	22	-	-	2	22	-	-	2	22	-	-	-
1719	-	-	-	-	1	4,5	-	-	1	4,5	-	-	1	4,5	-	-	-
1720	-	-	-	-	1	28	-	-	1	28	-	-	1	28	-	-	-
1721	-	-	1	9,5	-	-	-	-	-	-	-	-	1	9,5	1	9,5	100
1722	-	-	-	-	1	10,5	-	-	1	10,5	-	-	1	10,5	1	10,5	100
1737	-	-	-	-	1	11	-	-	1	11	-	-	1	11	-	-	-
1738	-	-	-	-	1	53,5	-	-	1	53,5	-	-	1	53,5	-	-	-
1739	-	-	-	-	2	44,5	-	-	2	44,5	-	-	2	44,5	-	-	-

პროდუქცია 1629 წლიდან 1818 წლამდე.

წლები	1. ბელეტრისტიკა		2. სასწავლო-პედაგ.		3. სამეცნიერო		4. სახალხო საკითხავი		5. სასულიერო		6. ნარევი		7. სულ		8. მთ შორის მხედრული შრიფტით	
	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.	ფორმ. რაოდ.	%
1793.	-	-	-	-	4	99	-	-	-	-	-	-	4	99	-	-
1794	-	-	-	-	1	34,5	-	-	-	-	-	-	1	34,5	-	-
1795	-	-	-	-	1	24	-	-	-	-	-	-	1	25	-	-
1796	-	-	-	-	-	-	-	-	1	1	-	1	1	1	-	-
1797	-	-	-	-	1	26	-	-	-	-	-	-	2	35	1	26
1800	-	-	-	-	2	29,5	-	-	1	1,5	-	4	4	39	1	8
1803	-	-	-	-	2	82	-	-	-	-	-	2	2	82	-	-
1805	-	-	-	-	1	50	-	-	-	-	-	1	1	50	-	-
1807	-	-	-	-	1	30	-	-	-	-	-	1	1	30	-	-
1808	-	-	-	-	3	91,5	-	-	-	-	-	3	3	91,5	1	5,4
1809	-	-	-	-	1	5,5	-	-	-	-	-	1	1	5,5	-	-
1810	-	-	-	-	1	25,5	-	-	-	-	-	1	1	25,5	-	-
1811	-	-	-	-	1	28	-	-	1	6	-	2	2	34	1	17,6
1815	-	-	-	-	4	82,5	-	2	1	1	-	6	6	85,5	1	2,5
1816	-	-	-	-	1	25	-	-	-	-	-	1	1	25	-	-
1817	-	-	-	-	1	19	-	-	-	-	-	1	1	19	-	-
1818	-	-	-	-	1	38,5	-	22	1	1	-	1	8	78	4	77

თვითმპყრობელობის დამკვიდრებლად ბატონ-ჟონის გადაგარდნამდე (1819-1866)


მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძირიანფესვიანად შეიცვალა. საქართველოს მმართველების მისწრაფება, რომ ჩვენი ქვეყანა ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირებით გამოეყვანათ პოლიტიკური და ეკონომიური ჩიხიდან—სამეჯოთა მოსპობით და ჩვენი ქვეყნის სრული ანექსიით დამთავრდა.

ფრიად მღელვარე იყო რუსეთის თვითმპყრობელობის ჩვენში დამკვიდრების პირველი ხანები. საქართველოს დაპყრობა რუსეთის იმპერიალიზმისათვის გრძელი ჯაჭვის ერთერთ რგოლს წარმოადგენდა და მას დანარჩენი კავკასიის დაპყრობა უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ რუსეთმა მაშინდელ საქართველოს ვერ მისცა ის მშვიდობიანობაც კი, რომელიც რუსთაფილების საბუთთა შორის უმთავრეს კოზირს წარმოადგენდა. ომი სპარსეთთან, ოსმალეთთან, მთიელებთან—აი, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი სიტუაცია. თუ რისთვის სჭიროდათ საქართველოს ანექსია, ამას სავსებით სწორად ახასიათებს პროფ. მიხ. პოკროვისი. იგი ამბობს: „სავსებით ცხადია, რომ რუსეთისთვის საქართველოს ანექსია აუცილებელი იყო კონსტანტინეპოლისათვის ბრძოლის საქმისათვის, აქ სამი გზა იყო: პირველი—პირდაპირი გზა, რომელიც ქვემო დუნაით და ბულგარეთით მიიმართებოდა, მაგრამ ამ გზაზე რუსეთი, მეფის რუსეთი,—ეხეჩებოდა ავსტრიას. ამიტომ დაიწყეს შემოვლითი გზის ძიება... ასეთი იყო ხმელთაშუა ზღვა და არქიპელაგი... მაგრამ ესეც უკუგდებულ იქნა... მაშინ XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებში ჩაისახა მესამე გზა: შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირებით — მცირე აზიის გზით (კონსტანტინეპოლისკენ). და იწყება კავკასიის დაპყრობა. საქართველო ამ ოპერაციისთვის პლაცდარმი იყო. ტყუილად კი არ ერქვა ა. კავკასიაში მღვარ რუსეთის ჯარს, რომელიც ოსმალთა და სპარსელების წინააღმდეგ მოქმედებდა — საქართველოს კორპუსი“¹⁾.

დაპყრობილ საქართველოში XIX საუკუნის დამდეგს ძველი სახელმწიფოებრივი ფორმები უხეშად იმსხვრეოდა და მათ მაგივრად ბიუროკრატიული რეჟიმი მყარდებოდა. ყველაფერი ქართული ნელნელა ქრებოდა და რუსული იცვლებოდა. სიკეთის მოლოდინში მყოფი საქართველო — ვაის გაეყარა და უის შეეყარა. მთიულთა ამბოხება, კახეთის აჯანყება, შეთქმუ-

¹⁾ Труды первой Всесоюзной конференции историков-марксистов. Т. I. 1930. გვ. 493—494.

ლებანი, პროტესტები, თხოვნები, გადასახლებანი, გაციმბირება — აი მაშინდელი საქართველოს მდგომარეობის დამახასიათებელი მოვლენანი. ამიტომ საკვირველი როდია, რომ ჩვენს კულტურულ ცხოვრებას თვით საქართველოში დიდი წინსვლა არა დასტყობია რა. პირველ ხანებში მოისპო ის სტამბაც კი, რომელმაც ესოდენი ღვაწლი დასდო ჩვენს მწიგნობრობას, და მხოლოდ გენერალი ციციანოვის მიერ იქნა ის განახლებული.



„საქართველოს გაზეთი“ (დაპატარავებულია).

ყველაფერ ზემოხსენებულის გამო სავსებით გასაგები იყო ის დიდი უკმაყოფილება, რომელიც მაშინდელ მოწინავე ქართველ ინტელიგენციაში იჩენდა თავს. გასაგებია აგრეთვე ის, რომ ლერმონტოვის „Мцири“-ს თარგმნისქედროს ასალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ პოეტის სიტყვები:

И божья благодать сошла
На Грузию! — Она привела
С тех пор в тени своих садов,
Не опасаяся врагов,
За границу дружеских штыков —

პოლემიკურად თარგმნა:

მას უქეთ რაცა კურთხევა ღვთისა
მოეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,
ღმერთმა იმ რუსსვე ას-კეცად მისცეს.

აი, ასეთი იყო მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა. მაგრამ ცხოვრება ნელნელა ჩადგა კალაპოტში. მაშინ რუსეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომლის საშუალებითაც ჩვენს ქვეყანას შეეძლო ევროპის კულტურას ზიარებოდა. მართლაც მალე ვამჩნევთ, რომ საქართველოს უმაღლესი წოდე-

ბანი ეწაფებიან ჯერჯერობით გარეგან ევროპულობას, რომელიც მაშინდელ ბიუროკრატიულ რუსეთს გააჩნდა. მალე ჩნდება პირველი ქართული გაზეთიც, რომელზედაც ცალკე გვექნება საუბარი.

ეპოქა, რომელზედაც ლაპარაკი გვაქვს—ეს არის ხანა, როდესაც ჩვენი ცხოვრების მესვეურობას თავადაზნაურობა ეწევა და ერის წარმომადგენლობას, კულტურის მეთაურობას ჩემულობს. გლეხობა ბატონყმობის უღელ-



„ქართული გაზეთი“. 1821 წ. (დაბატარავებულია).

შია გაბმულბ და კულტურისაგან ძალიან შორსაა. მწიგნობრობა უმთავრესად განვითარებულია ისევ თავადაზნაურთა და ზოგიერთ მოქალაქეთა წრეში. მაგრამ ბეჭდვა ძალიან ჩამორჩენილია.

უამთ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ შიდაშო მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საშო—

ასე მიმართავდა ნიკოლოზ ბარათაშვილი მეფის ერეკლეს საფლავს. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგიცა და ალექსანდრე ქავჭავაძეც ისევ მოკვდენ, რომ თავისი ნაწარმოებნი დაბეჭდილი არ უნახავთ. მათი ლექსები ხელნაწერად ვრცელდებოდა და ისიც შედარებით ვიწრო წრეში, უმთავრესად ქალაქად.

ამ ხანებში წიგნები კვლავ მოსკოვსა და პეტროგრადს იბეჭდებოდა, თუმცა ბეჭდვის ცენტრი ნელნელა საქართველოსკენ გადმოდიოდა.

წიგნის პროდუქცია 1819-დან 1866 წლამდე

ამ პერიოდის წიგნის პროდუქციის სურათი შემდეგნაირია:

სახელწოდებათა რაოდენობა 188
 ფორმათა რაოდენობა 2207

ე. ი. საშუალოდ თითოეულ წიგნზე მოდის დაახლოებით 11,5 ნაბეჭდი ფურცელი. უკვე მარტო ეს ციფრი გვიჩვენებს, რომ იბეჭდებოდა უმთავრესად დიდტანიანი წიგნები, განსაკუთრებით სასულიერო შინაარსისა (პრაქტიკული საჭიროებისთვის) და ზოგიერთი კლასიკოსის თხზულებანი. იბეჭდებოდა აგრეთვე ქართული ისტორიული ძეგლები და ქრესტომატიები, რომლებშიაც ძველი მწერლობის ნიმუშები იყო თავმოყრილი. მარტო პლატონ იოსელიანმა გამოსცა თერთმეტი წიგნი (1838-დან 1853 წლამდე). გამომცემლებადვე უნდა ჩავთვალოთ დ. ჩუბინაშვილი, მ. ბროსე და სხვანი, რომლებზედაც ცალკე ვილაპარაკებთ. ახლა კი დავუბრუნდეთ ისევ ამ პერიოდის სტატისტიკურ ცნობებს. დარგთა მიხედვით წიგნები შემდეგნაირად ნაწილდება:

დარგები	სახელწოდებათა რაოდენ.	ფორმათა რაოდენ.
მხატვრული ლიტერატ.	34	223
სასწ.-პედაგ.	41	339
სამეცნიერო	26	453
სახ. საკითხავი	10	72
სასულიერო	51	1056
კალენდრები და ნარევი	26	64
სულ	188	2407

საერთო რიცხვთან შედარებით თითოეული დარგის პროცენტული შეფარდება ასეთია:

სახელწოდ. მიხედვით

ბელეტრისტიკა 18%
 სასწავლო-პედაგოგიური 21,8%
 სამეცნიერო 13,8%
 სახ. საკითხავი 5,3%
 სასულიერო 27,3%
 კალენდრები და ნარევი 13,8%

იგივე შეფარდება ფორმათა მიხედვით ამნაირ სურათს გვაძლევს:

ბელეტრისტიკა	10,1%
სასწავლო-პედაგოგიური	15%
სამეცნიერო	25%
სახ. საკითხავი	3,2%
სასულიერო	43,8%
კალენდრები და ნარევი	3%

უნდა აღინიშნოს, რომ განვილი პერიოდის წელიწადში დაახლოებით ბეჭედბოდა:

	სახელწოდ.	ფორმ. რაოდ.
ბელეტრისტიკა	0,7	4,6
სასწავლო-პედაგოგ	0,9	7
სამეცნიერო	0,5	9,5
სახ. საკითხავი	0,2	1,5
სასულიერო	1,06	22
კალენდრები და სხვა	0,5	1,3

შევადაროთ ახლა ამ პერიოდის ცნობები ძველი საქართველოს წიგნის პროდუქციის. დარგების პროცენტული შეფარდება ამ პერიოდებისა ამნაირია:

და რ გ ე ბ ი	1629—1818	1819—1866	მომატება ან დაკლება %
	ფორმათა მიხედვით	ფორმათა მიხედვით	პროც.
მხატვრული ლიტ.	0,8	10%	+ 10
სასწ.-პედაგ.	3,4	15%	+ 11,6
სამეცნიერო	6,8	26%	+ 18,2
სახ. საკითხავი	3,5	3,2%	— 0,3
სასულიერო	79,5	43,8%	— 25,7
კალენდრები და ნარევი	6,0	3%	— 3

ამნაირად, ჩვენ ვამჩნევთ ფრიალ საყურადღებო მოვლენას: მატულობს და საკმაო დიდი პროცენტითაც, ბელეტრისტიკის, სასწავლო-პედაგოგიური, სამეცნიერო შინაარსის წიგნთა ხვედრითი წონა, ხოლო თანდათანობით კლებულობს სასულიერო დარგი, თუმცა სხვა დარგებთან შედარებით იგი მაინც ყველაზე დიდია. ძველს პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციაში მისი ხვედრითი წონა შეადგენდა თითქმის 80%-ს, ახალში კი მხოლოდ 43,8-ს შეადგენს.

ყველა ამის შემდეგ ფრიალ საინტერესოა აგრეთვე თვალი გავადევნოთ იმას, თუ რამდენი წიგნი იბეჭდებოდა თითოეული წლის განმავლობაში და რა დარგის:

რაჭველიშვილი

წიგნის პაროდუცია წლების მიხედვით (1819—1866).

წლები	ბელეტრისტიკა		სასწავლებლ.		სამეცნიერო		სახ. საკითხავი		სასულიერო		კალენდრები და ნარევი		სულ	
	სახელწოდ.	ფორმები	სახელწოდ.	ფორმები	სახელწოდ.	ფორმები	სახელწოდ.	ფორმები	სახელწოდ.	ფორმები	სახელწოდ.	ფორმები	სახელწოდ.	ფორმები
1819.	1	2	—	—	—	—	—	—	1	12	—	—	2	14
1820.	—	—	1	12	—	—	—	—	1	16,5	—	—	2	28,5
1821.	—	—	1	6	1	22	—	—	3	51,5	—	—	5	79,5
1822.	—	—	—	—	—	—	—	—	2	83,5	—	—	2	83,5
1823.	—	—	1	10	—	—	—	—	2	25	—	—	3	35
1824.	—	—	—	—	1	8,5	—	—	4	97	—	—	5	105,5
1825.	—	—	2	10	—	—	—	—	4	86	—	—	6	96
1826.	—	—	1	15	1	9	1	11,5	2	62	—	—	5	97,5
1827.	—	—	—	—	1	7	1	5	1	9,5	1	0,5	4	22
1828.	—	—	—	—	—	—	1	19,5	—	—	—	—	1	19,5
1830.	—	—	—	—	2	6	1	1	1	2	—	—	4	9
1831.	—	—	—	—	1	19,5	—	—	—	—	—	—	1	19,5
1833.	—	—	—	—	1	15	—	—	—	—	1	0,5	2	15,5
1834.	—	—	—	—	1	18	—	—	—	—	—	—	1	18
1838.	1	3,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	3,5
1839.	—	—	—	—	1	7	—	—	—	—	1	2	2	9

ბატონყმობის გადავარდნიდან გუზათა მოქრობის დაწყებად (1867—1890)

სამოციანი წლები და გლეხთა განთავისუფლება, მიუხედავად ამ რეფორმის კუდმოკვეცილობისა, ჩვენი ხალხის ცხოვრებაშიაც ახალი ხანის დასაწყისი შეიქმნა. მთელმა რუსეთმა მაშინ ამირანისებური ნაბიჯი გადადგა წინ და ახალი ეპოქის სიომ საქართველოშიაც დაჰბერა.

აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების ბრძანება გამოაქვეყნეს 1864 წლის 13 ოქტომბრის მანიფესტით. დასავლეთ საქართველოში — 1865 წლის 13 ოქტომბერს, სამეგრელოში 1866 წლის 1 დეკემბერს, ხოლო აფხაზეთში — 1867 წელს. როგორც ვთქვით, რეფორმა ჩვენში შეკვეცილად განახორციელეს და გლეხებს აუარებელი მიწა ჩამოაჭრეს. მებატონეთა ხელში დარჩა აგრეთვე ტყე, საძოვრები, წყალი.

ტფილისის ყოფ. გუბერნიაში ბატონყმობის დროს გლეხთა მფლობელობაში იყო 7.049 დესეტინა ვენახ-ბაღი, 34.992 დესეტ. სარწყავი მიწა, 46.624 დესეტ. ურწყავი, სულ 84.665 დესეტინა. დაახლოებით სულზე მოდიოდა 5,9 დესეტინა. რეფორმამ გლეხებს ბალ-ვენახები თითქმის უკლებლივ დაუტოვა, სარწყავ-ურწყავი მიწების რაოდენობა კი შეუმცირა 25.254 დესეტინამდე, ასე რომ გლეხობამ დაკარგა დაახლოებით 23.986 დესეტინა მიწა. ამიტომ მიწის ნორმამ წინანდელი 5,9 დესეტინიდან 3,9 დესეტინამდე დაიწია. თითოეულ სულზე მოდიოდა $\frac{1}{2}$ დესეტ. ნაკლები. 1334 კომლს მამული სულ არ მიუღია, 386 კომლმა ნორმაზე ნაკლები მიიღო. საერთოდ გლეხობის დაახლოებით 13 პროცენტს მიწის საკმაოდ რაოდენობა არ მიუღია.

მიწა გლეხობას მიეცა სამუდამოდ სარგებლობისათვის და უფლებამჟღერა მემამულისაგან გამოესყიდა იგი. მამულის სარგებლობისთვის გლეხი იხდიდა ღალას ნატურით, ხანდახან კი ფულად. ღალა დაახლოებით მოსავლის $\frac{1}{3}$ -ს უდრიდა. გამოსყიდვისათვის ნაგულისხმევი იყო მთავრობის მხრით ფულადი დახმარება, მაგრამ მიწის ფასთან შედარებით იგი იმდენად მცირე თანხას წარმოადგენდა, რომ გამოსყიდვას ნაკლებად თუ ახერხებდა ვინმე. ამნაირად წარმოიშვა დროებით ვალდებულ გლეხთა კატეგორია, რომელიც მოისპო მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს — 1912 წლის დეკემბერში.

მაგრამ გლეხობის პირად განთავისუფლებას ფრიალ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დიდი ვაჭირვებით, მაგრამ იგი მაინც ახერხებდა მამულის გამო-

სყიდვას და დამოუკიდებელი მეურნეობის მოწყობას. რადგან მიწა არ ჰყოფნიდა, გლეხობა იძულებული იყო ყოფილი ბატონებისაგან იგი იჯარით აეღო, რისთვისაც მას ფული ესაჭიროებოდა. და აი, გლეხობა სოფლის გარეშე ეძიებს სამუშაოს, რათა დამოუკიდებელი მეურნეობის მოწყობა შეიძლოს. სოფლიდან ქალაქად ლტოლვა თანდათან ძლიერდება და გლეხობაც გათვითცნობიერებას იწყებს, ნელნელა გამოდის სიზოგადოებრივ ასპარეზზე. თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, რომელსაც ჩვენი ერის მე-



„ტფილისის უწყებანი“. (დაბატარავებულია).

საჭედ მიაჩნია თავი, ნელნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიექანება სრული ეკონომიური და საზოგადოებრივი გაკოტრებისაკენ.

ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ჩვენში ნატურალური მეურნეობა იორღვევა და ძლიერდება ჯერ სავაჭრო, შემდეგ სამრეწველო კაპიტალი. როგორც ვთქვით, გლეხობა მიეშურება ქალაქისკენ (ქუთაისი, ბათომი და ტფილისი). პირველ ხანებში იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფელთან და „მოგებული“ ფულიც უმთავრესად „ნადელის“ გამოსასყიდად სჭირია. ამ გამოყიდვას უფრო ადრე დასავლეთ საქართველოს გლეხობა ახერხებს, ვინაიდან იქ თავად-აზნაურობა საერთოდ ქართლისთანა მძლავრი არ ყოფილა. 80-იან წლებში ჩვენში მნიშვნელოვანი ამბავი ხდება: რკინისგზით შეაერთებენ ბათომ-ბაქოს. გაყვანილ იქნა ბათომ-სამტრედიის შტო

(1883 წ.), ხოლო 1884 წლიდან დაიწყო ბათუმის ნავთსადგურის გაფართოება-გაუმჯობესება. მიმოსვლა და მეზობელ ქვეყნებში გასვლა გლახობას ამით გაუადვილდა. ქართველ გლეხს უკვე ხშირად შეხვდებით საქართველოს გარეშეც სამუშაოდ წამოსულს. ამავე ხანებში ტფილისში არსდება და მალე ფართოვდება რკინის გზის სახელოსნოები და ბათომში ჩნდება ფაბრიკა-ქარხნები. იზრდება აგრეთვე ჭიათურის შავი ქვის და ტყიბულის ქვანახშირის ექსპლუატაცია. ყველაფერი ეს ხელს უწყობს გალატაკებული გლახობიდან გამოსული ელემენტების ჩამოყალიბებას: ჩნდება პროლეტარიატი. ის ჯერ მცირერიცხოვანია, მაგრამ მალე იწყებს ბრძოლას ძველი საზოგადოებრივი ძალების წინააღმდეგ, ბრძოლას თავისი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დგება უკვე ხანა მუშათა მოძრაობისა, რომელიც სხვა ეპოქის დასაწყისია და ახლა ჩვენ მას არ შევხვებით.

რაგვარი იყო საზოგადოებრივ-კულტურული ვითარება ჩვენი ხალხისა ბატონყმობის გადავარდნიდან მუშათა მოძრაობის დაწყებამდე?

ჩვენ აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა საზოგადოებრივ დაჯგუფებებთან, რომლებიც უმთავრესად კულტურულ და სალიტერატურო მუშაობას ეწევიან: ესენი არიან — სამოციანი წლების მოღვაწენი ანუ თერგდალეულები, ნაროდნიკები (ხალხოსნები) და არათავადაზნაურული ინტელიგენცია — ეგრეთწოდებული „დიაკვნის შვილები“, ისინი, ვისაც რუსეთში „რაზნოჩინცებს“ უწოდებდნენ (ეჟურნალ „იმედის“ ჯგუფი).

სამოციანი წლების ეპოქის მოღვაწე ლიტერატორები უმთავრესად თავადაზნაურობის წრიდან იყვენ გამოსულნი, რადგან ჯერ კიდევ თავადაზნაურობა მესვეურობდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. სამოციანი წლებში გამოვიდა ასპარეზზე მთელი დასი მგოსნებისა და პუბლიცისტებისა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, სერგეი მესხი, შემდეგ გიორგი წერეთელი და სხვანი. დაიწყო გაცხარებული სალიტერატურო ომი ძველ თაობას, „მამებსა“ და ახალთაობას — „შვილებს“ (თერგდალეულებს) შორის. ძველების გამოჩენილი წარმომადგენელი იყო მგოსანი გრიგოლ ორბელიანი, ხოლო „შვილების“ მებაირალტრედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა.

რა პროგრამა ჰქონდა ახალთაობას? მამულიშვილური (ნაციონალური) ლიბერალიზმი — აი, რა შეიძლება ვუწოდოთ ამ ახალ მიმართულებას. ყველა დაწესებულებიდან დევნილი ქართული ენის დაცვა, ეროვნული შეგნების გაღვიძება და პატრიოტული გრძნობის გაღვივება — აი, მაშინდელი პოეზიისა და პუბლიცისტიკის ძირითადი მოტივები.

სამოციანი წლების მოღვაწეებს შეიძლება ვუწოდოთ იგივე სახელი, როგორიც რუსეთის იმდროინდელ მოღვაწეებს ერთმა რუსის მწერალმა უწოდა: ისინი იყვნენ მიწის იდეალისტები („идеалисты земли“). სალიტერატურო მოღვაწეობასთან ერთად ისინი საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდნენ, ხელმძღვანელობდნენ თუ მუშაობდნენ ბანკებში, სხვადასხვა საკულტურო დაწესებულებებში და სხვა. ოთხმოციანი წლების დამდეგს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც შემდგომ ხანებში უდიდესი როლი

ითამაშა, როგორც წიგნების გამომცემლობასა, ისე მის გავრცელებაში თავისი მალაზიების საშუალებით. ტფილისში არსდება და მრავლდება სტამბები, რომლებშიაც უმთავრესად ჟურნალ-გაზეთები და წიგნები იბეჭდება.

სტამბები ჩვენსა და უცხოეთში

სამოციან წლებშივე ჩაიდგება ტფილისში ქართული სტამბის მოწყობისა და შრიფტის ჩამოსხმის საქმე. 1860 წელს გაიხსნა ენფიანჯიანცის და როტინოვის სტამბა, რომელშიაც იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის ჟურნალი „საქართველოს შოამბე“. ყველაზე კულტურულად და ტექნიკურად ქართული წიგნებისათვის შეგუებული იყო სტ. მელიქიშვილის და ამხ-ბის სტამბა, რომელიც 1864 წელს გაიხსნა. 1866 წლიდან ამ სტამბაში დაიწყო გაზეთ „დროების“ ბეჭდვა. სტამბაში ამხანაგებად იყვნენ ვახტ. თულაშვილი, დ. ბაქრაძე, სტ. მელიქიშვილი, ოფიციალური რედაქტორი „დროებისა“. საერთოდ ამ ხანაში არსებობდა შემდეგი სტამბები, რომლებშიაც ქართული წიგნები იბეჭდებოდა:

	დაარსების დრო
ენფიანჯიანცისა და როტინოვისა	1860 წ.
ბულდან მუნთოვეისა	1855 „
ჟურნ. „მნათობისა“	1869 „
დუბელირისა	1846 „
კრამარენკოს სტამბა	1870 „
სტ. მელიქიშვილის სტამბა	1864 „
ექვთ. ხელაძისა	1875 „
მ. ვართანიანცისა	1877 „
გრ. ჩარკვიანისა	1880 „

და სხვა. გარდა ამისა, ამ ხანებში ქართული წიგნები იბეჭდებოდა ქუთაისშიაც. დასავლეთ საქართველოში იყო შემდეგი სტამბები:

	დაარსების დრო
საკუბერნიო სტამბა	1830 (ქუთ.)
სტ. „გუტენბერგი“	1860 „
ფერაძისა	1880 „
კოწია თავართქილაძისა	1887 (ოზურგ.)

და სხვა. შედარებით მრავლად იბეჭდებოდა ქართული წიგნი მაშინდელ საზღვარგარეთულ ქართულ სტამბებშიაც. ასეთი სტამბები იყო — ვენეციაში (ვენეტიკში) — დაარსებული პეტრე ხარისქარაშვილის მიერ — 1855 წ. შემდგომ კონსტანტინეპოლს (1860 წ.), სადაც დაახლოებით 10 — 12 წიგნი დაიბეჭდა. სტამბა იყო აგრეთვე საფრანგეთში — მონთობანს — იმავე პეტრე ხარისქარაშვილის მეცადი-

ნეობით მოწყობილი. ყველა ამ სტამბაში ქართული წიგნები იბეჭდებოდა დაახლოებით 80-იანი წლების დამდეგამდე. ნაბეჭდი წიგნები შემოდის და საქართველოში ყოველ ცალკე შემთხვევაში საცენზურო კომიტეტის დასტურით. მონთობანის სტამბის მესვეურებს მიზნად ჰქონიათ დასახული ქართული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენა-თარგმნა და ბეჭდვა. 1879 წელს კონსტანტინეპოლიდან მოსული წიგნების ნუსხაში ჩამოთვლილია სწორედ ასეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც საზღვარგარეთ დაბეჭდილა და რომლებიც ახლა საქართველოში გამოეგზავნათ:

1. მსოფლიო ისტორია;
 2. ქართული გრამატიკა;
 3. გეოგრაფია;
 4. სიბრძნე კაცობრივი;
 5. ქართული რეტორიკა;
 6. ფილოსოფია ანუ რეტორიკა;
 7. ბრძენი კაცი;
 8. რჩეული ლექსები;
 9. თანსატარებელი ლოცვის წიგნი;
 10. წალკოტი — ლოცვანი;
 11. სახელმძღვანელო ფრანციული ენის შესწავლისათვის;
 12. ფრანციულ-ქართული გრამატიკა;
 13. წმინდანების ცხოვრება;
 14. ეზოპის იგანნი;
 15. საქრისტიანო მოძღვრება — დაბეჭდილი ვენეტიკს და სხვანი.
- ზემოხსენებული წიგნები მოსულა საქართველოში 2452 ცალად¹⁾.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება

ახლა შევხებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას, რადგან ამ საზოგადოებამ დიდი როლი ითამაშა ქართული წიგნის გამოცემა-გავრცელებაში. მისი დაარსების ისტორია მოკლედ არის მოთხრობილი იმ ნაწყვეტში, რომელიც „საქართველოს კალენდარში“ (1905 წ.) იყო მოთავსებული და დაბეჭდილია სხვადასხვა შრიფტით. ის იმდენად საინტერესოა, რომ მოგვყავს იგი სრულად კლიშის სახით (იხ. გვ. 57, 58 და 59).

ეს ხელნაწერი შედგენილია შემდეგნაირად:

I	ნაწილი დაწერილია	IX	საუკუნის ასოებით
II	„ „	X	„ „
III	„ „	XI	„ „
IV	„ „	XII	„ „
V	„ „	XIII	„ „

¹⁾ RIK, № 269/30 — 1879 წ.

VI	ნაწილი დაწერილია	XIV	საუკუნის ასოებით
VII	"	"	XV
VIII	"	"	1712 წ. ნაბეჭდი ასოებით
IX	"	"	ჟურნალ „ცისკრის“ ასოებით.

ტექსტი შემდეგი შინაარსისაა:

I. „საზოგადოების დაარსების აზრი ჯერ კიდევ 1870 წ. დაიბადა. მაგრამ მისი განხორციელება დაიწყო 1877 წ. როდესაც რუსეთ-ოსმალეთის ომის გამოცხადებისა გამო მთავრობამ ნდობისა და მოწოდების ქალაქი გამოსცა ქართველი ერის მიმართ. საქმის მეთაურები იყვნენ:

II. ი. გოგებაშვილი,
 ნ. ცხვედაძე და ვ. თულაშვილი. მათ შეუერთდნენ მერე დ. ყიფიანი, ბეს. ლოლობერიძე და ი. ჭავჭავაძე. იშოვნეს ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოების წესდება და შეუდგნენ მომავალ „ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგადოების“ წესდების შედგენას.

სახალხო მოძრაობის დასაწყისი რუსეთის საზოგადოების დაარსების აზრი ჯერ კიდევ 1870 წ. დაიბადა. მაგრამ მისი განხორციელება დაიწყო 1877 წ. როდესაც რუსეთ-ოსმალეთის ომის გამოცხადებისა გამო მთავრობამ ნდობისა და მოწოდების ქალაქი გამოსცა ქართველი ერის მიმართ. საქმის მეთაურები იყვნენ:

III. ამის გამო კრებები იმართებოდა 1877—78 წ. როდესაც წესდება დამზადდა, 30 იანვარს 1878 წ. გრ. ორბელიანის სახლში შეიკრიბა ყველა, ვისაც მონაწილეობა უნდა მიეღო საზოგადოებაში, როგორც წევრს.

IV. წესდება მიღებულ იქნა კრების მიერ, რომელმაც დ. ყიფიანს, ი. ჭავჭავაძეს და ბეს. ლოლობერიძეს მიანდო მისი წარდგენა მთავრობასთან დასამტკიცებლად. წესდების დამტკიცება დაგვიანდა. მთავრობამ მოითხოვა მესამე მუხლის შეცვლა, რომელიც ამბობს:

V. „საზოგადოება თავის სავანს მიაღწევს იმით, რომ სახალხო სკოლებში დასაწყისს სწავლებას შემოიღებს სამშობლო, ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე“.

VI. 1879 წ. 26 მარტს დ. ყიფიანმა წარუდგინა მთავრობას ვრცელი განმარტება ამის შესახებ და წესდება დამტკიცებულ იქნა რამოდენიმე დღის შემდეგ, 31 მარტს.

VII. საზოგადოებას დაარსებისას ჰყავდა 126 წევრი. დღეს ჰყავს ათასზე მეტი. დღეს საზოგადოების ხელშია 8 სკოლა და 11 სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. საზოგადოების სკოლებში სწავლობს 1250 მოსწავლე. ბიბლიოთეკებში 16 ათასზე მეტი წიგნია, რომლითაც სარგებლობს 2300 კაცი. საზოგადოების სამკითხველოში წელიწადში შედის 62 ათასი მკითხველი.

VIII. გარდა ამისა საზოგადოებას აქვს ბიბლიოთეკა-მუზეუმი, რომელშიაც შეკრებილია დღეს 3954 ქართული ხელნაწერი და წიგნი და 1678

ხედავდ იმისა, რომ ქართული ენა დევნილი იყო და ქართულ წიგნსაც ნაკლები გასავალი ჰქონდა, საზოგადოებას ისე კარგად მიჰყავდა წიგნის გამოცემა-ვაჭრობის საქმე, რომ ყოველთვის მოგება რჩებოდა და ამ მოგებას თავისი მოღვაწეობის სხვა დარგებს ანდომებდა. ოცდაცამეტი წლის გან-

VI
1879 26 მარტს ო. ყიფიანმა
ქარაუღვინა მთაწარეს ერთე-
ლი განმარტეუნი იმის შესახებ
და კესტეუნი რამტკიცეულოიქნა
რამტენიბე ითის შემოეგ 31 მარტს.

VII
საზოგადოეუს დაარსეისას ყაფა 126
წეუნი. იღეს ჰყავს ათასზე მეტი. იღეს
საზოგადოეუს ხელოა 8 სკოლა და 11

სახოლსა უკოლითეუ. სამეიხეულო საზო-
გადოეუს სკოლეში სწეოლეს 1250
მოსწეოლე უკოლითეუში 16 ათასზე
მეტი წიგნია. რომლითაც სარეულო-
უს 2300 კაცი საზოგადოეუს სამეი-
ხელოში წეოიწარში შეის 62 ათასი
მეიხეული.

VIII
გარდა ამისა საზოგადოებას აქვს მიხლითეუა
მეხეუმი ზომელშიაც შეკრებილია ღღეს 3954
ქართული ხელოწერი და წიგნი და 1678 წიგნი
ეუცხო ენებზე, შემთავრესად შესახებ საქართველოსა
და კავასიისა. და სხვა და სხვა საისტორიო ნივთი.

IX
საზოგადოებას აქვს საეუთარი მღვთა ქართულის
წიგნებისა. რომელიც შეიღეს წეოიწარში 20 000 რ.5.

მავლობაში ეს მოგება დაახლოებით 56.000 მანეთს უდრიდა, რაც იმ დრო-
ისთვის ფრიად დიდ თანხას წარმოადგენდა. თუმცა საგამომცემლო მოღვა-
წეობა ამ საზოგადოებისა უფრო შემდგომ პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ მისი
საქმიანობის სურათის დასამთავრებლად ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს, თუ რა-

შდენი სახელწოდების წიგნი და რა ტირაჟით გამოუცია მას წლების მიხედვით. ეს ცნობები ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენი მუშაობა გაუწევია წ. კ. გამაერც. საზოგადოებას საგამომცემლო დარგში. პროდუქციაში ჩვენ არ შეგვიტანია ეგრეთწოდებული გრაფიკა (ქართველ მწერალ-მოდვაწეთა სურათები და სხვა). ცნობები ასეთია (ნაკლული):

წ ლ ე ბ ი	სახელწოდება	ტირაჟი	წ ლ ე ბ ი	სახელწოდება	ტირაჟი
1888/89	—	22.600	1908	—	90.400
1889/90	—	13.200	1909	4	32.000
1890/91	—	18.600	1910	4	64.000
1891/92	—	30.477	1911	5	52.000
1892/93	2	1.200	1912	8	34.484
1893/94	—	14.400	1913	14	120.000
1894/96	8	32.798	1914	8	32.000
1897	5	8.482	1915	8	14.923
1898	5	28.800	1916	—	132.831
1899	—	27.330	1917	7	102.000
1900	7	26.400	1918	18	134.000
1901	4	18.570	1919	24	136.150
1902	9	29.700	1920	44	384.970
1903	—	26.000	1921	5	38.500
1904	7	32.900	1922	2	13.000
1905	—	20.950	1923	1	45.000
1906	—	45.000	1924	1	2.000
1907	—	58.800			
			ს უ ლ . . .	?	1.867.815

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წ. კ. საზოგადოების წიგნის პროდუქციის შემცირება იმით აიხსნება, რომ მისი ფუნქციები ამ მხრით სავსებით სახელმწიფო გამომცემლობამ იკისრა და საზოგადოებას გამოეცალა საარსებო ნიადაგი.

ამ პერიოდის წიგნის პროდუქცია

ის პერიოდი, რომელიც ჩვენ განვიხილეთ, რასაკვირველია, ნაყოფიერი იყო წიგნის პროდუქციის როგორც რაოდენობის, ისე ხარისხით და სოციალური დანიშნულებით. ჩნდება ეგრეთწოდებული სახალხო ლიტერატურა, რომელსაც ხშირად ბაზრულ ლიტერატურასაც უწოდებენ. პირველ ხანებში იგი მართლაც დაბალ დონეზე დგას, მაგრამ უდიდეს როლს თამაშობს: იგი აჩვენებს ხალხს კითხვას, ასწავლის ანბანს. სწორედ იმავე

ხანებში რუსის მწერალი ნეკრასოვი ნატრობდა: ნეტა როდის დადგება ის ნეტარი დრო, როდესაც რუსის გლეხი

Не Милорда глуного,

Белинского и Гоголя

С базара понесет-а.

ჩვენშიაც სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო; ჩვენი მშრომელი ხალხი ახლად ფეხს იდგამდა და თვალებს იფშვნიტდა. რა ეუყოთ, რომ მას „ქალაქიანი“, „ყარამიანი“, „ბარამიანი“ და სხვა მისთანები მოსწონდა! იგი აღტაცებით კითხულობდა ამასთანავე ყოველგვარ საგმირო ამბებს, შესტროფოდა არსენას. მის ლექსს, წინათ მხოლოდ მესტიერისაგან განაგონს, ახლა ჩათვლით, მაგრამ მაინც კითხულობდა! ეს იყო შესამზადებელი პერიოდი, როდესაც სახალხო მგოსნები, ეგრეთწოდებული ბაზრის პოეტები, ამულები უკვე აღარ კმარობდნენ მარტოოდნენ ზეპირ გაშაირება-სიმღერას, არამედ თავისი ნაწარმოებებით წიგნის ბაზარზედაც გამოდიოდნენ. ამ მხრით საესებით მართალს ამბობს ამ მგოსანთა შემოქმედების გულთბილი მკვლევარი ჩვენი მგოსანი ი. გრიშაშვილი:

„სურვილგაღვიძებული ხალხი ეტანებოდა იმ წიგნებს, რომლებიც მისაწვდომი იყო და რომლებსაც მას აწვდიდნენ. ერთი ყარაჩოღელი ესაღოფი იყო, რომელიც განიერი შარვლით, და ვერცხლის ქაბრით დადიოდა ტფილისის ქუჩებში და კალათით წიგნებსა ჰყიდდა. ამრიგად, ძველი ტფილისის ბაზარს, გარდა საკუთარი მწერლებისა, მხატვრებისა და გამოცემლებისა, — თავიანთი წილიდან წარმოშობილი მოხეტიალე ბუკინისტებიცა ჰყავდა... ეს წიგნები სრულიად შეუგნებლად პირველდაწყებითი ანბანის მოვალეობას ასრულებდა და თვით ავტორებიც მდაბიო ხალხისთვის, ასეთ თუ ისე, პატარა გოგებაშვილებად გახდნენ. მეტად საგულისხმოა, რომ ამ „შაურიან წიგნებს“ პირველ გვერდზე ხშირად შესავლის ნაცვლად დართული ჰქონდა ხოლმე ანბანი... და აი, ეს წიგნები, რომლებშიაც მდაბიურად და ხალისიანად იყო დაწერილი ბაზრის ყოველივე ღირსშესანიშნავი მომენტი, ხელიდან ხელში გადადიოდა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა ძალაუნებურად თვითგანვითარებას ეწაფებოდა“¹⁾.

ამიტომ ჩვენ მთელი ეს „საბაზრო ლიტერატურა“ სრულის შეგნებით სახალხო საკითხავ წიგნთა რუბრიკაში მოვაქციეთ. ამ დარგმა, ცხადია, შემდგომ ხანებში ხასიათი შეიცვალა, განსაკუთრებით წერა-კითხვის საზოგადოების მიერ საგამოცემლო მოღვაწეობის დაწყების შემდეგ, მაგრამ იმ ხანებში სწორედ რომ დიდ კულტურულ როლს ასრულებდა და მისი უგულებელყოფა ყოვლად შეუწყნარებელია.

ეს პერიოდი სულ რაღაც ოცდაათხ წელიწადს შეიცავს, მაგრამ აბა, გადაჰხედეთ მას, თუ რა ძირითადი ცვლილება! ამ ხანში გამოიცა:

1) ი. გრიშაშვილი ი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. სახელგამი, 1928 წ. გვ. 84 და 101.

სახელწოდება 1.090
 ტირაჟი 1.673.900
 ფორმათა რაოდენობა 4.047
 ფურცლადობა 6.269.700

დარგების მიხედვით ეს პროდუქცია შემდეგნაირად ნაწილდება:

წიგნის პროდუქცია 1867—1890 წწ.

დ ა რ გ ე ბ ი	სახელ- წოდებათა რაოდენობა	ტირაჟი	ფორმათა რაოდენობა	ფურცლა- დობა
პოპულარულ-პოლიტიკური.	16	12.400	45,5	39.900
სახალხო საკითხავი.	276	340.600	394,5	589.900
საბავშვო.	49	59.700	170,5	165.100
კალენდრები, წესდებანი და ნარევი.	107	174.900	296	607.000
მხატვრული ლიტერატ	307	376.800	1.128	1.429.200
სახელმძღვანელოები და პედაგოგ.	149	395.400	843	1.988.200
მეცნიერული სხვადასხვა დარგისა	75	66.500	336,5	301.100
სასულიერო	111	152.000	832	1.149.300
ს უ ლ	1.090	1.578.300	4.047	6.269.700

პროცენტული შეფარდება ამ პროდუქციისა შემდეგნაირა:

პროცენტული შეფარდება 1867—1890 წ. წიგნის პროდუქციისა

დ ა რ გ ე ბ ი	სახელწოდე- ბათა მიხედ- ვით	ტირაჟის მიხედვით	ფორმათა რაოდენობის მიხედვით	ფურცლადო- ბის მიხედვით
	%	%	%	%
პოპულარულ-პოლიტიკური.	1,5	0,8	1,1	0,6
სახალხო საკითხავი	25,3	21,6	9,8	9,4
საბავშვო.	4,5	3,2	4,2	2,6
კალენდრები, წესდებანი და ნარევი.	9,8	11	7,3	9,6
მხატვრული ლიტერატურა	28	24,2	28	22,8
სახელმძღვანელოები და პედაგ.	13,7	25,2	20,8	31,8
მეცნიერული სხვადასხვა და- რგის.	7	4,4	8	4,7
სასულიერო.	10,2	9,6	20,8	18,5

თუ ამ ეპოქის პროდუქციას შევადარებთ გასული ეპოქის პროდუქციას, ცვლილება უფრო ცხადი გახდება. წინა ეპოქა შეიცავს 48 წელს, ე. ი. სწორედ ერთიორად მეტს, ვიდრე ბატონყმობის შემდეგი დროინდელი. მიუხედავად ამისა მათი შეფარდება მაინც საყურადღებოა და გვიჩვენებს ქართული ლიტერატურის ზოგიერთი დარგის საოცარ ზრდას.

წიგნის პროდუქცია 1819—1866 და 1867—1890 წწ. ეპოქებისა

დ ა რ გ ე ბ ი	1819—1866		1867—1890		დაკლება ან ზრდა %-ის ფორმითა მიხედვით
	სახელწოდებათა რაოდენ.	ფორმათა რაოდენ.	სახელწოდებათა რაოდენ.	ფორმათა რაოდენ.	
პოპულარულ-პოლიტიკური	—	—	16	45,5	+100
სახალხო საკითხავი	10	72	276	394,5	+548
საბავშვო	—	—	49	170,5	+100
კალენდრები, წესდებანი და ნარევი	26	64	107	296	+462
მხატვრული ლიტერატურა	34	223	307	1128	+504
სახელმძღვანელოები და პედაგ.	41	339	149	843	+248
მეცნიერული სხვადასხვა დარგისა	26	453	75	336,5	—26
სასულიერო	51	1056	111	832	—22
ს უ ლ	188	2207	1090	4047	+183

რასაკვირველია, ეს შედარება საეხებით ზუსტი არაა, რადგან ერთ შემთხვევაში აღებულია 48 წლის პროდუქცია, ხოლო მეორეში 24-სა, მაგრამ მით უფრო საგულისხმოა საერთო ჯამი და შედეგები.

რამდენი წიგნი და რამდენი ფორმა იბეჭდებოდა წელიწადში 1819—1866 და 1867—1890 წწ. ეპოქებში:

დ ა რ გ ე ბ ი	1819—1866		1867—1890	
	სახელწოდებათა რაოდენობა	ფორმათა რაოდენობა	სახელწოდებათა რაოდენობა	ფორმათა რაოდენობა
პოპულარულ-პოლიტიკ.	—	—	0,6	1,9
სახალხო საკითხავი	0,2	1,5	11,5	16,4
საბავშვო	—	—	2	7,1
კალენდრები და ნარევი	0,5	1,3	4,5	12,3
მხატვრული ლიტერატურა	0,7	4,6	12,8	47
სახელმძღვანელოები და პედაგ.	0,9	7	6,2	35
მეცნიერული სხვადასხვა დარგ.	0,5	9,5	3,1	14,2
სასულიერო	0,5	9,5	4,6	34

საერთოდ კი 1818 — 1866 წ. ეპოქაში იბეჭდებოდა წელიწადში დაახლოებით 4 წიგნი — 46 ფორმა, ხოლო 1866 — 1890 წლებში — 46 წიგნი — 84 ფორმა — 65.760 ცალად. ზრდა ფრიად თვალსაჩინო და აშკარაა. ისტორიკოსს მართა ეს ცნობები რომ ჰქონდეს ხელთ, ადვილად წარმოიდგენს ჩვენი ქვეყნის ვითარებას ამ ეპოქაში. ყურადღება მიაქციეთ აგრეთვე იმას, თუ საითკენ მიიმართება წიგნის პროდუქცია სოციალური დანიშნულების მიხედვით, და თქვენთვის ნათელი გახდება ის დიადი სოციალურ-კულტურული გარდატეხა, ქარაველმა ხალხმა ბატონყმობის გადავარდნის პირველი 30 წლის განმავლობაში რომ განიცადა.

ქართული შრიფტი

სტამბის ხელოვნების განვითარებასთან ერთად წინ მიდიოდა ქართული შრიფტის საქმეც. როგორც ვიცით, პირველი ქართული წიგნი რომში დაიბეჭდა იმ ასოების მიხედვით, რომლებიც ამოკრეფილი იყო თეიმურაზ პირველის წერილიდან. ეს წერილი თეიმურაზმა რომის პაპს გაუგზავნა. რომის სტამბაში კარგა ხანს ქართული წიგნები სწორედ ამ შრიფტით იბეჭდებოდა.

როდესაც ტფილისში ვახტანგ ნეფემ სტამბა დააარსა, შემოღებულ იქმნა რომისაზე უფრო ლამაზი შრიფტი, რომელიც მაშინდელ საუკეთესო ხელნაწერს წარმოადგენდა. ამ შრიფტით არის დაბეჭდილი, მაგალითად, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“.

მთელი მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართული შრიფტი თითქმის არ შეცვლილა. ერეკლეს სტამბის უკანასკნელი წიგნები თითქმის ისეთივე ასოებით არის დაბეჭდილი, როგორითაც ვახტანგის სტამბის პირველი წიგნები.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მარი ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა ძველი ასოები ოდნავ გააუმჯობესეს და პეტერბურგის აკადემიის ქართულ სტამბას მიაღებინეს. ეს შრიფტი გაბატონდა და ეწოდება აკადემიური ციციერო. ტფილისში გამოცემული პირველი ქართული გაზეთის და შემდეგი გამოცემების შრიფტი ბევრად ჩამოუვარდებოდა აკადემიურს. დიდ ნაბიჯს წარმოადგენდა წინ ჟურნალ „ცისკრის“ შრიფტიც (1852 წ.). მაგრამ რადიკალური ცვლილება ქართულმა შრიფტმა მხოლოდ სამოციან წლებში განიცადა. როდესაც რუსეთიდან დაბრუნებული ახალგაზრდობა ძველ თაობას დაეტაკა, მან იგრძნო, რომ ყველაფერთან ერთად შესაცვლელი იყო, ასე ვთქვათ, ძველი კულტურის პოლიგრაფიული ბაზაც. ადარებდა რა ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთობას რუსეთისას — იგი ხედავდა, თუ რამდენად ჩამორჩენილები ვიყავით ამ მხრითაც. განსაკუთრებით ეს საგრძნობი შეიქნა მას შემდეგ, რაც ი. ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბის“ გამოცემას შეუდგა.

1863 წლის დამლევს ნ. ლოლობერიძის, ი. ჭავჭავაძის, ვ. თულაშვილისა, დ. ყიფიანისა და სხვათა ინიციატივით დაიწყო მუშაობა ახალი

წიგნის პაროდუქცია წლები მიხედვით (1867-1890). სახელწოდებანი და ტირაჟი

წლები	ბოჭულარ. პოლიტი.		სახალხო საკითხავი		საბავშვო		კალენდრები და ნარევი		მხატვრული ლიტ.		სახელმძღვან. და პედაგ.		მეცნიერული სხვადასხვა		სასულიერო		ს უ ლ	
	სახელ-წოდება	ტირაჟი	სახელ-წოდება	ტირაჟი	სახელ-წოდება	ტირაჟი	სახელ-წოდება	ტირაჟი	სახელ-წოდება	ტირაჟი	სახელ-წოდება	ტირაჟი	სახელ-წოდება	ტირაჟი	სახელ-წოდება	ტირაჟი	სახელ-წოდება	ტირაჟი
1867	—	—	—	—	—	—	1	2,400	3	3,000	2	4,800	—	—	2	2,400	8	12,600
1868	—	—	—	—	—	—	2	3,600	—	—	5	8,400	—	—	4	4,600	11	16,600
1869	—	—	2	1,800	—	—	2	3,600	1	1,400	4	7,200	1	800	—	—	10	14,800
1870	—	—	3	2,100	—	—	5	5,200	3	3,400	3	2,800	—	—	2	2,400	14	15,900
1871	—	—	—	—	—	—	1	2,400	5	4,000	—	—	1	1,400	1	1,200	8	9,000
1872	1	800	2	2,400	—	—	2	4,000	4	3,200	4	7,400	2	1,400	1	1,200	16	20,400
1873	1	200	4	4,200	—	—	2	1,900	5	4,600	4	8,400	1	800	2	2,400	19	22,500
1874	—	—	2	4,800	1	1,200	3	5,600	2	3,400	3	6,200	1	1,000	4	4,600	16	26,800
1875	—	—	10	12,400	—	—	3	9,000	17	13,000	3	8,000	2	1,800	4	4,200	38	48,400
1876	1	800	9	11,800	1	1,200	4	11,000	12	16,000	8	21,000	4	2,700	11	14,000	54	78,500
1877	—	—	6	7,000	2	2,000	2	4,400	7	10,800	7	11,000	2	2,000	3	5,000	29	42,200
1878	—	—	8	9,000	3	3,200	4	11,200	17	26,000	6	12,000	4	3,200	4	8,600	46	73,200
1879	—	—	16	21,200	2	2,800	6	10,000	19	31,000	6	17,400	4	6,800	12	16,000	67	105,200
1880	—	—	26	36,000	1	1,600	7	9,000	27	42,000	11	37,000	8	8,000	6	9,400	86	143,000
1881	—	—	12	14,000	5	4,200	6	9,600	14	18,000	4	16,000	2	2,000	5	8,000	48	71,800
1882	1	500	12	14,300	3	1,700	3	5,600	14	17,000	8	28,000	1	1,000	5	7,000	47	75,100
1883	—	—	17	28,000	3	4,600	7	9,000	17	24,000	7	30,000	6	3,400	6	10,000	63	109,000
1884	—	—	13	22,600	2	2,400	7	10,000	15	22,000	5	16,000	3	2,800	6	8,200	51	84,000
1885	—	—	22	20,000	4	6,000	9	12,000	25	30,000	8	20,000	6	4,000	5	6,000	79	98,000
1886	—	—	18	19,000	5	4,200	3	5,800	23	20,000	13	34,000	6	4,000	7	5,000	75	92,000
1887	3	2,500	24	30,000	5	6,000	7	10,000	16	24,000	9	20,000	4	5,000	5	7,000	73	101,500
1888	1	800	25	28,000	3	5,600	6	6,400	20	22,000	9	30,000	3	2,400	3	7,800	70	103,000
1889	5	4,000	22	24,000	4	7,000	9	10,000	20	24,000	12	26,000	6	6,000	8	10,000	86	111,000
1890	3	2,800	23	28,000	5	6,000	8	13,200	21	17,000	11	24,000	8	6,000	5	7,000	84	104,000

3
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31

წიგნის პარალელი (1867—1890). ფურცლები და ფურცლები

წლები	პოპულარ. პოლიტ.		სახალხო საკითხავი		საბავშვო		კალენდრები და წარუვი		მხატვრული ლიტერატ.		სახელმძღვან. და პედაგ.		მეცნ. სხვადასხვა დარგ.		სასულიერო		სულ		
	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები	ფურცლები
1867	—	—	—	—	—	4	12,000	26	28,000	6	14,400	—	—	—	28	21,600	64	76,000	
1868	—	—	—	—	—	2	3,600	—	—	53	79,000	—	—	—	78	80,800	133	163,400	
1869	—	—	3	2,800	—	5	9,600	1	1,400	15	24,000	8	6,400	—	—	—	32	44,200	
1870	—	—	7	14,700	—	7	9,600	17	13,200	16	20,200	—	—	—	41	49,800	88	107,500	
1871	—	—	—	—	—	2,5	6,000	28	27,600	—	—	—	—	—	10	12,000	49	57,500	
1872	1	800	2	4,800	—	6	10,200	16	19,000	13	20,000	5	5,200	—	10	12,000	53	72,800	
1873	6	1,200	4	4,200	—	3,5	4,000	18	15,600	22	21,000	10	8,000	—	20	24,000	90	79,400	
1874	—	—	9	7,000	13	15,600	10	17,000	3	4,200	13	21,000	3	3,000	—	22	17,400	73	85,200
1875	—	—	12	15,000	—	12	36,000	44	40,800	6	16,000	5	4,500	—	12	12,600	91	124,900	
1876	2	1,600	35	46,800	4	4,800	12	33,000	42	36,000	37	87,500	25	9,900	—	66	84,000	221	303,600
1877	—	—	20	23,400	9	9,000	7	16,800	16	25,400	32	51,000	11	11,000	—	11	19,000	106	155,600
1878	—	—	12	13,200	9	9,600	14	27,200	51	103,000	37	97,000	27	21,600	—	28	54,400	178	325,000
1879	—	—	13	17,600	9	12,600	11	24,200	52	105,000	37	102,000	17	22,000	—	35	54,000	175	337,400
1880	—	—	21	27,000	4	6,400	17	24,800	80	136,000	27	106,000	17	17,000	—	21	30,000	187	357,200
1881	—	—	11	16,000	16	17,600	15	26,000	49	64,000	26	88,000	7	7,000	—	40	64,000	162	282,600
1882	1	500	21	22,000	9	4,900	5	12,800	25	18,000	41	197,000	2	2,000	—	52	80,700	156	337,900
1883	—	—	22	30,000	10	12,600	13	11,500	50	62,000	24	79,000	9	17,000	—	27	75,000	155	286,600
1884	—	—	17	31,000	10	12,000	16	31,200	80	76,000	37	107,000	60	56,000	—	170	173,000	390	486,200
1885	—	—	40	42,000	15	9,000	22	45,000	80	88,000	52	195,000	12	21,000	—	45	65,000	266	465,000
1886	—	—	27	57,000	18	12,000	11	33,000	70	92,000	33	286,000	15	26,000	—	50	56,000	224	562,000
1887	6	6,000	37	43,000	20	11,000	23	19,000	60	67,000	48	117,000	15	11,000	—	30	60,000	239	334,000
1888	2,5	2,000	32	46,000	7,5	7,000	32	57,000	98	117,000	70	389,000	7	5,600	—	6	15,000	255	638,600
1889	12	10,800	22	52,000	9	9,000	40	62,000	80	119,000	130	172,000	54	17,000	—	22	47,000	369	488,800
1890	15	17,000	28	73,000	8	12,000	10	76,000	142	141,000	68	278,000	19	18,000	—	8	42,000	291	657,000

ართული შრიფტის შესამუშავებლად. წარმოდგენილ იქმნა მრავალნაიჭი როექტი, მაგრამ ბოლოს მიღებულ იქნა ის შრიფტი, რომელიც ძველისა-
ან ძალიან არ განსხვავდებოდა, ხოლო ერთნაირ ეკონომიას იძლეოდა.

ამას მოწმობს ნიკო ლოლობერიძის წერილი 1864 წ. 25/V კ. ლორ-
ქივანიძისადმი: „ვიცტ გეამება: მე, ჰახტანგ თულაშვილი, დიმიტრი ბაქ-
აძე და სტეფანე მელიქიშვილი სტამბის გახსნას ვაპირებთ წელს შემო-
ვომას. გვინდა ახალი შრიფტი შევადგინოთ ქართული, ლამაზი ადვილი
აკითხავი ასომთავრულით. უსტამბოდ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შე-
ვიძლიან. თუ ღმერთმა ჰქმნა და გავაწყვეთ კარგად, მაშინ იმედია თქვე-
ის (სტუდენტების) შემწეობით რამეს მოვახერხებთ“¹⁾.

სტ. მელიქიშვილის მეცადინეობით ეს ასოები ჩამოასხმევენეს ვენაში
და სწორედ ამიტომ მას კარგა ხნის განმავლობაში ვენური ერქვა. ამ
ასოებით იბეჭდებოდა „გაზ. „დროება“ 1866 წლიდან იმავე სტ. მელიქი-
შვილის სტამბაში.

სახლვარგარეთ ქართული არალეგალური გამოცემები (ზოგიერთი) იბეჭ-
დებოდა განსაკუთრებული ასოებით, მაგ. ჟურნალი „საქართველო“ (1903 წ.).
ეს ასოები განსაკუთრებით დიდხანს იხმარებოდა და აქამდე შერჩა „საქარ-
თველოს“ ასოს სახელწოდება.

1910 წ. ასოთამწყობმა ი. მჭედლიშვილმა მოახდინა კიდევ
ერთი რეფორმა. მისი მეცადინეობით ჩვეულებრივი ვენური ციცერო ასო
გადაკეთდა კორპუსის სისხოზე. „ასე რომ ასოებს არავითარი ნირი არ შე-
ეშალა, შეხედულებაც იგივე შერჩა და ალაგი კი ძალიან ცოტა დაიჭირა.
ამ ასოებით 1910 წლიდან იბეჭდებოდა „სახალხო გაზეთი“²⁾.

ამის შემდეგ რევოლუციამდე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე,
ქართულ შრიფტს ცვლილება არ განუცდია. 1921 წლიდან კი თვით მთავ-
რობა იწყებს ზრუნვას ქართული შრიფტის გასაუმჯობესებლად და შესა-
ცვლელად. განსახკომთან არსდება განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც
სპეციალურად ქართული შრიფტის რეფორმისათვის მუშაობს. მან მიიღო
მხატვარ დ. შევარდნაძის პროექტი ქართული ნაბეჭდი ასოებისა, რომელიც
დაახლოებით 20%-ს ეკონომიას იძლევა და სილამაზესაც არ არის მოკ-
ლებული.

მაგრამ უდიდესი ცვლილება მოხდა თითონ პოლიგრაფიულ ბაზაში.
დღეს მუშაობს მარტო ტფილისში რამდენიმე როტაციული მანქანა
და ზთასგვარი ზომის ასოა შემოტანილი. მაგრამ პოლიგრაფიული საქმის
განვითარება, რომელიც ჩვენში ასე თვალსაჩინოა, ჩვენს თემას სცილდება
და ამიტომ აქ ამას აღარ გამოვუღებთ.

¹⁾ გ. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. I, „ქართული წიგნის“
გამოცემა, გვ. 407 — რედაქტორის შენიშვნები.

²⁾ ივ. მჭედლიშვილი. ბეჭდვითი ხელოვნების ისტორიიდან. ტფ. 1925 წ.
პვერდი 58.

მუშათა მოძრაობის დასაწყისი და 1905 წლის რევოლუციის ეპოქა

მუშათა მოძრაობის ჩასახვა და განვითარება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყანა გლეხთა განთავისუფლების შემდეგ კაპიტალისტური განვითარების კალაპოტში ჩადგა. „ხალხმა პირველათ იგრძნო თავისუფლება, თანდათან წელში გაიმართა, თვალები გაახილა. ახლა მას შეეძლო თავისუფლათ წასვლა-მოსვლა, თავისუფლათ ცხოვრების სახსრების გამოძებნა. რკინის გზებმა, ფოსტა-ტელეგრაფმა, წარმოების ახალმა მიმართულებამ და მასში სრულიად ახალ დარგების გაჩენამ მის მოქმედებას, მის ძალღონის ხარჯვას, მის ტვინის და ნერვების მუშაობას ფართო სარბიელი მიანიჭა. ამ გზით იშვა და განვითარდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, წოდებული კაპიტალისტურ ურთიერთობათ... ასე იყო თუ ისე, მესამოცდაათე წლებში ქართველი ხალხი სამუდამოთ გამოეთხოვა ძველ საქართველოს. აქედან იწყება განახლებული ცხოვრება, რომელიც ევროპის კულტურის შეთვისებაში მდგომარეობს“¹⁾.

კაპიტალისტური ურთიერთობის გაღვივება-განვითარებას მოჰყვა ორი კლასის — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის დაპირდაპირება, კლასთა ბრძოლის გაჩაღება. იწყება მუშათა მოძრაობა, რომელიც 1900 წლებში უკვე მასობრივ ხასიათს ღებულობს და რევოლუციურ აღტყინებად იქცევა.

რევოლუციური მოძრაობა საქართველოში დაახლოებით 70-იან წლებშივე იწყება. მაგრამ მასში ჩაბმულნი არიან მარტო ცალკე პიროვნებები, უმთავრესად მოწინავე ინტელიგენტები, რომელთაგან ზოგიერთი რუსეთის რევოლუციურ ჯგუფებში დიდ როლს თამაშობს (ზდანოვიჩი, ციციშვილი, ჯაბადარი და სხვანი). საქართველოში ვრცელდებოდა გერცენის, პისარევის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, ლავროვ-მიხაილოვსკისა და სხვათა ნაწერები და არსდებოდა ჯგუფები მათ შესასწავლად. ასე რომ ხალხოსნურ (ნაროდნიკულ) მიმართულებას საქართველოში უმთავრესად სალიტერატურო ხასიათი ჰქონდა, თუმცა ცალკე მოწინავე ინტელიგენტებს აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ კიდევ. ჩვენ აქ არ შევხებით ვერეთწოდებულ „ტეტიათა მოტრფიალებს“, რადგან მათზე ლაპარაკი გვექნება პერიოდიკის განხილვის დროს.

¹⁾ ფ. მახარაძე. თხზულებათა კრებული. ტ. I. სახელგამი, 1924 წ. გვ. 195 და 196.

ნაროდნიკული იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ აგრეთვე ოთხმოციანი წლების მოწინავე მუშები. მაშინდელი საერთო მდგომარეობის გამოხატველია მუშათა მოძრაობის ერთი პირველ მონაწილე მუშათაგანის (არაქ. ოქუაშვილის) მოგონება: „აბრამ ცხიმიანაურის (მეჩექმე იყო) საშუალებით ვკითხულობდი ნაროდნიკულ წიგნებს. ვიყავი სოფრომ მაგალობლიშვილისა და ზდანოვიჩის გავლენის ქვეშ. მაშინ იყო ჟურნალი „იმედი“. ძალიან კარგი წერილები იბეჭდებოდა და იმათ გავლენას განვიცდიდი. ამ დროს გაგიცანი მიხა ჩოდრიშვილი (ესეც მუშა). ის გვეუბნებოდა, რომ გერმანიაში იყო დიდი სოციალისტი ლასალი. მაშინ ასეთ ხალხს საერთოდ უძახოდნენ „ახალი აზრის ხალხსო“ და სხვა.

იმავე ხანებში მუშა-ხელოსანთა მცირე ჯგუფი გამოსცემდა ხელნაწერ ჟურნალს, რომელსაც „მუშა“ ერქვა. იგიც ნაროდნიკული მიმართულებისა იყო. იწერებოდა სამღვდლოებისა და თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. ბურჟუაზია მაშინ არ ვიცოდითო, ამბობს მოძრაობის შემოხსენებული მონაწილე. მუშების ეს მოწინავე ჯგუფი მალე გაეცნო მოწინავე ინტელიგენტთა წრეს, სხვათა შორის ახალგაზრდა ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძეს, რომელნიც მათთან მუშაობდნენ და თვითგანვითარებაში ეხმარებოდნენ. რამდენისამე ხნის შემდეგ კი უკვე ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელმაც მარქსიზმი შეითვისა და მისი ერთგული მქადაგებელი გახდა.

1892 წლის დეკემბრის დამლევს, როგორც ცნობილია, ზესტაფონში გაიმართა მარქსისტულად განწყობილი ახალგაზრდების პირველი კრება, რომელიც ბელეტრისტ ეგნატე ნინოშვილის თაოსნობით იყო მოწვეული. ამ კრებას, თითონ ე. ნინოშვილის გარდა, დაესწრნენ შემდეგი პირები: მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, რ. კალაძე, ი. კაკაბაძე და სხვანი. 1863 წ. იმართება უკვე კონფერენცია მარქსისტებისა, ხოლო აშკარად, საზოგადოების წინაშე ეს ახალი ჯგუფი 1894 წ. გამოვიდა, ე. ნინოშვილის დასაფლავების დროს. სილ. ჯიბლაძემ იქ წარმოთქვა საპროგრამო სიტყვა. მწერალმა გიორგი წერეთელმა თავის კვირეულ გაზეთ „კვალში“ აწერა ეს ამბავი და ამ ახალ ჯგუფს უწოდა „მესამე დასი“. ეს სახელი დიდხანს იხმარებოდა ქართულ ლეგალურ პრესაში სოციალ-დემოკრატების აღსანიშნავად (1917 წლის რევოლუციამდეც კი).

მარქსისტები პირველნი იყვნენ, რომელნიც ქართველ მშრომელთა ფართო წრეებთან ახალი და გარკვეული სიტყვით მივიდნენ, საერთო სარუსეთო განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩააბეს და არსებულ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებასთან ბრძოლისთვის მოუწოდებდნენ. ქართველ მარქსისტებს პირველ ხანებში დამოუკიდებელი ორგანიზაცია ჰქონდათ, შემდეგ კი შეუერთდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ქართველ ხალხში უდიდესი გავლენა მოიპოვეს და რევოლუციური მოძრაობის მეთაურებად იქცნენ. 1897 წ. ფ. მახარაძის მოწმობით, შედგა პირველი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, რომელშიაც მხოლოდ მუშები შედიო-

დენ. ამ კომიტეტმა გააფართოვა აგიტაცია-პროპაგანდა და ავტორიტეტიც მოიპოვა.

მუშათა პირველი ორგანიზაციული გამოსვლა მოხდა 1898 წელს. ამ დროს მუშებმა არალეგალურად იღღესასწაულეს პირველი მაისი. ღღესასწაული განმეორდა 1899 და 1900 წლებშიაც. თუ პირველ ღღესასწაულს 40-დე კაცი დაესწრო, სამაგიეროდ 1900 წ. დემონსტრაციას უკვე ხუთას კაცამდე ესწრება. აქა-იქ ხდება გაფიცვები. მაგალითად, 1900 წლის იანვარში მოხდა ტფ. რკინის გზის („კონკის“) მოსამსახურეთა გაფიცვა, როდესაც თვითმპყრობელობის აგენტებთან შეტაკებაში პირველად დაიღვარა სისხლი. იმავე წლის აგვისტოში გაიფიცა რკ. გზის სადგურისა და დეპოს 4000 მუშა. 1901 წელს ადგილი ჰქონდა გაფიცვას ბათუმშიაც. მოძრაობა ნელნელა იზრდებოდა. მზადდებოდა 1905 წელი.

რაკი მუშათა მოძრაობა ასე ფართოდებოდა, ცხადია, მას აგიტაცია-პროპაგანდის გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. ყოველკვირეული ჟურნალი „კვალის“, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა საამისო მოთხოვნილებას. ფართო მასებისთვის მიუწვდომელი იყო აგრეთვე არალეგალური ბოლშევიკური ორგანო „ბრძოლაც“, რომელიც ბაქოში იბეჭდებოდა. საჭირო იყო პოპულარული წიგნაკები, ზოგჯერ გარეგნად სრულიად უვნებელი ხასიათისა. მუშათა წრეებში თვითგანვითარებისადმი მისწრაფება ისეთი ძლიერი იყო, რომ ქართული წიგნების ნაკლებობის გამო პროპაგანდისტები მუშათა წრეებში, როგორც ერთი მაშინდელი მოღვაწე მოწმობს, რუსული ენის სწავლებას შეუდგნენ და გრამატიკას უხსნიდნენ მათ. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ წინა ეპოქასთან შედარებით საოცრად იზრდება პოპულარულ-პოლიტიკური შინაარსის წიგნების რიცხვი. ამ დროს გამოიცა ისეთი წიგნაკები, როგორიცაა: ვოდოვოხოვის — „ინგლისელები“, „იტალიელები“, „გერმანელები“ (სამი წიგნაკი — 1898 წ.), კუდრიავსკის — „როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად“ (1897 წ.), „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში — ბოკლის მიხედვით“ (1896 წ.), „შრომა და კაპიტალი“ — 1897 წ. მასსეს „ლუკმა პურის ამბავი“ — 1885, ი. გორდელაძის — „შრომის, სიმდიდრის და ფულის“ — 1896 წ. კაუცკის — „ჩვენი დროის ეროვნება“ — ახალსენაკი, 1896 წ. და სხვა.

და აი, ჩვენ მივადექით 1905 წლის რევოლუციის ეპოქას. თვითმპყრობელობის ცენზურის უღელი გადაგდებულ იქნა და ხალხი თავისუფალ წიგნაკებსა და ჟურნალ-გაზეთებს დაეწაფა. გამოდის აწარებული პოლიტიკური ხასიათის წიგნაკი, რომელთაგან ცენზურას აღნიშნული აქვს მხოლოდ 57 სახელწოდება. დანარჩენი გამოდრიოდა ყოველგვარ ცენზურის გარეშე და მრავლადაც ვრცელდებოდა. სოკოსავით მრავლდებოდნენ გამომცემელებიც, როგორც ცალკე პიროვნებანი, ისე ამხანაგობანი, რომელთაც უმთავრესად თავთავიანთი პარტიული ლიტერატურის და იდეების გავრცელება ჰქონდათ მიზნად. ასეთი იყვნენ, მაგალითად, შემდეგი გამომცემელებანი: „გუთანი“, „მუშა“, „კალამი“, „გლეხი“, „კოლხიდა“ და სხვა.

წიგნის პროდუქცია 1891 — 1907 წლებში

განვიხილოთ ახლა ამ ეპოქის წიგნის პროდუქცია, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს, თუმცა, რასაკვირველია, არა პირდაპირ. სურათი ასეთია:

წიგნის პროდუქცია 1891—1907 წ.

და რ გ ე ბ ი	სახელწოდება- თა რაოდენობა	ტირაჟი	ფორმები	% საერთო პროდ. ფორმათა მიხედვით
პოპულარულ-პოლიტიკური.	243	466.200	512,5	8,4
სახალხო საკითხავი	402	683.500	741	12,1
საბავშვო.	104	143.500	318	5,2
კალენდრები, წესდებანი და ნარევი.	193	351.100	550	9
მხატვრული ლიტერატურა	524	799.500	2.043,5	33,5
სახელმძღვანელოები და პედაგოგ.	153	618.900	911	15,5
მეცნიერული სხვადასხვა დარგისა.	147	191.300	753	12
სასულიერო.	97	173.700	266	4,3
ს უ ლ .	1.863	3.427.700	6.095	100%

ამნაირად, გამოდის, რომ პროდუქციაში პირველი ადგილი მხატვრულ ლიტერატურას უჭირავს. მეორე — სასწავლო-პედაგოგიურს, მესამე — პოპულარულ-პოლიტიკურსა და კალენდრებს, წესდებებს, საერთოდ ნარევს. საინტერესოა ზგრეთვე დარგთა შეფარდება ტირაჟის მიხედვით, რაიც მოწმობს ამათუიმ დარგის გავრცელებულობას. აქ შეფარდება ასეთია:

წიგნის პროდუქცია 1891—1907 წ. ტირაჟის მიხედვით.

და რ გ ე ბ ი	ტირაჟი	% საერთო პროდუქც.
პოპულარულ-პოლიტიკური.	466.200	13,7
სახალხო საკითხავი.	683.500	20
საბავშვო.	143.500	4,2
კალენდრები, წესდებანი და ნარევი	351.100	10,1
მხატვრული ლიტერატურა	799.500	23
სახელმძღვანელოები და პედაგ.	618.900	18
მეცნიერული სხვადასხვა დარგისა	191.300	6
სასულიერო.	173.700	5
ს უ ლ .	3.427.700	100%

ამნაირად ტირაჟის მიხედვით პირველი ადგილი კვლავ მხატვრულ ლიტერატურას რჩება, მეორე უკვე სახალხო საკითხავ წიგნებს უჭირავთ, მესამე — პოპულარულ-პოლიტიკური შინაარსის ბროშურებს და სხვა. საშუალო ტირაჟი დარგობრივ ასეთია:

პოპულარულ-პოლიტიკურისა	1900	ც.
სახალხო საკითხავისა	1700	„
საბავშვოსი	1400	„
კალენდრების და სხვ.	1800	„
მხატვრული ლიტერატურისა	1520	„
სახელმძღვანელოებისა და პედაგ.	4045	„
მეცნიერულისა	1300	„
სასულიეროსი	1780	„

ამნაირად, გავრცელებულობის მხრით პირველი ადგილი უჭირავთ სახელმძღვანელოებს (საშუალო ტირაჟი 4045 ც.), რაც სავსებით ბუნებრივია. მეორე ადგილი — პოლიტიკურ ლიტერატურას, ხოლო მესამე — თითქმის თანაბრად — სახალხო საკითხავ წიგნებსა და სასულიერო მწერლობას, რომელიც ამ ხანებშია ცუდ ბლომად იბეჭდებოდა, წელიწადში კი საერთოდ ამ დროს იბეჭდებოდა: 110 წიგნი, 200.000 ტირაჟით — 359 ფორმა.

შევადაროთ ახლა ამ ეპოქის პროდუქცია წინა ხანისას. სურათი ასეთია:

წიგნის პროდუქცია 1867—1890 და 1891—1907 წლებისა.

და რ გ ე ბ ი	1867—1890		1891—1907		კლება ან მატება %-ით ფორმათა მიხედვით
	სახელწოდებათა რაოდენ.	ფორმები	სახელწოდებათა რაოდენ.	ფორმები	
პოპულარულ-პოლიტიკური	16	45,5	243	512,5	+1100
სახალხო საკითხავი	276	394,5	402	741	+190
საბავშვო	49	170,5	104	318	+190
კალენდრები და ნარევი	107	296	193	550	+170
მხატვრული ლიტერატურა	307	1.128	524	2.043,5	+190
სახელმძღვანელოები და პედაგ.	149	843	153	911	+8
მეცნიერული სხვადასხვა დარგისა	75	336,5	147	753	+210
სასულიერო	111	832	97	266	-300
ს უ ლ	1.090	4.047	1.863	6.095	+50

შედარება არც აქ შეიძლება ზუსტი იყოს, მაგრამ ზრდის ნათელსაყოფად საკმარისი მასალას იძლევა: წინა ეპოქა შეიცავს 24 წლის პერიოდს,

ზოლო ეს უკანასკნელი — 17 წელიწადს. მიუხედავად ამისა — უკანასკნელი ეპოქის პროდუქცია ბევრად სჭარბობს.

შევადართ ახლა წლიური ტემპები წიგნის პროდუქციისა. როგორც ვიცით, 1867 — 1890 წლებში იბეჭდებოდა წელიწადში:

სახელწოდება	ტირაჟი	ფორმათა რაოდენობა
46	65.760	84

1891 — 1907 წლებში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წელიწადზე მოდიოდა:

სახელწოდება	ტირაჟი	ფორმათა რაოდენობა
110	200.000	359

ამნაირად, წლიური პროდუქცია ამ ეპოქისა თითქმის ერთისამად სჭარბობს წინა პერიოდისას და მაჩვენებელია ჩვენი ხალხის უდიდესი წინსვლისა. ეს წინსვლა ამ ეპოქაში უკვე მუშათა კლასის ჰეგემონიის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. მიუხედავად თვითმპყრობელობის სასტიკი რეჟიმისა, მიუხედავად ქართული წიგნის დაზარალებისა, ქართული ენის სკოლიდან გამოდევნისა — იგი მაინც სწრაფი ნაბიჯით იკვლავს გზას მასებისაკენ. ბიუროკრატიული მკაცრი რეჟიმის ყინულ ქვეშ ნელნელა ღვივდება მშრომელთა რევოლუციური შეგნება. მალე დადგება დრო, როდესაც ჩვენი ხალხი შეეცდება ეს ყინული სავსებით გააღებოს და განვითარების თავისუფალ გზას დაადგეს. ეს არის 1905 წლის რევოლუციის ეპოქა. მაგრამ რევოლუციურ-კულტურულ ალტყინებას თვითმპყრობელობის სასტიკი რეაქცია მოსდევს და კულტურული განვითარებაც აშკარად ფერხდება. დგება რეაქციის და შემდგომ კიდევ მსოფლიო იმპერიალისტური ომის ხანა, რომელიც 1917 წლის რევოლუციით თავდება.

გამომცემელი და გამომცემლობანი XIX საუკუნეში

მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდის გამომცემლობას ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა და იშვიათი შემთხვევა იყო, რომ გამომცემლობას რომელიმე პატარა ამხანაგობა ეწეოდა. პირველ ხანებში წიგნებს ბეჭდავდნენ (ხშირად მთავრობის ან რომელიმე სამეცნიერო დაწესებულების ხარჯით) მეცნიერ-რედაქტორები. ასეთნი იყვნენ: მარი ბროსე, დ. ჩუბინაშვილი და პლატონ იოსელიანი.

მარი ფელისიტე ბროსე დაიბადა პარიზს 1802 წ. იგი დაინტერესდა ფილოლოგიით და ამ დარგში მისი ხელმძღვანელები იყვნენ ცნობილი აბელ რემიუზა, სენ-მარტენი და სხვანი. სენ-მარტენის რჩევით ბროსემ დაიწყო ქართულისა და სომხური ენის და ლიტერატურათა შესწავლა. ცოტა ხანს შემდეგ პარიზში დაარსდა სააზიო საზოგადოება, რომელიც სიამოვნებით ბეჭდავდა ბროსეს ნაშრომებს ქართულისა და სომხური ლიტერატურა-ისტორიის შესახებ. 1836 წ. ბროსე მიიწვიეს პეტერბურგს ქართულ-სომხურ ენათა კათედრაზე. ამ დროიდან მარი ბროსე ცხოვრობს

პეტერბურგში, ხშირად მოგზაურობს საქართველოსა და სომხეთში, სწავლობს ჩვენს ძველ ნაშთებს და იკვლევს ჩვენს წარსულს. მაგრამ ბროსეს ისტორიული გამოკვლევების შეფასება ჩვენს საგანს არ შეადგენს. საყურადღებო ჩვენთვის ის არის, რომ მარი ბროსე გვევლინება როგორც ერთი პირველი ქართველი გამომცემელთაგანი. მან გამოსცა: „საქართველოს გეოგრაფია“ — ვახუშტისა (1842), „ქართლის ცხოვრება“ და სხვა და ამით საფუძველი ჩაუყარა ქართულ მეცნიერულ გამოცემებს.

დიდი ღვაწლი დასდო ქართულ გამომცემლობას პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა (1814 — 1891). იგი იყო ქართული ენის პროფესორად პეტერბურგის უნივერსიტეტში. მან გამოსცა: 1. ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი (სამეცნიერო აკადემიის ხარჯით), რისთვისაც დემიდოვის პრემია მიიღო (1842 წ.); 2. რუსულ-ქართული ლექსიკონი (1846 წ.); 3. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“; 4. შოთას „ვეფხისტყაოსანი“; 5. ქართული ქრესტომათია და სხვა.

პლატონ იოსელიანი (1809 — 1875), ისტორიკოსი-გრამატიკოსი, ქართველ საზოგადოებაში „ფილოსოფოსად“ წოდებული, ბეჭდავდა საკუთარ რუსულ ნაწარმოებთაც. გამოსცა ქართული წიგნები: 1. „აბღულმესია“ — შავთელისა (1838); 2. კალენდარი — რამდენიმე გამოცემა (პირველად 1840 წ.); 3. პირველდაწყებითი კანონი ქართული ღრამატიკისა (1840); 4. ქართული ანბანი (1845 — 1857 წლამდე 6 გამოცემა); 5. დიდმოურავიანი — იოსებ ტფილელისა (1851); 6. ღრამატიკა ქართულისა ენისა (1851); 7. მიმოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა — ტიმოთე ეპისკოპოსისა (1852); 8. რუისის მიტროპოლიტის იონას მოგზაურობა (1852); 9. წყობილსიტყვაობა — ანტონ კათოლიკოსისა (1853); 10. ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა და სხვა.

რამდენიმე წიგნი გამოსცა ცნობილმა სოლომონ დოდაშვილმა, მაგრამ მის შესახებ მაშინ ვილაპარაკებთ, როდესაც პერიოდიკაზე გვექნება ბაასი. მაშინ შევეხებით აგრეთვე ივანე კერესელიძეს („ცისკრის“ რედაქტორს).

სამოციანი წლების მოღვაწეები ლიტერატორებიც იყვნენ და გამომცემელებიც. ასეთი იყვნენ განსაკუთრებით გიორგი წერეთელი, ი. გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი და სხვანი, რომელთაც მრავალი პოპულარული წიგნი გამოსცეს. მეღიქიშვილების სტამბა შემდგომ ხანებში გადავიდა ექვთიმე ხელაძის ხელში, რომელიც საგამომცემლო საქმიანობასაც ეწეოდა: იგი ბეჭდავდა ყოველგვარი დარგის წიგნებს, დაწყებული „სახარებითა“ და „ლოცვანებით“.

მაგრამ ყველაზე დიდძალი წიგნი გამოსცა საქარია ქიჭინაძემ, რომელიც ერთდამავე დროს ავტორიც იყო, მბეჭდავიც და გამავრცელებელიც. თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქარია ქიჭინაძე ერთგულად და გასაოცარი სიჯიუტით ემსახურებოდა ქართული წიგნის გამომცემლობას და ბევრი ძვირფასი ისტორიული მასალა გააცნო ქართველ საზოგადოებას და გაქრობას გადაარჩინა. ს. ქიჭინაძემ გამოსცა

მრავალწიანი, მას ჰქონდა საკუთარი წიგნის მაღაზიაც, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების ახალგაზრდობისათვის ერთნაირ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. მას 1925 წელს გადაუხადეს 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. დაიბადა 1854 წელს, გარდაიცვალა 1931 წელს¹⁾.

მაგრამ ყველაზე დიდი საქმიანობა გამოიჩინა „ქართველთა ბეჭდვითმა ამხანაგობამ“, რომლის მოქმედება განსაკუთრებით 1890 წლებიდან გაცხადებდა. მისი მიერ გამოცემული წიგნები განირჩევიან არა მარტო შინაარსის სერიოზულობითა და მაღალი ღირსებით, არამედ გარეგნობითაც. „ამხ-ბის“ შრიფტი მკაფიოა და ლამაზი, ქალაქი საუკეთესო ღირსებისა, წიგნი ისეა დაკაზმული, რომ სხვა გამოცემებივით ხელში აღებისთანავე არ იშლება და სხვა. „ბეჭდვითი ამხანაგობა“ დაარსდა 1890 წელს.

„ამხ-ბის“ სტამბა თავის წილად გადასცა იაკობ მანსვეტაშვილმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და „ივერიის“ თანამშრომელმა. ეს სტამბა მელიქიშვილისეული იყო. „ამხ-ბამ“, სხვათა შორის, პირველად გამოსცა ილიას, აკაკის და ყაზბეგის თხზულებანი, თითოეული რამდენსამე ტომად. შემდგომ ამ სტამბას სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ჯაბადარი, რომელიც იმავე წიგნთგამომცემელ ქართველთა ამხანაგობის დირექტორიც იყო.

ა. ჯაბადარმა თხოქმის სავესებით ევროპულად მოაწყო სტამბა, მოახდინა მისი ელექტროფიკაცია, გამოიწერა ახალი მანქანები, გახსნა პირველი ასოთჩამომსხმელი და ცინკოგრაფია. იგი იყო ჟურნალ „მოამბის“ გამომცემელი (ალ. ჭყონიასთან ერთად) და „ცნობის ფურცლისა“, რომელიც საუკეთესო ქართულ გაზეთად იქცა და შედარებით დიდი ტირაჟიც ჰქონდა (1905 — 6 წწ. 14.000-მდე).

„ამხ-ბამ“ საერთოდ გამოსცა დაახლოებით 60 სახელწოდების წიგნი. მას ჰყავდა აგენტებიც წიგნთა გასავრცელებლად და აგრეთვე საკუთარი მაღაზიები, რასაც იმ ხანებში უდიდესი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

1) მეცხრამეტე საუკუნეში წიგნთა გამოცემას ეწეოდნ კიდევ შემდეგი პირები, რომელთაგან ზოგიერთი დღესაც ცოცხალია: გ. ჩარკვიანი (ჰქონდა მაღაზია და სტამბაც); ს. მდივანოვი, გრიჭუროვი (წიგნის მაღაზია); ი. იმედაშვილი და სპ. ჭელიძე; მიხ. გაჩეჩილაძე, დ. გივიშვილი, სკანდაროვი, შა. რაძე, დავ. ლამბაშიძე („მწყემსის“ რედაქტორი); არსენ კალანდაძე, კირ. ლორთქიფანიძე, ვალ. გუნია, ვას. აბაშიძე, ლაზარევი, აბა-ტილოვი, სოსიკო მერკვილაძე (ჰქონდა საკუთარი მაღაზია) და მრავალი კიდევ სხვა.

რეაქციისა და მსოფლიო იმპერიალისტური ომის ხანა (1907—1917 წ.)

1905 წლის რევოლუციას რეაქცია მოჰყვა. მაგრამ გაქანება ისეთი დიდი იყო, რომ წიგნის პროდუქციას ეს უცებ არ დასტყობია. ხოლო 1907 წლიდან კლებულობს როგორც სახელწოდებათა რიცხვი, ისე ტირაჟი. მაგრამ რეაქცია დიდხანს ვერ გრძელდება. უკვე 1911—12 წლებში იწყება მთელი რუსეთის ყოფ. იმპერიაში მუშათა მოძრაობის აზვირთება და კულტურულ ცხოვრებასაც დიდი გამოცოცხლება ეტყობა. ქართული წიგნი არა თუ თავის ძველ მდგომარეობას აღიდგენს, არამედ 1913 წელს სარეკორდო ციფრს აღწევს.

1914 წლის აგვისტოს დაწყებული იმპერიალისტური ომი, რასაკვირველია, ფრთებს აკვეცს კულტურულ განვითარებასაც და უკვე ომის პირველ წელსვე წიგნის პროდუქცია კლებულობს და მკითხველი უმთავრესად გაზებებს ეტანება.

ამ ხანის წიგნის პროდუქცია

ამ ხანის პროდუქცია ასეთ სურათს იძლევა:

წიგნის პროდუქცია 1908—1916 წ.

და რ გ ე ბ ი	სახელწოდებანი	ტირაჟი	ფორმები	% პროდ. ტირაჟის მიხედვით
პოპულარულ-პოლიტიკური.	50	117.600	224	3,5
სახალხო საკითხავი	340	829.900	761	26
საბავშვო.	34	44.100	160,5	0,8
კალენდრები, წესდებანი, ნარევი	115	301.900	351	9,5
მხატვრული ლიტერატურა.	546	905.300	1.984	28
სახელმძღვანელოები და პედაგ.	144	581.600	840	18
მეცნიერული სხვადასხვა და-რგისა	221	276.900	675	8,7
სასულიერო.	98	170.400	510	5,5
ს უ ლ .	1.548	3.157.700	5.505,5	100

ამნაირად, ამ ეპოქის პროდუქციაში ტირაჟის მხრით პირველი ადგილი უჭირავს მხატვრულ ლიტერატურას (28%), მეორე — სახალხო საკითხავ წიგნებს (26%), მესამე — სახელმძღვანელოებს (18%), მეოთხე — კალენდრებსა და ნარევს (9,5), მეხუთე — სამეცნიერო დარგს (8,7%), ხოლო წინა ეპოქასთან შედარებით სასულიერო დარგი მესამე ადგილიდან მეექვსეზე გადადის. თითქმის ერთიორად მოიკლო პოპულარულ-პოლიტიკური ლიტერატურის პროდუქციამ. ეს სავსებით გასაგებია, რადგან ამ დარგმა უდიდესი ზრდა მოგვცა რევოლუციის დროს და მის მომდევნო წლებში, მერე კი თანდათან კლებულობდა რეაქციისა და თვითმპყრობელობის სასტიკი საცენზურო პირობების გამო.

წლიური პროდუქცია შემდეგი ციფრებით გამოიხატება:

	სახელწოდება	ტირაჟი	ფორმ. რაოდენ.
1908 — 1916 წ.	172	350.000	612
1891 — 1907 წ.	110	200.000	359

როგორც ხედავთ, თითქმის ყველა მაჩვენებელთა მიხედვით წლიური პროდუქციის ოდენობა ერთიორად იზრდება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება ფრიად არივ-დარია და დიდი გაჭირვება იყო. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქალაქის ნაკლებობა. თუ იშოვებოდა საღმე იგი, მდარე ღირსებისა და ძვირადღაც იყიდებოდა. საერთოდ ტემპები ნელდება და ეს აშკარად ჩანს, თუ გადავხედავთ წიგნის პროდუქციის ზრდას წლობის მიხედვით. იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორი იყო ქართული წიგნის განვითარების გზა, ციფრებს მოვიყვანთ წინა წლებისასაც.

გამოიკვა 1903—1917 წლებში.

წლები	სახელწოდებათა რაოდენობა	ტირაჟი	ფორმათა რაოდენობა
1903	128	267.000	377
1904	160	292.000	444
1905	164	331.000	492
1906	165	405.500	486
1907	125	274.600	470
1908	141	323.800	453
1909	135	277.000	490
1910	128	250.700	475
1911	186	398.200	730
1912	227	450.100	799
1913	246	475.000	734
1914	159	322.500	743
1915	190	443.500	624
1916	138	287.000	566

უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1905 წ. პროდუქციის შესახებ საცენზ. კომიტეტს მხოლოდ ნაკლები ცნობები მოეპოება. ამიტომ ციფრები თეორიულად არის გამოანგარიშებული.

1903 წლიდან მოყოლებული — ქართული წიგნის ტირაჟი თანდათანობით მაღლა-მაღლა იწევს, ხოლო 1905 — 6 წლებში (რევოლუციის ხანა) უმაღლეს წერტილს აღწევს. 1907 წლიდან რეაქციის სუსხი აშკარად და მძლავრად დასტუბია ჩვენი ქვეყნის კულტურულ განვითარებას — ტირაჟი თითქმის ერთიორად კლებულობს. რამდენისამე წლის განმავლობაში თითქოს სტაბილიზაცია ხდება და ციფრები თითქმის არ იცვლება. შემდგომ, როდესაც რეაქციის უნული ღზობას იწყებს და რუსეთის ყოფ. იმპერიის ფარგლებში 1911 — 1913 წწ. რევოლუციური სულის გამოცოცხლება იწყება — იწყება აგრეთვე კულტურული აღმავლობაც. როგორც თავშივე ვთქვით, ქართული წიგნის პროდუქციის უმაღლეს ციფრს იძლევა მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინა — 1913 წელი, როგორადაც სახელწოდებათა, ისე ტირაჟს მხრივ. ომის შემდეგ ეკონომიური ცხოვრების არეულარევისა და ბეჭდვის მასალათა გაძვირების გამო წიგნის პროდუქცია თანდათან კლებულობს და 1916 წელს წინა წლებთან შედარებით მინიმალურია.

ნაკლები ყურადღება ექცეოდა წიგნის გარეგან გაფორმებასაც. ამ ხანაში აღსანიშნავია მხოლოდ ორიოდ წიგნი, კერძოდ ი. გრიშაშვილის ლექსების I ტომი (1914 წ.), რომელიც სხვა წიგნებისგან განირჩევა ჩინებული ქალღმერთით, ასოთა შერჩევით და საერთოდ ლამაზი გარეგნობით.

წიგნის საკონსტროლო ორგანოები

პირველად რომ ბეჭდვა შემოიღეს ჩვენში, ამ საქმეს ხელმძღვანელობას უწევდა და ხარჯსაც კისრულობდა თითონ უმაღლესი მთავრობა. თითქმის ყველა წიგნს, რომელიც ტუილისში იბეჭდებოდა, ვახტანგი პირადად იცნობდა და ზოგსაც (მაგალითად „ვეფხისტყაოსანს“) რედაქტორობასაც უწევდა. მაგრამ წიგნების ბეჭდვა თანდათან ფართო ხასიათს ღებულობდა და საჭირონი შეიქნენ მათთვის — გამმართველები ან ულრამატიკის კანონზედ გამმართველნი. სწორედ ეს გამმართველნი იყვნენ პირველი ცენზორები და ისინი უწევდნენ კონტროლს წიგნის შინაარსს.

გამმართველები თითონ მოიხსენებენ ხოლმე თავის თავს, ჩვეულებრივად წიგნის ბოლოში. მაგალითად, 1764 წ. დაბეჭდილ კურთხევეანზე დართულია შემდეგი უწყება: „იხილა უწმინდესობამან სანატრელისა მამთავრისა ჩუენისა ანტონისამან, რომელ (ეს წიგნი) გარეგან ღრამატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩუენი და დედანიცა, რომელსა ზედა ვჰსწერდით და მოახსენა ძმასა თვისსა და მეფესა ერეკლეს და ამისთვის ებრძანა მისის მეფობის უმაღლესობისაგან და მისის უწმინდესობისაგან მათის უწმინდესობის გლახაკს ბერს ილუმენს მხატურის ძეს მიხაილს და გაიმართა მისგან კანონსა ზედა ღრამატიკისასა და დაბეჭდილ იქნა, რაოდენ ახალ მესტაშებეთაგან შეიძლებოდა“.

1783 წ. დაბეჭდილ კონდაკს დართული აქვს შემდეგი ცნობა: „რუსულსა საღმრთოსა მსახურებისა წიგნსა ზედა შემოწმებულ იქნა მისის უწმინდესობის მონის ილუმენის ტრიფილესაგან. ღრამატიკისა კანონსა ზედა გამართვითა და პრობის მართვითა უღირსის ხუცის ოსეს ძის იოანესითა“ და სბვა.

ერთი სატყვით, პირვანდელი ცენზორები რედაქტორები და გრამატიკოსებიც იყვნენ.

რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრების შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში საქართველოში არ არსებულა ცალკე საცენზურო დაწესებულება. წიგნები ძალიან ცოტა იბეჭდებოდა, ხოლო გაზეთებს თითონ მთავრობა გამოსცემდა. პირველი ქართული გაზეთიც მთავრობის ოფიციალური ორგანო იყო, რუსულად იწერებოდა და ქართულად მერე ითარგმნებოდა. მის შინაარსს უშუალო კონტროლს უწევდა კავკასიის სამხედრო შტაბი და კავკასიის მმართველი ერმოლოვი.

1830 წელს ტფილისში დაბეჭდილ წიგნს — სოლომონ დოდაევი შემოკლებული ქართული გრაზატიკა — აქვს მინაწერი: „Печатать дозволяется с тем, чтобы по напечатании представлены были в цензурный комитет три экземпляра. Августа 26, 1830 года, цензор С. Сенковский“. როგორც ჩანს, ნებართვას ლებულობდენ პეტერბურგში, რადგან ხსენებული სენკოვსკი იმ ხანებში ცენზორად იყო სწორედ რუსეთში.

ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ბეჭდვითი სიტყვა გაფართოვდა, თვითმპყრობელობამ საჭიროდ დაინახა დაეარსებინა ცალკე დაწესებულება — კავკასიის საცენზურო კომიტეტი. იგი დაარსდა 1849 წლის აპრილს, შედიოდა კავკასიის სასწავლო ოლქის შემადგენლობაში და ოლქის მზრუნველის თანაშემწის თავმჯდომარეობით მოქმედებდა. ასე იყო 1860 წლამდე. სულ იყო ორი ცენზორი — ერთი რუსული და ევროპული ენებისთვის, მეორე — აღმოსავლური (ანუ ადგილობრივი) ენებისათვის. როდესაც 1860 წ. კავკ. სასწავლო ოლქი გაუქმდა, საცენზურო კომიტეტი არსებობდა, როგორც ცალკე დაწესებულება ცალკევე პირის თავმჯდომარეობით. 1867 წ. სამოქალაქო დაწესებულებათა საერთო გარდაქმნის დროს კავკასიის საცენზურო კომიტეტი დაუმორჩილეს კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარსამმართველოს და ანგარიშსაც იგი ამ დაწესებულებას უდგენდა.

1883 წლის 1 ივლისამდე საცენზურო კომიტეტი, როგორც ვთქვით, ემორჩილებოდა მეფის ნაცვლის მთავარ მმართველობას, ამ რიცხვიდან კი მისგან დამოუკიდებელი შეიქმნა. 1883 წლიდან იგი დაექვემდებარა ბეჭდვითი საქმის კომიტეტს და მასვე უზღავნიდა თავის ანგარიშებს (პეტერბურგში).

1905 წ. კ. საც. კომიტეტი გადაკეთდა ბეჭდვითი სიტყვის ტფილისის კომიტეტად. პროვინციებში (მაგალითად, ქუთაისში) ჰყავდათ ცალკე რწმუნებულები. თუმცა წინასწარი ცენზურა ვითომ მოსპობილი იყო, მაგრამ ამ კომიტეტს საქმე ფრიად ბევრი ჰქონდა და მუსრს ავლებდა ყოველ თავისუფალ აზრს.

1914 წელს, როდესაც მსოფლიო იმპერიალისტური ომი დაიწყო, შემოღებულ იქნა სამხედრო ცენზურა, რომელიც სულს უხუთავდა განსაკუთრებით გაზეთებს. ცენზორი გაზეთს უკვე აწყობილს ათვალეგრებდა. ამიტომ გაზეთები ხშირად ნახევრად მოტიტვლებულნი გამოდიოდნენ ხოლმე, რადგან რედაქციები ამოღებული ადგილების შევსებას ვეღარ ასწრებდნენ. ამნაირ ადგილებს იმ ხანებში ხუმრობით „მელოტ ადგილებს“ უწოდებდნენ.

თვითმპყრობელობის ცენზურა უდიდესი იარაღი იყო ყოველგვარი არათუ რევოლუციური, არამედ ლიბერალური აზრის დასათრგუნად. განსაკუთრებით იგი მძვინვარებდა ჩაგრულ ერთა ლიტერატურისა და პერიოდიკის წინააღმდეგ. ცენზურის სიმკაცრე საერთოდ ცნობილია, ეს საკითხი ჩვენს თემას სცილდება და ამიტომ აქ ბევრს არ ვილაპარაკებთ. მოვიყვანოთ დასახასიათებლად მხოლოდ რამდენსამე ფაქტს.

როგორც ვიცით, ერთხანად საცენზურო დაწესებულებანი განათლების სამინისტროს (ჩვენში ოლქის მზრუნველს) ემორჩილებოდნენ. 1843 წლის

დეკემბერში თ-დი ვოლკონსკი ელაპარაკებოდა განათლების მინისტრ უვაროვს იმაზე, რომ სრულიად უდანაშაულოდ დააპატიმრეს ნიკიტენკო და კუტორგა ჟურნალში დაბეჭდილი მოთხრობისათვის. უვაროვმა განაცხადა: „მე მინდა რუსული ლიტერატურა სრულიად შეწყდეს. უკიდურეს შემთხვევაში მაშინ საქმე გარკვეული მაინც იქნება, უმთავრესი კი ისაა, რომ მე მშვიდ ძილს ველირსებიო“. აი, რას ნატრობდა ეს ორიგინალური მზრუნველი განათლებისა!

იგივე უვაროვი ეუბნებოდა ცენზორებს კრებაზე: ნურაფრისა გეშინიათ, თქვენზე შემოსულ საჩივრებს ყურადღებას არავინ მიაქცევსო. როდესაც ბარ. დელვიგმა ბენკენდორფს, ჟანდარმთა შეფს განუმარტა, ჩემს გაზეთში დაბეჭდილი სტატიისათვის მე პასუხს აღარ ვაგებ, რადგან იგი ცენზურისაგან ნებადართულიაო, — ბენკენდორფმა უპასუხა: კანონი ქვეშევრდომთათვის იწერება და არა მთავრობისათვის. თქვენ უფლება არა გაქვთ ჩემთან ლაპარაკის დროს მას დაემყაროთ, ან მისით თავი იმართლოთო.

ძალიან დამახასიათებელია, რომ რუსის ჟანდარმებს რევოლუციურ და თავისუფალ ლიტერატურასთან ერთად — პირველწყარო, ბეჭდვის გამომგონი გუტენბერგიც შესძულდათ. ამ მხრით საგულისხმოა ერთი ანეკდოტური, მაგრამ ნამდვილი ამბავი. ნიკოლოზ I დროს ჟანდარმთა შეფი ოროლოვი ერთ თავის მეგობარს საზღვარგარეთ აცილებდა. ნურენბერგს რომ ჩახვალთ, — ეუბნებოდა მეგობარს ჟანდარმთა შეფი, — მიდით გუტენბერგის, წიგნის ბეჭდვის გამომგონებელის ძეგლთან და ჩემი სახელით პირში მიაფურთხეთ. მთელი ბოროტება ქვეყნად მისგან არისო“.

ასეთი იყო რუსეთის ბატონ-პატრონთა შეხედულება თავისუფალ სიტყვაზე. ცენზურა, რასაკვირველია, უფრო დაურიდებლად მძვინვარებდა ყოფ. განაპირა ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში. ეს ითქმის განსაკუთრებით 60-იანი წლების ეპოქაზე, როდესაც ჩვენში ჟურნალ-გაზეთები მომრავლდა. უდიდესი სიძნელე ელოებოდა წინ ჯერ ჟურნალ-გაზეთის გამომცემის ნებართვის მიღებას. თუ ნებართვას მისცემდენ, სასტიკად ზღუდავდენ გაზეთის შინაარსს და სატახტო ქალაქთა გაზეთებიდან გადმობეჭდვის უფლებასაც კი არ იძლეოდენ. გაზეთ „დროებას“, მაგალითად, აკრძალული ჰქონდა პოლიტიკური ამბების ბეჭდვა. საცენზურო კომიტეტი 1874 წელს უგზავნის წერილს „დროების“ მაშინდელ რედაქტორს კირილე ლორთქიფანიძეს საყვედურით. ეს წერილი იმდენად დამახასიათებელია მაშინდელი ჩვენი პრესის მდგომარეობისა, რომ მოვიყვანთ მას მთლად.

„დიდმა მთავარმა და ხელმწიფის მემკვიდრემ — სწერს კომიტეტი, — როდესაც გასცა ნებართვა იმ გაზეთის გამოცემისა, რომელსაც თქვენ ბრწყინვალეობა რედაქტორობს, თანაც ბრძანა, რომ მიმდინარე პოლიტიკური ამბების მიმოხილვა გადმობეჭდილ იქნეს ხოლმე მხოლოდ ოფიციალური გაზეთებიდან: „Русский Инвалид“, „Северная почта“, „Правительственный Вестник“ და „Кавказ“, რაიც ეცნობათ კიდევ გაზეთ „დროების“ ყოფ. რედაქტორებს ბ-ნ მელიქოვს და წერეთელს საცენზურო კომიტეტის მიწერილობით 1866 წლის 5 იანვრის თარიღით № 5. მიუხედა-

ვად ამისა, ცენზურას არა ერთხელ შეუმჩნევია, რომ გაზეთ „დროების“ პოლიტიკურ განყოფილებაში იბეჭდება არა თუ არაოფიციალური გაზეთებიდან გადმოღებული ცნობები, არამედ პოლიტიკური ხასიათის დამოუკიდებელი ცნობებიც კორესპონდენტიათა ფორმით და ხშირად ამათუიმი პოლიტიკური მოვლენის შესახებ მსჯელობასაც კი აქვს ადგილი. ჩვენს მიერ თავიდანვე დასახული პროგრამის ამნაირ დარღვევაზე ჩვენ ყოველთვის მიუფითებდით რედაქციას. მაგრამ ვინაიდან ასეთი დარღვევა კვლავ გრძელდება, საცენზურო კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მოაგონოს თქვენს ბრწყინვალებას, რათა რედაქციამ ზუსტად შეასრულოს ნებადართული პროგრამა. ამ პროგრამის მიხედვით კი გაზეთ „დროების“ პოლიტიკურ განყოფილებაში უნდა იბეჭდებოდეს პოლიტიკური ამბების მხოლოდ ფაქტიური მასალა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს მათ შესახებ რაიმე მსჯელობას და ეს ამბები გადმობეჭდილი უნდა იყოს მხოლოდ ოფიციალური გაზეთებიდან. ამის შესაძლებლად, საცენზურო კომიტეტი გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, იმ საკორექტურო ფურცლებში, რომლებსაც თქვენ უდგენთ კომიტეტს, ყოველ ცნობას ქვეშ მოეწეროს ხოლმე № იმ გაზეთებისა, საიდანაც ეს ცნობაა ამოღებული“¹⁾.

თუ რამდენად ერთგულობდა კანონებს და რა კუროზებამდე მიდიოდა ცენზურა, ამას მოწმობს მგოსან აკაკი წერეთლის ამბავი. 1882 წელს აკაკიმ შეიტანა განცხადება საცენზურო კომიტეტში და თხოულობდა ჟურნალ „გზი-ს“ გამოცემის ნებართვას. დაიწყო გამოკვლევა იმისი, თუ ვინ არის აკაკი. აღმოჩნდა, რომ იგი თანამშრომლობდა ქუთაისის გაზეთ „შრომაში“ და თავი იჩინა განსაკუთრებული მიმართულებით. გარდა ამისა, წარმოდგენილ პროგრამაში აკაკი ამბობსო, — დასძენდენ ცენზორები, — რომ მას განზრახვა აქვს რუსეთის კანონების პოპულარიზაცია. პოპულარიზაცია განმარტებას (толкование), ნიშნავს, ამის უფლება კი მხოლოდ სენატს აქვს, ამიტომ აკაკი წერეთელს ჟურნალის ნებართვაზე უარი უნდა ეთქვასო — დაასკვნეს ბრძენმა ცენზორებმა²⁾.

ხშირად აკრძალავდენ ხოლმე ისეთ ნაწერებს, რომელნიც წინათ ბევრჯერ დაბეჭდილან. მაგალითად, 1896 წელს ცენზურამ აუკრძალა ი. იმედაშვილს ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ დაბეჭდვა, რამოდენიმეჯერ აკრძალეს აკაკის „პატარა კახი“ და სხვა.

1905 წელს ვგრეთწოდებული წინასწარი ცენზურა მოიხსპო, მაგრამ საქმე უფრო გაუარესდა. მთავრობა კეტავდა, აჯარიმებდა ან კონფისკაციას უშვებოდა უკვე დაბეჭდილ ნაწარმოებთ. ხოლო იმპერიალისტური ომის დროს თუ როგორი სიმკაცრით მოქმედებდა სამხედრო ცენზურა, ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. თვითმპყრობელობის ცენზურა საბოლოოდ მოსპო მხოლოდ 1917 წლის რევოლუციამ.

1) გიორგი წერეთელი. ტომი პირველი. პუბლიცისტური წერილები. გამოც. „ქართული წიგნისა“, რედაქტორის შენიშვნები. გვ. 412 — 13.

2) ცენტრარქივი. კვპ. საცენზ. კომიტ. საქმე 48/464, 1882 წ.

სახელმძღვანელოები და საგავფომო ჟურნალები

ძველად წერა-კითხვის შესასწავლად ცალკე სახელმძღვანელოები როდი არსებობდა. კითხვას „დავითნით“, ლოცვანებითა და სახარებით სწავლობდნენ, ხოლო წერას — ხარის ბეჭზე მურის ასოების გამოყვანით. მაგრამ თანდათანობით ჩნდება სპეციალური წიგნებიც, რომელთა მიზანია ხოლად შესასწავლოს წერა-კითხვა ყმაწვილებს. ჩვენ ვიცით, რომ ქართულ-იტალიურ ლექსიკონთან ერთად 1629 წელს რომს დაიბეჭდა აგრეთვე „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, შემდგომ მაჯიოს „გრამატიკა“; „ანბანი“ დაბეჭდილა 1712 წ. ტფილისის სტამბაშიაც. 1732 — 1737 წლებში მოსკოვს დაუბეჭდნიათ „ანბანი“ იოსებ სამებელიისა, „პირველი სასწავლო ყრმათათვის“ და სხვა.

მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ტფილისში და ქუთაისს გიმნაზიები გაიხსნა — საჭირო შეიქმნა უფრო მეტი სახელმძღვანელო და მათი სისტემატიურად გამოცემა. გამოვიდა რამდენიმე „ანბანი“ (ხშირად ლოცვებითურთ), გრამატიკა (მაგალითად, სოლომონ დოდაშვილისა და სხვა). 1842-დან 1870 წლებამდე რამდენიმეჯერ გამოიცა პლატონ იოსელიანის „ქართული ანბანი“ და ჩანს, გავრცელებულიც იყო, რადგან თითქმის ათჯერ გამოვიდა. გავრცელებული იყო ივანე კერესელიძის „ანბანიც“, რომელიც რამდენიმეჯერ დაიბეჭდა. ვრცელდებოდა აგრეთვე „ანბანები“ დიმ. ფურცელაძისა, მდივანოვისა და სხვებისა.

მაგრამ პედაგოგიურ ლიტერატურას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა და მტკიცე ნიადაგზე დაემყარა იგი, როდესაც ამ ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოვიდა იაკობ გოგებაშვილი (1840 — 1912).

რამდენი თაობა აღზრდილა მის „დედაენასა“ და „ბუნების კარზე“! ვის არ მოაგონდება თავისი ყმაწვილობა, როდესაც „დედაენის“ წითელკანსა და „ბუნების კარის“ გარეკანის რემს გაიხსენებს! ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იაკობ გოგებაშვილის წიგნები იყო ერთადერთი სახელმძღვანელო, რომლებსაც თვითმპყრობელობის აგენტებიც კი პედაგოგიური მხრით წუნს ვერ სდებდნენ და იძულებულნი იყვნენ მათთვის ანგარიში გაეწიათ.

იაკობ გოგებაშვილმა პირველი თავისი სახელმძღვანელო — „ანბანი და პირველ საკითხავი წიგნი“ გამოსცა 1865 წელს, ხოლო „ბუნების კარი“ — 1863 წელს. პირველი წიგნი გამოიცა დაახლოებით 10-ჯერ, ხოლო „ბუნების კარი“ 1918 წლამდე დაიბეჭდა 27-ჯერ.

„დედა-ენა“ პირველად დაიბეჭდა 1876 წელს და 1925 წლამდე გამოვიდა 48 გამოცემად. გარდა ამ სახელმძღვანელოებისა ი. გოგებაშვილს კი-

„დედა-ენა“ ვ. დ. ქართველიშვილისა

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

დანიარტულებულა შესახებელი ააღაღა შესხილის არხეოლოგიურისა და
ისტორიელის ცნობებით

დ. შ. იპქიძის მიერ.

ნაწალი პირველად

ქველის საქართველოს მწიგანდო ქართის

ტფილისა

1885

ქართული და უცხოური კაპიტალი

ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ გარეკანი (დაპატარ.).

დევ ჰქონდა სხვა მრავალიც. მაგალითად: „კოკორი“ (დაიბეჭდა 15 გამოცემად), „ბკილო“ და სხვა, ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ი. გოგებაშვილის წიგნები თავისთავად ერთერთი უმბარათაგანი იყო,

რომელსაც სამოციანი წლების მოღვაწენი ძველი თაობის წარმომადგენელ-
თაგან აგებულ ციხე-სიმაგრეს ესროდენ. მან თითქმის მთლად მოათავსა

ქ. ბოჭორიძის ამხანაგობის გამოცემა № 22.

თხზულებანი

აკაკი

წერეთლის

II

ტფილისი

საბჭო წიგნ-გამ. ქარ. აზრ-ისაქტნიორ. Груз. Издат. Т-ства.
1893


აკ. წერეთლის თხზ. გარეკანი (დაპატარ.).

„ბუნების კარში“ ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, სწერდა ახალი
ორთოგრაფიით და სხვა. ამ მხრით ფრიად საინტერესოა „ბუნების კარის“
პირველი გამოცემის წინასიტყვაობა. მკითხველი, მგონი, არ დაგვემდუროს.

თუ ამ წინასიტყვაობიდან ერთ მოზრდილ ნაწყვეტს მოვიყვანთ. საქმე ისაა, რომ იგი ძალიან დამახასიათებელია მაშინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ვითარებისა.

„რა არის მიზეზი — ნათქვამია წინასიტყვაობაში, — რომ თქვენ წინ მდებარე წიგნმა ქვეყანა იხილა? მოთხოვნილება. ამგვარ წიგნში ყმაწვილობა საჭიროებს და მოპოებაცა სურთ. მაგრამ ეს მოთხოვნილება ძრიელი არ არის.

...ჩვენ ძველის მოყვარე პირებს ამ წიგნის ენა, რასაკვირველია, არ მოეწონებათ. ესენი სხვა ზომით აფასებენ ენის ღირსებასა: რამდენიც ენა ძველი და გაუგებარია, იმდენი უფრო დიდის მოწიწებით უყურებენ. სა-



ცინელი ისტარის, რომ ეს ახალი ენის მძულვარე პირები თვითონვე ცხოვრებაში ამ ენას გულარხეინათ ხმარობენ და ლაპარაკში მისი სმენა სრულიად არ ეჩითირებათ; მაგრამ ნახამენ თუ არა ამ ცოცხალ ენას წიგნში, მაშინვე თავზედ ცეცხლს გადაიყრიან: „წახნა, მოითხარა და დაილუპა ჩვენი ენა“, გაიძახიან ისინი ხშირათა. „უწინდელი კეთილშობილი ენის მაგივრათ, ახლა ტეტიური უბრალო ენა შემოიღეს, რომელიც მუშას და ფილოსოფოსს ერთი სიადვილით ესმით. მეტი ენის მოთხრა კიდევ გინდათ“. მაგრამ ვისიც გონება დახშული არ არის, იმას ამგვარი სჯასიცილათაც არ ეყოფა; ის ენის ღირსებას ამის სიცხადით და სიადვილით ზომავს. ამგვარი პირი ამ წიგნის ენაში სხვა ნაკლულევანებაებს მოსძებნის; ის ბლომად იპოვნის რუსიზმებს, შიგადაშიგ ლექსთა თხზულებაში შენიშნავს ურიგობასა, ერთსადიამე სიტყვის დაბოლოებაში განსხვავებას შეამჩნევს. ეს ნაკლულევანებანი ერთის მხრით წიგნის შედგენის სიჩქარით წარმოსდგნენ, მეორე მხრით ჩვენი ენის შეუმუშავლობით“ და სხვა.

საინტერესოა თვალი გავადევნოთ, თუ რა ტირაჟით იბეჭდებოდა „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ სხვადასხვა დროს. ამის შესახებ ჩვენ შემდეგნაირი ცნობები მოგვეპოება.

„დედა ენის“ ტირაჟი

გამოცემა	ტირაჟი	გამოცემის წელი
4	18.200	1882
5	20.000	1886
6	12.900	1888

გამოცემა	ტირაჟი	გამოცემის წელი
8	18.000	1892
9	12.000	1893
13	24.000	1894
14	18.000	1896
15	26.000	1898
16	24.000	1900
17	18.000	1902
18	18.000	1903
41	50.000	1918 (II ნაწ.)
42	50.000	1919
43	100.000	1920 (I ნაწ.)
44	10.000	1920 (II ნაწ.)
44	50.000	1922

„ბუნების კარის“ ტირაჟი


გამოცემა	ტირაჟი	გამოცემის წელი
4	5.030	1882
6	6.020	1888
7	5.000	1892
8	4.000	1894
11	6.000	1901
12	6.000	1902
27	20.000	1918

სულ „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში გამოვიდა — პირველი დაახლოებით ერთი მილიონი ცალი, ხოლო მეორე 169.000 ცალი.

გარდა ზემოხსენებული სახელმძღვანელოებისა XIX საუკუნის განმავლობაში (მეორე ნახევარი) ხმარებაში იყო შემდეგი ავტორების წიგნები: პროფ. ჩუბინაშვილისა (ქრესტომატია და სხვ.), მ. ჯანაშვილისა („საქისტორია“), დ. ბაქრაძისა („საქ. ისტორია“), დ. ყიფიანისა, თ. ყორღანისა, პ. კვიციანიძისა, არ. ქუთათელაძისა (გრამატიკები), ეპისკოპოს კირიონის და გრიგოლ ყიფშიძის „სიტყვიერების თეორია“ ქრესტომატიითურთ, ნასიძისა და სხვათა.

დასასრულ შევეხებით საბავშვო ჟურნალებსაც, რადგან მათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართველი ახალგაზრდობის გათვითცნობიერებისთვის. მრავალ ათეულ წელთა განმავლობაში ქართული საბავშვო ჟურნალი ერთადერთი საზრდო იყო ქართველი მოზარდი თაობისა, რადგან ქართული ენა სკოლიდან დევნილი იყო. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ჟურნალები ეწეოდნენ საბავშვო წიგნების ასეთუისე სისტემატიურ გამოცემლობას და ამით ჩვენს მწერლობას უდიდესი ღვაწლი დასდეს. ასეთი ჟურნალები იყო: „ნობათი“, „ჯეჯილი“ და „ნაკადული“.


„ნობათი“ — ყრმათათვის საკითხავი ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი, პედაგოგიური განყოფილების დამატებით მშობელთა და აღმზრდელთათვის, ანდრია ლულაძის რედაქტორობითა და გამომცემლობით — იყო ჟურნალი, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1884 წელს. მასში თანამშრომლობდნენ: რაფ. ერისთავი, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, გ. წერეთელი, ცახელი, ეკ. გაბაშვილი, წყალტუბოელი და სხვანი.



ჟურნალის გამოსვლას ჩვენი საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა. იაკობ გოგებაშვილმა „დროებაში“ ვრცელი რეცენზია უძღვნა მას. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გამართლდა ჩვენი გამოჩენილი პედაგოგის წინასწარმეტყველება: „შესაძლებელია ამჟამად ამგვარი ჟურნალი ჩვენში? — კითხულობდა ი. გოგებაშვილი. ბევრნი, ძალიან ბევრნი იჭვნეულობენ ამაში. ჩვენ არა ვართ თანამოაზრენი ამ იჭვნეულობისა. წინააღმდეგ ამისა, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გვარიანი საბავშვო ჟურნალის გამოცემა ჩვენში ბევრით უფრო ადვილია, ვიდრე სხვა რომელიმე პერიოდული გამოცემისა“... ჟურნალმა ვერ იხიერა და 1885 წელს მისი ბეჭდვა შეწყდა. იბეჭდებოდა 500 ცალად. სულ გამოვიდა 14 წიგნი, 7.900 ცალი.

უდიდესი როლი ითამაშა ქართველი მოზარდი თაობის ცხოვრებაში ჟურნალმა „ჯეჯილმა“, იგი 35 წლის განმავლობაში საუკეთესო საზრდოს აწვდიდა ქართველ ბავშვებს და მაშინდელი მოთხოვნილების სიმაღლეზე იდგა. მისი გამოცემა დაიწყო 1890 წელს. რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა (ბელეტრისტის გიორგი წერეთლის მეუღლე). ჟურნალში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: აკაკი, გ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, თ. რაზიკაშვილი, შიო მღვიმელი, თ. სახოკია, ალ. ჭიჭინაძე, პეტრე უმიკაშვილი, ეკ. გაბაშვილი, დუტუ მეგრელი, დ. თომაშვილი, ეკ. მესხი, იოს. გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი და თითქმის ყველა სხვა ქართველი მწერალი. პირველად „ჯეჯილი“ ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა, ხოლო შემდგომ თვეში ერთხელ მოზარდული ფორმატის წიგნად და შეიცავდა დაახლოებით ოთხ-ოთხ ფორმას, იყო დასურათებული და იბეჭდებოდა კარგა ხნის განმავლობაში 600 ცალად, ხოლო შემდგომ ტირაჟმა იმატა: „ჯეჯილი“ გამოდიოდა 1923 წლამდე.

მეორე საუკეთესო საბავშვო ჟურნალი იყო „ნაკადული“, რომელიც ამ სახელწოდებით გამოდიოდა 1904 წლიდან 1928 წლამდე. მისი პირველი რედაქტორი იყო მარია მ დემურია, ხოლო მისი გარდაცვა-



Handwritten text:
 ვინაა პირველი
 ნაკადული

ლების შემდეგ (1910 წ.) ნინო ნაკაშიძე, რომელიც ამჟამად მუშაობს საბავშვო ლიტერატურის დარგში (სახელგამში).

„ნაკადული“ გამოდიოდა ორ წიგნად — ერთი დანიშნული იყო მცირეწლოვანთათვის, ხოლო მეორე — მოზარდთათვის. ამ ჟურნალში მონაწილეობდენ თითქმის ყველა ის მგოსან-მწერლები, რომლებიც თანამშრომლობდენ „ჯეჯილში“, დაწყებული აკაკი წერეთლით და იროდ. ქვდოშვილით გათავებული. ახალგაზრდა მწერალთაგან აქ თანამშრომლობდენ: იოს.



გრიშაძევილი, ალ. შანშიაძევილი, ახოსპირელი, ცქვიტი, თურდოსპირელი, გ. ქუჩიშვილი და სხვანი. ძველებიდან აქ თანამშრომლობდენ: განდევილი, ბაჩანა, ვაჟა-ფშაველა, კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე და სხვანი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან „ნაკადული“ გამოდიოდა განათლების კომისარიატის ხარჯით, ხოლო შემდგომ იგი გადაკეთდა და ახლა გამოდის „ოქტომბრელის“ სახელწოდებით.

პერიოდული გამოსვები 1905 წლის რევოლუციამდე

ქართული პერიოდის ისტორია ფრიად დიდი, რთული და საინტერესო თემაა და ჩვენ აქ არც ვფიქრობთ ოდნავ მაინც ამოვწუროთ იგი. ეს საკითხი უეჭველად ცალკე და სერიოზულ გამოკვლევას მოითხოვს. მაგრამ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ჟურნალ-გაზეთები ჩვენში მრავალი მხრით წიგნის მაგივრობას ასრულებდნენ. მთელი ჩვენი საზოგადოებრივ-გონებრივი ცხოვრება სწორედ ამათში იხატებოდა. გაზეთებშია ცი მრავალი ისტორიული თუ სხვა რაიმე დარგის სამეცნიერო გამოკვლევები იბეჭდებოდა; მათშივე იბეჭდებოდა ბელეტრისტული ნაწარმოებები. ამიტომ წიგნის ისტორიის უფრო რელიეფურად წარმოსადგენად ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით ქართულ ჟურნალ-გაზეთების ისტორიასაც და მოვიყვანთ მხოლოდ უმთავრეს ცნობებს ჟურნალების დაარსების, რედაქტორ-გამომცემელთა, თანამშრომელთა და მიმართულების შესახებ.

პირველი ქართული გაზეთის გამოცემის ინიციატივა თვითმპყრობელობის აგენტებს ეკუთვნით. ეს არ იყო ნამდვილად გაზეთი იმ მნიშვნელობით, რანაირადაც ეს სიტყვა ახლა გვესმის. ეს იყო უბრალო კრებულო იმ განკარგულებათა, რომელთა საყოველთაოდ გაერცელება მთავრობისათვის საჭირო იყო; იბეჭდებოდა მასში აგრეთვე უცხოეთის ამბები; რასაკვირველია, ოფიციალური წყაროებიდან ამოღებული. ქართველობამ ჯერ-ჯერობით ისე ნაკლებად იცოდა რუსული ენა, რომ ქართული გაზეთით თუ გაეცნობოდა მთავრობის განკარგულება-ბრძანებებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ პირველი ქართული გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი თვითმპყრობელობის წარმომადგენლები იყვნენ. დამახასიათებელია ერთი წვრილმანი ამბავი, რომელსაც ე. ვეიდენბაუმი გადმოგვცემს. ხელისმომწერთა ნაკლებობის გამო საჭირო შეიქმნა საგანგებო ღონისძიებათა ხმარება: 1821 წ. ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი პოლიციეიმეტრს წინადადებას აძლევდა — „ყოველგვარი დახმარება გაუწიეთ გაზეთის მიღების მსურველთა გამრავლების საქმეს“. ვინმე პლეშჩევის წინადადებით ხელისმომწერთა აწარმოებდნენ უბნის ზედამხედველები (პოლიციელები); მიუხედავად ამისა ტფილისში 1822 წლის მარტის დამლევისთვის მათ მოუგროვებიათ მხოლოდ 57 მანეთი და 19 ხელისმომწერი¹⁾.

1) E. P. Вейденбаум. Кавказские этюды. ტფილისი. 1901 წ. ტ. I. გვ. 303.

ზემოხსენებული პირველი გაზეთი იყო „საქართველოს გაზეთი“.

„საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1819 წ. 8 მარტს. გაზეთი იყო ყოველდღიური და შეიცავდა საწერი ქალაქის ოთხ გვერდს. მისი გამომცემელი იყო კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბი. გაზეთი იწერებოდა რუსულად და შემდგომ ითარგმნებოდა ქართულად. მისი შინაარსისათვის შტაბი უშუალოდ პასუხს აგებდა გენერალ ერმოლოვის წინაშე, რომელიც მაშინ კავკასიის მმართველად იყო. არ არის ცნობა, თუ ვინ იყო ამ გაზეთის შემადგენელი, ან მთარგმნელი. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გაზეთი იყო რუსეთის თვითმპყრობელობის ოფიციალური ორგანო და დაახლოებით 500 ცალად იბეჭდებოდა. ერთადერთი ასე თუ ისე ორიგინალური და დამოუკიდებელი განყოფილება გაზეთისა — ეს იყო ნარევი.

„საქართველოს გაზეთი“ გამოდიოდა 1822 წლამდე. 1820 წლის მეორე ნახევრიდან გაზეთის სათაურთან ჩნდება თეთრი გიორგი და სახელიც იცვლება: მას უკვე „ქართული გაზეთი“ ჰქვია. ხელისმოწერის ფასი იყო სამი მანეთი, ხოლო გაგზავნისთვის დამატებით ერთი აბაზი.

აღსანიშნავია, რომ მთელ ა/კავკასიაში ადგილობრივ ენაზე „საქართველოს გაზეთი“ პირველი გამოცემა იყო. ისიც საყურადღებოა, რომ მაშინდელ რუსეთში გაზეთების რიცხვი ძალიან მცირე იყო. ე. ვეიდენბაუმის მოწმობით რუსეთის პროვინციებში მაშინ გამოდიოდა მხოლოდ სამი გაზეთი: ყაზანსა და ხარკოვში უნივერსიტეტის გაზეთები და ერთიც კერძო — ასტრახანში (ყველაფერი ეს, რასაკვირველია, პეტერბურგისა და მოსკოვის გარდა). ასე რომ „საქართველოს გაზეთი“ მაშინდელი რუსეთის იმპერიაში მეოთხე პროვინციული გაზეთი იყო.

„ტფილისის უწყებანი“ გამოდიოდა ყოველკვირეულად 1828 წლიდან. რედაქტორი. ცნობილი არ არის, მაგრამ ბეჭდვითი საქმის ტფ. კომიტეტის საქმე № 545-ში (1905 წ.) რედაქტორად მოხსენებულია სოლომონ დოდაშვილი. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ 1832 წელს ამ „ტფილისის უწყებანის“ დამატებად გამოდიოდა „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (ორ კვირაში ერთხელ), რომელსაც უმთავრესად სოლომონ დოდაშვილი ადგენდა.

სოლომონი იყო ფრიად განათლებული ადამიანი და დიდი ქართველი პატრიოტი. მან „სალიტერატურო ნაწილნი“ დაბეჭდა ფრიად საყურადღებო „ოსური მოთხრობა“, ფრიად გაბედული და იმ დროისთვის რევოლუციური. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო სოლომონ დოდაშვილი დაპატიმრებულ იქნა და გაზეთის გამოცემაც, ცხადია, შეჩერდა.

„კავკასიის მხარეთა უწყებანი“ ს. დოდაშვილის შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში შეწყდა კულტურული მუშაობა, ვინაიდან მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ძალები დაპატიმრებულ და შამშობლოდან განდევნილ იქნენ შეთქმულების აღმოჩენის გამო. მხოლოდ 1845 წლიდან პლატონ იოსელიანის რედაქტორობით გამოდის

ყოველკვირეული გაზეთი „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, როგორც „Закавказский Вестник“-ის დამატება. ეს იყო „საქართველოს გაზეთისთანა“ ოფიციალური ორგანო.

ცისკარი.

1864

ო კ ტ ო მ ბ ე რ ი.

წელიწადი შერვე.

წოდება თსსულებათა:

- I — განცხადება, 1865 წლის ცისკრის გამოცემისათჳს რედკ.
- II — მასკარადი (ლერმანტოვიტჳს. დრამა. —) დასასრული გრ წინამძღვაროვისა.
- III — 1. პასუხი გ. ბ. ჳ. (ლეჳსი) თ: აკ. წერეთელისა.
2. კედრება. (ლეჳსი.) მისივე.
- IV — მოქალაქე დაბად ღალას, ტერტერებზე (მდგრებზე) სურბანი გრ. წინამძღვაროვისა.
- V — ქრისტეჳთარე კოლეზბი. — გ. დიდგულისის.
— სხვა და სხვა ანბავი. (ისილე შოთარე გვერდზედ)

ჯფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

ჟურნ. „ცისკარის“ ვარუჳანი (დაბატარ.).

„ცისკარი“, ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი. ეს იყო ნამდვილად პირველი ქართული პერიოდული გამოცემა სოლომონ დოდაშვილის შემდეგ. იგი იყო ყოველთვიური, გამოდიოდა ასე თუ ისე რეგულარულად

და ჰქონდა ნამდვილად ჟურნალის სახე. მისი პირველი რედაქტორი იყო ცნობილი მწერალი გიორგი ერისთავი. იბეჭდებოდა ორი წლის განმავლობაში (1852 — 1854 წლამდე), სულ გამოვიდა 24 ნომერი. მაშინდელი მეფის ნაცვალის ვორონცოვი ჟურნალს სუბსიდიას აძლევდა.

გ. ერისთავის „ცისკრის“ თანამშრომელნი იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, ალ. ახვერდოვი, დ. ბაგრატიონი, სარდიონ აღუქსეივი, სვიმონ მაჩაბელი, გრიგოლ რჩეულიშვილი, ალ. სავანელი, ი. ერისთავი, ლუკა ისარლოვი, ერასტი თურქისტანოვი, დავით მაჩაბელი და სხვანი.

იგი იბეჭდებოდა გიორგი ერისთავისავე სტამბაში მე-7 ნომრიდან („საბეჭდავსა შინა თ. ერისთავისა“).

1854 წლიდან „ცისკარი“ შეჩერდა. იგი განახლდა ივანე კერესელიძის რედაქტორობით და გამოდიოდა 1857-დან 1875 წლამდე უწყვეტლივ. უნდა ითქვას, რომ ივ. კერესელიძემ შემოიკრიბა ჟურნალის გარშემო მაშინდელი ინტელიგენციის საუკეთესო ძალები და თითქმის არც ერთი გამოჩენილი ქართველი მწერალი არაა, იმ ხანებში რომ დაეწყოს მოღვაწეობა და „ცისკარს“ ასცდენოდეს. ჟურნალი გამოცოცხლდა, ის ბევრად უფრო მეტად იყო დაკავშირებული თავის დროის ცხოვრებასთან და შინაურ მიმოხილვებსაც კი ბეჭდავდა. მისი თანამშრომელნი იყვნენ: ალ. დავახტ. ორბელიანები, მიხ. თუმანიშვილი (მოლაყბე), ლ. არდაზიანი, ბერძენოვი, დიმ. ყიფიანი (ბაქარ ქართლელი), დიმიტრი ბაქრაძე, შემდგომ აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე და სხვანი.

„ცისკრის“ მიმართულება და მასთან ახალი თაობის ბრძოლა ყველასათვის ცნობილია და ჩვენ აქ მას არ შევხებით. ორიოდ სიტყვას ვიტყვით მხოლოდ მისი ტირაჟის შესახებ. შეკრებილი ცნობებით „ცისკარი“ გამოდიოდა:

1857 წელს	200	ცალად
1858 „	200	„
1859 „	150	„
1860 „	210	„
1861 „	235	„
1862 „	200	„
1863 „	203	„
1864 „	176	„
1865 „	184	„
1866 „	130	„

„ცისკარი“, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი ითამაშა, თანდათან ჩიავდებოდა და 1870 წელს იგი მხოლოდ ას (100) ცალად ვრცელდებოდა. სხვა დრო დადგა და უკვე სხვა ხალხი მოეწვინა ქართულ მწერლობას.

„საქართველოს მოამბე“ — ეს იყო ყოველთვიური ჟურნალი ევროპული ხასიათისა, რომელიც 1863 წელს გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის

საქართველოს

შოაშხე

1863

№ V მაისი

წელიწადი პირველი

ტფილისი

გაბრიელ მკლქუშიანის და ამავემ ენფიჯიანცის სტამბაჲ

ილრა ჭავჭავაძის შ. „საქ. მოამბის“ გარეკანი. (დაპატარავებულია).

რედაქციით. ამ ჟურნალის ირგვლივ იყო შემოკრებილი მაშინდელი ახალი თაობა — ეგრეთწოდებული. თერგდალეულები. ჟურნალი, სწამწუხაროდ, მხოლოდ ერთ წელიწადს გამოდიოდა და მერე დაიბურა.

„დროება“ (გაზეთი). ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბის“ დროს დაბადებული აზრი გაზეთის გამოცემისა. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1866 წლის 4 მარტს. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი

1866 წლის 1866

№ 1

სადაც იქნა

სადაც იქნა

სადაც იქნა

სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა

დროება

სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა
სადაც იქნა

საპოლიტიკო და სალიბერალურ გაზეთი

დროებას იქნა... (The text in this section is very faint and difficult to read, appearing to be a list of names or a detailed table of contents.)

ფეხვალი

ფეხვალი... (The text in this section is also very faint and difficult to read, appearing to be a list of names or a detailed table of contents.)

1866 წლის გაზეთ „დროების“ № 1

თელი, გამოცემული-თანამშრომელი ს. მელიქიშვილი, რომლის კალამსაც ეკუთვნის პირველი მეთაური წერილი, სადაც ვრცლად არის განმარტებული გაზეთის დანიშნულება საზოგადოდ და კერძოდ „დროების“

მიზანი: 1869 წლიდან „დროების“ რედაქტორობა ჩაჰბარდა სერგეი მესხის, რომელიც უძღვებოდა მას 1883 წლამდე. ს. მესხის სიკვდილის შემდეგ რედაქტორობდა ივანე მაჩაბელი (1883 წლიდან), ხოლო 1885 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით იგი სამუდამოდ დაიკეტა.

მთელი ოცი წლის განმავლობაში „დროება“ იყო ერთადერთი ორგანო, რომლის ირგვლივ თავს იყრიდა მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია. 1876 წელს გადიხადეს ათი წლის შინაურული იუბილე „დროების“ დაარსებიდან, რომელსაც დაესწრნენ: ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, სტ. მელიქიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ბ. ლოლობერიძე, გ. არწრუნი, აბგარ იოანესიანი, ჩიმიშვიანი და სხვანი, დაახლოებით 70 კაცი. სავსებით მართალი იყო გაზეთის რედაქტორი ს. მესხი, როდესაც ამ ათი წლისთავის გამო სწერდა:

„რაც რამე ნიჭიერი, მოძრავი და ცოცხალი იყო ჩვენს საზოგადოებაში, ყველაფერმა და ყველამ თავის კვალი დააჩნია ამ გაზეთში. ეს იყო თითქმის მთელი ჩვენი ლიტერატურის ერთადერთი წარმომადგენელი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა საზოგადოებასთან ბაასი; ეს იყო ერთადერთი ორგანო, რომლის საშუალებითაც მხოლოდ შეეძლო ეთქვა რამე ყველას, ვისაც ქვეყნისათვის რაიმე ჰქონდა სათქმელი, ვისაც თავის აზრების და რწმუნების გავრცელება და გაზიარება უნდოდა ჩვენში“¹⁾.

გაზეთის თანამშრომელნი იყვნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე („ივერიის“ დაარსებამდე, ე. ი. 1877 წლამდე), აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ჯორ. ლორთქიფანიძე, გ. დარხნიშვილი, ნ. ინაშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, პ. უმიკაშვილი, ივ. მაჩაბელი და სხვანი.

ცენზურა სასტიკად თვალყურს ადევნებდა და ავიწროებდა „დროებას“. როდესაც წიგნის საკონტროლო ორგანოებზე გეჭონდა ლაპარაკი, ჩვენ უკვე დავასახელებთ ის პირობები, რომლებიც ცენზორებმა „დროების“ გამომცემლებს წარუდგინეს და მკაცრად მოითხოვედნ მათ შესრულებას.

გაზეთის ტირაჟი იმ დროისათვის საკმაოდ დიდი იყო:

1866	400	ც.
1868	500	„
1869	240	„
1871	400	„
1874	650	„
1879	700	„
1885	800	„

„დროება“ გამოდიოდა 1866-დან 1875 წლამდე ყოველკვირეულად, 1875 — 1876 წ. კვირაში სამჯერ, ხოლო 1877-დან ყოველდღიურად.

1) ნაწერები სერგეი მესხისა. ტ. I. ს. ფირცხლავას გამოცემა, 1904 წ. გვ. 341 — 42.

ივერია

1883

№ XII, დეკემბერი

—

თბილისი.

აქეთიჲ სელაძის სტამბა.

1883

შურნ. „ივერიის“ გარეჯანი (დაბატარ.).

„ივერია“ — გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით 1877 წლიდან თავდაპირველად როგორც ყოველთვიური ჟურნალი. „ივერიამ“ იარსება თითქმის 33 წელიწადს. 1880 წლიდან უერთდება „დროე-

1886 წლის 1901

ბას“, გამოდის ი. ჭავჭავაძის და ს. მესხის რედაქტორობით წელიწადში ოთხჯერ. 1882 წლიდან ი. ჭავჭავაძის და ი. მაჩაბელის რედაქტორობით — თვეში ერთხელ. 1885 წლიდან „ივერია“ გამოდის ილიას რედაქტორობით ყოველდღიურ გზებით 1902 წლამდე. ამ წლიდან მის რედაქტორობას ეწევა ალ. სარაჯიშვილი, 1905 წლიდან კი მისი რედაქტორია — ფილიპე გოგიჩაიშვილი. მისი გამოცემა შეწყდა 1905 წელს. შემდეგ რამდენიმეჯერ განახლდა და ერთხელ გამოდიოდა გ. თუმანიშვილის რედაქტორობით (1908—1909 წწ.), რის შემდეგაც 1909 წელს შეწყდა საბოლოოდ.

„ივერია“ ლიბერალური მიმართულების გაზეთი იყო და კარგა ხნის განმავლობაში თავის ირგვლივ იკრებდა უპარტიო და ზომიერ ქართველ ინტელიგენციას.

ამ მხრით საყურადღებოა, რომ კავკ. საცენზურო კომიტეტი თითქმის სავსებით ზუსტად ახასიათებს „ივერიას“ თავის წლიურ მოხსენებაში. იგი ამბობს:

„ყოველდღიური სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი „ივერია“ ითვლება, მსგავსად „Новое Обозрение“-სი; ოპოზიციის ორგანოდ, თუმცა ამ უკანასკნელსავე, რაღაც უნდა დაუჯდეს, არ არის ყველაფერი რუსულის მგმობელი. ძალიან ძნელია ჩამოვყალიბოთ უკმაყოფილოთა იმ ჯგუფის მისწრაფებათა და საბოლოო მიზანთა რაობა, რომლის ორგანოსაც „ივერია“ წარმოადგენს. ცენზურისაგან დაკავებული წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გაზეთი მოითხოვს ქართულ ენას ეკლესიაში, კრებებზეო“ და სხვა¹⁾.

რასაკვირველია, „ივერია“ 1905 წელს ის არ ყოფილა, რაც 90-იან წლებში, მაგრამ საერთოდ მისი დამახასიათებელი ის იყო, რომ გამოხატავდა არასოციალისტური ინტელიგენციის განწყობილება-მისწრაფებას.

„სასოფლო გაზეთი“. გამოცემა დაიწყო 1868 წელს გიორგი წერეთლის რედაქტორობით. გ. წერეთელს განზრახვა ჰქონდა ამნაირივე გაზეთი გამოეცა სომხურად და თურქულადც, საამისო შუამდგომლობაც წარუდგინა სადაც ჯერ არს, მაგრამ საქმე ვერ მოგვარებულა. „სას. გაზეთი“ გამოდარდა ყოველკვირეულად და პირველ ხანებში იბეჭდებოდა 900 ცალამდე. 1874 წლიდან მისი რედაქტორობა დაეკისრა პ. უმიქაშვილს და ეს უკანასკნელი უძღვებოდა მას 1881 წლამდე.

„გუთნის დედა“ — ეს იყო „ცისკრის“ დამატებასავე. გამოდიოდა თვეში ორჯერ 1861 წლიდან 1876 წლამდე. თავდაპირველად მისი რედაქტორი იყო ივ. კერესელიძე, შემდგომ აგრონომი ს. სერებრიაკოვი და ანტონ ფურცელაძე (უკანასკნელი წლის განმავლობაში მას მარტო ა. ფურცელაძე რედაქტორობდა).

როგორც „სასოფლო გაზეთი“ ისე „გუთნის დედა“ სასოფლო-სამეურნეო შინაარსის გაზეთები იყო.

ივერია
წელიწადში ოთხჯერ
1882 წლიდან
ი. ჭავჭავაძის და
ი. მაჩაბელის
რედაქტორობით
— თვეში ერთხელ
1885 წლიდან
ილიას რედაქტორობით
ყოველდღიურ გზებით
1902 წლამდე
ამ წლიდან
მის რედაქტორობას
ეწევა ალ. სარაჯიშვილი
1905 წლიდან
კი მისი რედაქტორია
— ფილიპე გოგიჩაიშვილი
მისი გამოცემა
შეწყდა 1905 წელს
შემდეგ რამდენიმეჯერ
განახლდა და ერთხელ
გამოდიოდა
გ. თუმანიშვილის
რედაქტორობით
(1908—1909 წწ.)
რის შემდეგაც
1909 წელს შეწყდა
საბოლოოდ

1) ცენტრარქივი. Дело КИИ № 1351/8 — 1892 წ.

„მნათობი“ — ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა 1869—72 წწ.
ნიკო ავალიშვილის რედაქციით. უახლოესი მისი თანამშრომელი

მნათობი

1871

ი გ ლ ი ს ი

წელიწადი შესამე.

თბილისი.
დუბლინის (გ. წერეთლის და აბს.) სტამბა.
1871.

ჟურნ. „მნათობის“ გარეკანი (დაპატარ.).

იყენენ: ანტ. ფურცელაძე, აკ. წერეთელი, გ. წყალტუ-
ბოელი (გ. ი. იოსელიანის), მ. ჯანაშვილი, ვასილ პეტრია-

შვილი, ვასილ მაჩაბელი, სტ. გამრეკელი, დიმ. ბაქრაძე, ნიკო ლომაური და სხვანი. „მნათობი“ პროგრესული მიმართულებისა იყო. იბეჭდებოდა 300 — 400 ცალად.

„კრებული“. ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა გიორგი წერეთლის რედაქტორობით 1871 — 1873 წლებში. მასში თანამშრომლობდნენ: ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, აკაკი წერეთელი,



1871

მესხეთე წიგნი

თფილისი

დუბელირის (გ. წერეთლის დ. აშ.) სტამბა

1871

„კრებულის“ გარეკანი (ნატ. სიდიდისა).

დ. ერისთავი, ილია ჭავჭავაძე (იშვიათად), რ. ერისთავი, დ. ყაზბეგი და სხვანი. ჟურნალი რადიკალურად განწყობილი ინტელიგენციის ორგანო იყო. იბეჭდებოდა საშუალოდ 500 ცალად.

„იმედი“, ჟურნალი, გამოდიოდა მიხ. გურგენიძის რედაქტორობით 1881 — 83 წლებში. ეს იყო მაშინდელი „დიაკვნიშვილეთე“

იმედი

1881

წელიწადი პირველი

№ IX, სექტემბერი.

თბილისი:

ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელოქოვის ქუჩაზე.

1881

„იმედი“ გარეკანი (დაპატარ.).


ბის“ (როგორც აკაკიმ უწოდა) ანუ რაზნოხინცების ნაროდნიკული ორგანო. დაბალ ხალხში, რამდენადაც ჟურნალი მასში ვრცელდებოდა, დიდი გავლენა ჰქონდა. სულ დაარსებიდან შეწყვეტამდე გამოვიდა 27 წიგნი.

ჟურნალ „იმედის თანამშრომელნი იყვნენ: სტ. ჭრელაშვილი (ნაროდნიკი), ანტონ ფურცელაძე, მ. ჯანაშვილი, ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი), დ. ბაქრაძე, სოფრ. მგალობლიშვილი, გრიგ. ყიფშიძე, ლ. ასათიანი და სხვანი.

იბეჭდებოდა საშუალოდ 500 ცალი.

„შრომა“ — იყო შედარებით კარგად დაყენებული ყოველკვირეული გაზეთი. გამოდიოდა ქუთაისს დიმიტრი დადიანის რედაქტორობით 1881 — 83 წლებში. გამომცემელი იყო დიმიტრი ნახაროვი. ამ გაზეთში თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, დავ. კეზელი, გრიგ. ვოლსკი (უმწიფარიძე), ბოსლეველი და სხვანი.

იბეჭდებოდა საშუალოდ 500 ცალად.



„ქართული ბიბლიოთეკა“ — ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა ქუთაისში 1883 — 1884 წლებში ეკატერინე ლორთქიფანიძის რედაქტორობით. იბეჭდებოდა 400 ცალად. სულ გამოვიდა 13 ნომერი. ცენზორი ლ. ისარლოვი ძალიან აბრკოლებდა მის მასალებს. იბეჭდებოდა უმთავრესად თარგმანები.

„თეატრი“ — ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდიოდა 1885 — 1890 წლებში ჯერ ცნობილი მსახიობის ვასო აბაშიძის რედაქტორობით, შემდგომ ალ. ნებიერიძისა, ხოლო ბოლო ხანებში შ. დავითაშვილის ხელმძღვანელობით. მასში თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, გ. წყალტუბოელი, სომელელი (რომანოზ ფანცხავა), დუტუ მეგრელი და მასშივე დაიბეჭდა ეგნატე ნინოშვილის პირველი მოთხრობა. იბეჭდებოდა საშუალოდ 200 ცალად.

„მეურნე“ — გამოდიოდა ყოველკვირეულად 1887 — 1888 წლებში საშუალოდ 200 ცალად.

„მწყემსი“ — ორკვირეული სასულიერო ჟურნალი, რომელსაც ზესტაფონში ბეჭდავდა 1883 წლიდან სიკვდილამდე (1918) დეკანოზი დავით დამბაშიძე. გამოდიოდა 900 ცალად.

„ქვალი“ — ყოველკვირეული ჟურნალი, რომელმაც მუშათა მოძრაობის და სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ქადაგებაში თავის დროზე დიდი როლი ითამაშა. თავდაპირველად იგი გამოდიოდა (1893 წლიდან).



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ბაზემი. ბაგოსი უიველ კიჩა ლმა.

№ 23

მაისი 28 1895 წ.

№ 23

„კვალის“ თავფურცელი (დაბატარაგ).

როგორც საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ დამატება. როგორც ჟურნალის, ისე „კვალის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუშანიშვილ-წერეთლისა.

„კვალის“ გარშემო ნელნელა თავი მოიყარეს იმ ჯგუფის წევრებმა, რომელსაც გ. წერეთლის წერილის შემდეგ (1894 წ.) „მესამე დასი“

მთაბე

თ უ რ ნ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი პირველი

№ VI

ივნისი, 1894

ტფილისი

საქართველოს პრესის კავშირის განყოფილება

1894

„მთაბის“ გარეკანი (დაბატარ.)

უწოდ. 1898
მარკსისტული

წელს ჟურნალი მთლად ამ ჯგუფის ხელში გადავიდა და მოძღვრების მქადაგებელი შეიქნა. მისი თანამშრომელნი

იყვნენ: ნ. ჟორდანიას, ფ. მახარაძე, ე. ნინოშვილი, ს. ჯიბლაძე, კ. ჩხეიძე, პ. გელეიშვილი, ის. რამიშვილი, ს. დევდარიანი, მიხა ცხაკაია და სხვანი.

ჟურნალი იბეჭდებოდა 1000 ცალად. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით იგი სამუდამოდ დაიხურა 1904 წელს, როგორც რევოლუციური ორგანო.

ბ ა კ ა კ ი ს

თ ვ ი უ რ ი

პ რ მ ე შ ე ლ ი

წელიწადი მეორე

№ V

ს პ რ ა ლ ი, 1899

ბ ა კ ა კ ი ს
 ლამაზიძის სტამბა * Типография Гамбашидзе
 1899

„ბაკაკის კრებულის“ გარეკანი (დაპატარა).

„მოამბე“ — ყოველთვიური დიდტანიანი ჟურნალი. დაარსდა 1893 წელს ალ. ჭყონიას რედაქტორობით. პირველი მისი გამომცემელი იყო ნ. ლოლობერიძე, შემდგომ კი — ალ. ჯაბადარი. გამოდიოდა რეგულარულად 1905 წლამდე. მასში თანამშრომლობდა არამარქსისტული

1894
 4681

ინტელიგენცია: ნ. ნიკოლაძე, ფ. გოგიაიშვილი, ა. ნანეიშვილი, ი. ხონელი, გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), ვაჟა-ფშაველა, კიტა აბაშიძე, შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი, ს. მგალობლიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ჭ. ლომთათიძე, არჩ. ჯორჯაძე, ა. ფრონელი, გრ. შრეშვიძე და მრავალნი სხვანი.

იბეჭდებოდა 1000 ცალად, ხოლო 1903 — 1904 წლებში — 2300 ცალად.

„კრებულ ბ“ აკაკისა. ყოველთვიური ჟურნალი. (1897-1900 წ.) გამოდიოდა ჯერ ტფილისში, 1898 წლიდან ქუთაისში. იბეჭდებოდა 800 ცალად.

„მოგზაური“ — ყოველთვიური სალიტერატურო და სამეურნეო ჟურნალი, რომელიც დაარსდა 1901 წელს და გამოდიოდა ივანე როსტომაშვილის რედაქტორობით. „კვალი“ რომ დიკეტა, მისი თანამშრომლები თანდათან გადავიდნენ „მოგზაურში“, ხოლო 1905 წელს ის გამოდიოდა ფილიპე მახარაძის ფაქტიური რედაქტორობით და ითვლებოდა ბოლშევიკების ორგანოდ.

იბეჭდებოდა 1200 — 1500 ცალად.

„ცნობის ფურცელი“ დაარსა ვ. გუნიამ 1896 წელს და პირველად გამოდიოდა მისი რედაქტორობით. 1901 წლიდან ხდება ჟურნალ „მომხმისა“ და „ცნობის ფურცლის“ გაერთიანება. ოფიციალურ რედაქტორებად ითვლებიან ჯერ ალ. ჭყონია, ხოლო მერე ალ. ჯაბა

№ 206
პარსკევი, 26 სექტემბერი, 1898 წ.

რედაქტორი
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი

გაზეთის დასაბამად
დაკრეფილთა დაბეჭდვა
ქვეყნის მთლიანად და მთლიანად
წილის მფლობელებს
გაზეთის რედაქციის
გაზეთის რედაქციის
გაზეთის რედაქციის

1877—1898

№ 206
პარსკევი, 26 სექტემბერი, 1898 წ.

12	10	5	5	50	
11	8	75	4	4	35
10	8	75	3	3	50
9	7	50	2	2	75
8	5	50	1	1	50

კვლევის რედაქციის
გაზეთის რედაქციის

№ 1158
თბილისი, 1900 წ.

ცნობის ფურცელი

№ 1158
თბილისი, 1900 წ.

გაზეთის რედაქციის
გაზეთის რედაქციის

დარი. გაზეთი ნელნელა ხდება იმ ჯგუფის ორგანო, რომელმაც შემდგომ სოციალისტ ფედერალისტთა პარტია დაარსა. მასში თანამშრომლობდნენ: არჩილ ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), კ. აბაშიძე, გრ. რცხილაძე, ვლ. ლორთქიფანიძე, შ. ჩიტაძე, სამს. ფირცხალავა, გ. გველესიანი, ი. აღლაძე, იას. ბაქრაძე, ფ. გოგიაიშვილი და მრავალნი სხვანი. გაზეთს ბოლო ხანებში ჰქონდა სურათებიანი დამატება (კვირაში ორჯერ — ხუთშაბათობით და კვირაობით), რომელშიაც იბეჭდებოდა მხატვრული ლიტერატურა, თარგმნილი და ორიგინალური, სხვადასხვა სურათები და პოლიტიკური კარიკატურები.

„ცნობის ფურცელი“ იბეჭდებოდა:

1899	წ.	1.400	ცალად
1901	„	1.655	„
1902	„	2.400	„
1903	„	2.500	„
1904	„	5.000	„
1905/6	„	14.000	„

„ცნობის ფურცელი“ დაიკეტა 1906 წელს ტფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით იმ აწიოკების ამბების გამოქვეყნებისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა გამარჯვებული რეაქციის მხრით საქართველოს სხვადასხვა (განსაკუთრებით კი დასავლეთ) კუთხეებში.

ქურნალ-გაზეთები 1905-დან 1917 წლამდე

1905 წლის რევოლუციიდან ჩვენში პოლიტიკური პარტიები ასე თუ ისე უკვე სავსებით ჩამოყალიბდნენ. ამიტომ გაზეთები ყოველთვის რომელი-სამე პარტიის ორგანოს წარმოადგენდნენ. რედაქტორებად გაზეთებს ხელსაწერდნენ ისეთი პირნი, რომელთაც უმეტეს წილად თითქმის არავითარი კავშირი არა ჰქონდათ მწერლობასთან, მაგრამ პარტიას თანაუგრძნობდნენ და მთავრობის წინაშე ოფიციალურად ისინი იყვნენ პასუხისმგებელნი. რედაქციის შემადგენლობა და თანამშრომელნი ათეულ წელთა განმავლობაში თითქმის უცვლელი რჩებოდა, ხოლო რედაქტორები ხშირად იცვლებოდნენ. თვითმპყრობელობა დაჰკეტავდა, მაგალითად, რომელიმე გაზეთ „სხივის“. მესამე დღეს გამოვიდოდა „ახალი სხივი“, — როგორც ვითომდა ახალი გაზეთი. როდესაც ამასაც დახურავდა მთავრობა—გამოვიდოდა „ჩვენის სხივი“ და ასე დაუსრულებლივ ყოველ რედაქციას უეჭველად ჰქონდა მარავად გაზეთის გამოცემის ნებართვა და ფიქტიური რედაქტორი. ამიტომ მომავალში ჩვენ ცალკე აღარ ვილაპარაკებთ თითოეულ გაზეთის თანამშრომელ-რედაქტორებზე, არამედ ჩამოვთვლით მართო სახელწოდებებს, რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევს ხელთქონებული მასალა.

საქმე ისაა, რომ ზოგიერთი გაზეთი ორი-სამი ნომერი თუ გამოვიდოდა და მთავრობა მას ხურავდა. ამიტომ გარეგნად ისე ჩანს, თითქოს ჩვენში მრავალი გაზეთი გამოსულიყოს. ჩვენ ამ გაზეთებს დავყოფთ ორ ნაწილად: პარტიული და უპარტიო გაზეთები.

სოციალ-დემოკრატიული ქურნალ-გაზეთები

1905 — 1906 წ.

- | | |
|-------------|---|
| 1. სხივი | 7. განთიადი |
| 2. ელვა | 8. ხმა |
| 3. სიმართლე | 9. წინ |
| 4. ლამპარი | 10. ზარი |
| 5. ტალღა | 11. სოციალ დემოკრატიული ფურცელი (გამოდიოდა ქუთაისში). |
| 6. გრიგალი | |

1907—8 წლები

- | | |
|-----------------|-----------------------|
| 1. წყარო | 6. ცისარტყელა |
| 2. ჩვენი გზა | 7. ჩვენი ცხოვრება |
| 3. ლახვარი | 8. საყვირი |
| 4. დილა | 9. შიკრიკი (ბათომი) |
| 5. ჩვენი სიტყვა | 10. ცისკარი (ქუთაისი) |

1908—1909 წ.

- | | |
|--------------------|-------------------|
| 1. შურდული | 9. ხომლი |
| 2. ჩვენი აზრი | 10. ალი |
| 3. ახალი სხივი | 11. ქვეყანა |
| 4. დასაწყისი | 12. ჩვენი ქვეყანა |
| 5. მერცხალი | 13. ჩვენი კვალი |
| 6. ეკალი | 14. იმედი |
| 7. ცხოვრების სარკე | 15. შუქი |
| 8. ნაპერწკალი | |

1910—12 წ.

- | | |
|----------------|--------------------|
| 1. საქმე | 6. ბათომის გაზეთი |
| 2. ახალი საქმე | 7. ცხოვრება |
| 3. ახალი აზრი | 8. ჩვენი ცხოვრება |
| 4. დილა | 9. დროშა |
| 5. ხალხი | 10. ბათომის მოამბე |

1913—1914 წ.

- | | |
|-------------------------------|--|
| 1. თანამედროვე ქვეყანა (ქუთ.) | 9. შადრევანი (ავტონომისტ
ს. დ.-ბის ორგანო). |
| 2. სიმართლის ხმა (ქუთ.) | 10. ჩვენი სხივი |
| 3. აზრი (ქუთ.) | 11. ბათომის გაზეთი |
| 4. ახალი აზრი (ქუთ.) | 12. ახალი კვალი (ქუთ.) |
| 5. ჩვენი აზრი (ქუთ.) | 13. სუსხი |
| 6. მერცხალი (ქუთ.) | 14. ჩანგი |
| 7. ფიქრი (ქუთ.) | |
| 8. თანამედროვე აზრი | |

1905—1918 წწ. გამოდიოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჟურნალები (მენშევიკებისა ან გაერთიანებული):

„რიქრაჟი“ (თვეური — 1907 წ.); ეშმაკის და თაგუნას „ეშმაკის მათრახი“ (სხვადასხვა და ოდნავ შეცვლილი სახელით გამოდიოდა — იუმორისტული ჟურნალი იყო).

რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) გაზეთები (1907—1913 წწ.): „მნათობი“ — 1907 წ.; „დრო“ — 1907 წ.; „ახალი ცხოვრება“ — 1906 წ.; „ახალი დროება“ (პროფკავშირული) — 1907 წ.; „მოგზაური“ — 1905 წ. მე-2 ნომრიდან; „წყარო“ (ბაქო) — ჟურნ. ფ. შახარაძის რედაქტორობით (1912 — 1913 წ.).

1917 წლიდან ქართულად გამოდიოდა შემდეგი ბოლშევიკური გაზეთები და ჟურნალები: „ბრძოლა“ — მეუმრავლესობის გაზეთი (1917 წ.); „ჩვენი ბრძოლა“ — ქუთაისი (1918 წ.); „მესამე ინტერნაციონალი“, „სპარტაკის“ კომიტეტის ორგანო — ქუთაისი (1917 წ.); „ახალგაზრდა კომუნისტი“ („მე-3 ინტერნაც.“ გაგრძელება), ქუთაისი (1918 წ.); „მუშათა ბიულეტენი“; „მუშის სიმართლე“ — ბათუმი (1918 წ.). ჩვენ აქ არ ვეხებით მერმინდელი პერიოდის (ჩვენ დრომდე) ბოლშევიკურ პრესას, რადგან ეს ცალკე დიდი თემაა და ჩვენი წიგნის ფარგლებს სცილდება.

სოციალ-დემოკრატიული (ორივე ფრაქციისა) გაზეთების ტირაჟი იყო საშუალოდ 4000 ცალი.

სხვადასხვა პარტიათა ორგანოები

სოციალისტ-ფედერალისტებისა: 1905 — 1906 წ.: „ცნობის ფურცელი“, შემდგომ — „შრომა“, „მეგობარი“. 1907 წ. — „ისარი“, „ამირანი“ (1908 წ.), „დროება“ (1910 წლის მაისამდე). 1910 წ. მაისიდან — „სახალხო გაზეთი“ (1915 წლამდე), 1915 წლიდან — 1917 წლამდე — „სახალხო ფურცელი“, ხოლო 1917 წლიდან „სახალხო საქმე“. 1915 წლიდან გამოდიოდა სოც.-ფედერალისტთა მუშათა ჯგუფის ყოველკვირეული ორგანო — „ზვირთი“.

ამ გაზეთების საშუალო ტირაჟი იყო 3000 — 3500 ცალი. ქუთაისში გამოდიოდა სოც.-ფედერალისტთა გაზეთები: „ფარი“, „კოლხიდა“, „იმერეთი“, „მეგობარი“, „ერი“, „ჩვენი ერი“, „ჩვენი მეგობარი“ (ერთიერთმანეთის გაგრძელება). სოციალ-დემოკრატთა ავტონომისტებმა ორგანო გამოსცეს 1909 წელს — ყოველკვირეული ჟურნალი „ალიონი“; 1914 წელს მათივე გაზეთი — „შადრევანი“ იბეჭდებოდა 2000 ცალად.

ქუთაისში 1912 — 1914 წ. გამოდიოდა ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერების ყოველკვირეული გაზეთი „შრომა“. ნაციონალ-დემოკრატებისა: ყოველკვირეული ჟურნალი „ერი“, „ჩვენი ერი“, „ქართველი ერი“ — პეტრე სურგულაძის რედაქტორობით (1908 — 1910 წ.); ჟურნალი „კლდე“

(1912 — 1914); გაზეთები: „ქართლი“ — გორში (1912 — 13 წ.), „ხმაკახეთისა“ (სიღნაღი — 1913 — 14 წ.) და „საქართველო“ — 1914 — 1917 წლები. ქუთაისში — „სამშობლო“.

ანარქისტების ორგანოები: 1905 — 6 წ. — „მუშა“, 1907 წ. „ცის ნაში“ — გაზეთები; 1906 წ. — „ნობათი“ — ყოველკვირეული ჟურნალი.

სხვადასხვა ხასიათის და სპეციალური ჟურნალები: 1906 — 1907 წლები: „ჯვარი ვაჭისა“, „სიტყვა“, „გლეხი“, „ნიშადური“, „მიწა“, „სინათლე“.

1908 — 1917 წ. „შინაური საქმეები“, „მწყემსი“, „ფასკუნჯი“, „მზე“, „საქართველო“ (კვირაში ორჯერ გამოდიოდა), „მოსავალი“, „ახალშენი“, „ქართული სამკურნალო ფურცელი“, „სავაჭრო გზა“, „სალამური“, „ქავკასიელი ესპერანტისტი“, „კოოპერაცია“ (ქუთაისი), „სასოფლო გაზეთი“, „ოქროს ვერძი“ (ქუთაისი), „ნიამორები“ (ქუთაისი), „თეატრი და ცხოვრება“ და პედაგოგიური ჟურნალი — „განათლება“.

გარდა ამისა გ. დიასამიძის რედაქტორობით გამოდიოდა ყოველკვირეული სალიტერატურო და პოლიტიკური გაზეთი „თემი“ (1910 — 1914 წ.) და გ. თუმანიშვილის „ივერია“ (1908 — 1909 წ.). პოეტი იოსებ გრიშაშვილი გამოსცემდა სალიტერატურო ალმანახს, სახელწოდებით — „ლეილა“.

არალეგალური გამოცემანი

ცენზურისგან სულმეხუთული თავისუფალი სიტყვა არალეგალურ პირობებში შლიდა ფრთებს. რევოლუციურ პარტიებს, განსაკუთრებით რ. ს.-დ. მუშათა პარტიას, ყოველთვის ჰქონდა საკუთარი სტამბა ფურცლებისა და ჟურნალების გამოსაცემად. სტამბები არსებობდა საზღვარგარეთ ქენევაშიც, აგრეთვე პარიზს, სადაც იბეჭდებოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჟურნალი „საქართველო“. არალეგალური სტამბების და ლიტერატურის ისტორია — ეს ცალკე საკითხია და აქ მას ვერ შევხებით. აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმ წიგნაკების სიას, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოცემულია არალეგალურად ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში ჩვენ ვსარგებლობთ იმ კოლექციით, რომელიც საქართველოს რევოლუციურ მუზეუმში მოიპოება. იქ არის სულ 47 სახელწოდების არალეგალური წიგნაკი. ცხადია, ეს კოლექცია სრული არ არის. უნდა ითქვას კი, რომ არალეგალურად წიგნები იშვიათად იბეჭდებოდა და ზემოხსენებულ ციფრს გამოცემული წიგნაკები არც თუ ბევრად უნდა აღემატებოდეს. არალეგალურად უმთავრესად ჟურნალები და ფურცლები იბეჭდებოდა. ზემოხსენებული გამოცემები იმდენად საყურადღებოა, რომ ჩვენ ვათავსებთ ამ წიგნაკების სიას.

არალეგალურად გამოცემული წიგნები
(თვითმპყრობელობის დროს)

სახელწოდება.	სტამბა	ადგილი	ზომა და გვერდების რაოდენობა	ვისი გამოცემა	თარიღი
1. სიცრუის გაფიცვა— გადმოკეთებული ვერ- მიცანოვის მიერ.	ი. ვ. ვერ- იბოენისა	პეტერბურგი	4×6 22	—	1899 წ.
2. მუშათა პარტიების სა- ერთაშორისო კონგრესი პარიჟში (1900—23/28 ოქტ.)	სტ. ივანო- ვისა	პეტერბ.	—	—	1900 "
3. სიტყვა ფეიქრის (მქსო- ველი) პეტრე ა. ალფ- ქსევისა.	რ. ს.-დ. მ. პ.	—	8	—	1902 "
4. ლ ი ბ კ ე ხ ტ ი. ობო- ბა და ტუხი	—	—	8	—	1902 "
5. როგორ ზრუნავს მინი- სტრი მუშებისათვის (ნებადართულია ფი- ნანსთა მინისტრის ვი- ტესაგან)	სტამბა უწმი- ნდესის სინო- დისა	პეტერბურგი	4×6 16	—	1902 "
6. რუსეთის პოლიტიკური წყობილება და მუშები	სტ. სოციალ- დემოკრატიე- ბისა	—	4×6 32	—	1902 "
7. პირველი მაისობა, მე-2 გამოცემა	სტ. „ბრძო- ლისა“	ჟენევა	16	—	1903 "
8. რუსეთის ძველი რევო- ლუციონერი, მათი მო- ღვაწეობა და მათი ან- დერძი	სტ. კავკ. სოც.-დემ. კავშირისა	ჟენევა	40	რ. ს.-დ. მ. პ.	1903 "
9. სალდათობა	სტ. „ბრძო- ლისა“	ჟენევა	30	—	1903 "
10. ანბანი მუშათათვის	—	—	72	რ. ს.-დ. მ. პ.	"
11. ვინ არიან ს.-დ. და რა უნდათ მათ?	კავკ. სოც.-დ. მუშ. კავში- რისა	ჟენევა	16	—	1903 "
12. კავკ. მუშათა ს.-დემ. ორგანიზაციის კავში- რის პროგრამის პრო- ექტი	—	ჟენევა	16	—	1903 "

სახელწოდება	სტამბა	ადგილი	ზომა და გვერდების რაოდენობა	ვისი გამოცემაა	თარიღი
13. ლადო კეცხოველი, მისი ცხოვრება და რევოლუციონური მოღვაწეობა	რ. ს.-დ. მ. პ. კავკ. მ. კავშ.	—	32	—	1903 წ.
14. ლ. მ ა რ ტ ო ვ ი. პროლეტართა დღესასწაული (მაისობა)	ცენტრ. კ-სა	—	16	—	1904 წ. (?)
15. ოთხი ძმა—მე-2 გამოც.	სტ. „ბრძოლისა“	ჟენევა	76	—	1903 წ.
16. იგივე—მე-3 გამ.	კავკ. კავშ.	—	72	—	1905 „
17. მელა-კუდა მქადაგებელი და სიმართლე	პეტ. კომ.	—	16	რ. ს.-დ. მ. პ. მუშ. კავშ.	1903 „
18. ლ. მ ა რ ტ ო ვ ი. მუშათა საქმე რუსეთში.	ცენტრ. კ-სა	—	82	რ. ს.-დ. მ. პ.	1904 „
19. მუშათა რევოლუცია	სტ. სოციალ-დემოკრატებისა	—	40	—	1904 წ. (?)
20. პასუხი კავშირის კომიტეტს	ტფ. კომიტეტისა	ტფ.	16	ტფ. კ-ტრ	1904 წ.
21. საფრანგეთის რევოლუცია (1789)	ცენტრ. კ.	ტფ.	72	კავკ. კავშ.	1904 „
22. სამუშაო დღე	—	—	46	—	1904 წ. (?)
23. სიტყვები ნიჟეგოროლის მუშებისა, თქმული სასამართლოს წინაშე	სტ. „ბრძოლისა“	ჟენევა	16	—	1903 წ.
24. სოფლის მუშათა მიმართ.	—	—	76	კავკ. კავშ.	1904 „
25. ტრედუნიონიზმი და სოციალიზმი.	—	ჟენევა	16	კავკ. კავშ კ-ტი	1903 „
26. უწყება მეორე მორიგ კრებაზე რ. ს.-დ. მ. პ.	ცენტრ. კ-სა	—	40	რ. ს.-დ. მ. პ. ც. კ.	1904 „
27. ანბანი მუშათათვის	კავკ. კავშ. სტამბა	—	48	კავკ. კავშ.	1904 „
28. მოწოდება გლეხებს	ც. კ-სა	—	16	რ. ს.-დ. მ. პ.	1904 „
29. გლეხთა მოძრაობა გურიისში	კავშ. სტამბა	—	56	კავკ. კავშ.	1904 „

სახელწოდება	სტამბა	ადგილი	ზომა და გვერდების რაოდენობა	ვისი გამოცემა	თარიღი
30. ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციისა	ქურ. „საქართველოსი“	პარიზი	258	ქ. „საქართველო“	1904 წ.
31. დამფუძნებელი კრება	—	ჟენევა	52	—	1905 „
32. მანიფესტი კომუნისტური პარტიისა	ტფილ. კ-სა	—	64	„სოც.-დემ.“	1905 „
33. რევოლუციონური დიქტატურა პროლეტარიატის და გლეხკაცობისა	კავშ. კავშ.	—	16	რ. ს.-დ. მ. პ.	1905 „
34. მუშა ხალხს	სოც.-ფედ.	—	16	საქ. სოც.-ფედერ. სარევ. პარტია	1905 „
35. გაკვრით პარტიულ უთანხმოებებზე	კავკ. კ-რისა	—	46	კავკ. კავშ. კ-ტი	1905 „
36. ცნობა მესამე კრებაზე რუს, ს.-დ.მ. პარტიისა	კავკ. კავშირისა	—	36	ცენტრ. კ-ტი	1905 „
37. წერილები ძმასთან—თარგმ. ამხანაგისა	„შრომა“	ტფილ.	64	გადილია	1905 წ. (?)
38. ცნობა უმცირესობა-უმრავლესობის საერთო-რუსეთო კონფერენციისაზე	კავკ. კავშირისა	—	16	კავკ. კავშ. კ-სა	1906 „
39. პროფესიონალური კავშირები	„შრომა“	ტფ.	40	გადილია	1906 „
40. მუშის სიტყვა მსაჯულების წინაშე—თარგმ. ა. ლომთაძისისა	„შრომა“	ტფ.	16	გადილია	1906 „
41. ორი შეჯახება (9 იანვარი)	კავკ. კ-სა	—	16	კავკ. კ-სა	1906 „
42. რა უნდათ გლეხებს—გურულ-მეგრელისა	—	ქუთაისი	8	სოციალისტ-რევოლუციონელებისა	1906 „
43. სოციალისტ-ფედერ. სარევ. პარტიის პროგრამის მეორე პროექტი (ხელნაწერის უფლებით)	ტფ. კ-სა	ტფილისი	124	—	1907 „
44. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის პროგრამის პირველი პროექტი	ტფ. კ-სა	ტფილისი	56	ტფ. კ-სა	1907 „

სახელწოდება	სტამბა	ადგილი	ზომა და გვერდების რაოდენობა	ვისი გამოცემაა	თარიღი
45. რა უნდათ სოციალისტებს—ზაკოს გადმოკეთებული.	—	ტფილისი	8	—	1907 წ.
46. დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის შემადგომი. სიეხდი.	—	—	53	„პროლეტარიატისა“ №1.	1908
47. ჩვენი პროგრამა	—	—	44	სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიისა	1908

მკითხველთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ გამოცემული ბროშურების უმეტესობის ფორმატი, სადაც ეს აღნიშნული არ არის, უდრის 5×8. სტამბა და დაბეჭდვის ადგილიც ხშირად სწორად არ არის აღნიშნული, რაც სავსებით გასაგებია. მაგალითად, რამდენსამე ბროშურას აწერია — ჟენევა, თუმცა ყველაფრით ჩანს, რომ ადგილობრივ არის დაბეჭდილი; ერთ ბროშურას აწერია — „პეტერბურგი — სტამბა ი. ვ. ვერ იპოვნისა“ და სხვა. ის ბროშურებიც, რომლებსაც პეტერბურგი აწერია, ტფილისში უნდა იყოს დაბეჭდილი. ამას მოწმობს ის ხუმრობაც, რომელიც ზოგს წიგნაკს ახლავს. მაგალითად: „პეტერბურგი — სტამბა უწმინდესის სინოდისა“, „ნებადართულია ფინანსთა მინისტრის ვიტესაგან“ და სხვა მისთანანი.

1917 წლის რევოლუციის დასაწყისიდან 1933 წლამდე

1917 წლის რევოლუციამ ქართულ ენას სკოლის კარი გაუღო და ქართული წიგნიც განვითარების ნორმალურ კალაპოტში უნდა ჩამდგარიყო. მაგრამ პირველ წლებში, ალტყინების ხანაში — წიგნი ოდნავ უკანა რიგში დადგა და პირველი ადგილი ბუნებრივად გაზეიმა დაიჭირა. მოვლენათა ცვლა ისეთი სწრაფი იყო, რომ ჰეინეს თქმისა არ იყოს, ყოველ დეკემბერში მზის სხივები იყო გახვეული და გასაგებია, რომ ხალხს მაშინ წიგნის კითხვისთვის ნაკლებად სცალოდა.

როდესაც დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოყალიბდა და სკოლების გაეროვნება დაიწყო — ქართულმა წიგნმაც ოდნავ აიწია, მაგრამ 1916 წლის პროდუქციას მხოლოდ 1919 წელს გაუსწორდა.

ჩვენ ამ ხანას, 1917 — 1933 წლამდე ორ პერიოდად გავყოფთ: 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დრო (1917 — 1920 წ.) და 2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პერიოდი, როდესაც წიგნის საქმემ კერძო პირთა საქმიანობის ხასიათი დაჰკარგა და მის მესვეურად სახელმწიფო გამომცემლობის სახით თვით საბჭოთა ხელისუფლება გამოდის.

ციფრობრივი მასალა, რომელიც გვაქვს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანის წიგნის პროდუქციის შესახებ, სრული არაა. მაშინ არ არსებობდა ისეთი ორგანო, რომელიც ამ საქმისათვის იზრუნებდა, ხოლო როგორც საერთო წესი, თითონ წიგნებზე ტირაჟი ძალიან იშვიათად იყო აღნიშნული. ამიტომ ჩვენი გამოანგარიშება დაახლოებითი იქნება და ემყარება იმ ცნობებს, რომელიც საქართველოს წიგნის პალატას მოეპოვება. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ წიგნის პალატის სიაში ყველა წიგნი არაა აღნიშნული, მაგრამ დანაკლისი, ჩვენი აზრით, არც ისე მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ საერთო სურათზე რაიმე გავლენა მოახდინოს. ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები არც ამ ხანის წიგნთა ფორმების და ფურცლადობის შესახებ. ტირაჟი კი გამოანგარიშებულია თეორიულად, იმ ცნობების მიხედვით, რომელიც წ. კ. საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობის შესახებ მოგვეპოვება.

საქმე ისაა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დღევანდელი სახელგამის როლს ასრუ-

ლებდა და მისი პროდუქცია თამამად შეგვიძლია მაშინდელი დროის ქართული წიგნის მთელი პროდუქციის მესამედად მივიჩნიოთ. ამის შემდეგ კი გამოანგარიშება ადვილდება.

წიგნის პროდუქცია დამოკრ. რესპუბლიკის დროს

ეს პერიოდი ოთხ წელიწადს (1917 — 1920) შეიცავს. ამ ხნის განმავლობაში სულ გამოსულა 595 წიგნი, რომელთა დაახლოებითი ტირაჟი უდრიდა 2.270.000 ცალს. წლების მიხედვით ეს პროდუქცია ასე ნაწილდებოდა:

	სახელწოდ.	ტირაჟი
1917	98	306.000
1918	91	402.000
1919	140	408.000
1920	266	1.155.000
სულ	595	2.271.000 ც.

სოციალური დანიშნულების მიხედვით წიგნები ასე ნაწილდებოდა:

წიგნების სოციალური დანიშნულება	წ ლ ე ბ ი			
	1917	1918	1919	1920
სამეცნიერო შინაარსისა	5	6	6	29
პოლიტ.-ეკონომ. და სააგიტაციო ლიტერ.	16	11	17	35
სახელმძღვანელოები	14	27	29	81
ოფიციალური დოკუმენტები და ნარევი	15	29	33	31
სამეცნიერო-პოპულარული	3	—	7	17
მხატვრული ლიტერატურა	38	11	47	64
საბავშვო	7	7	1	9
სულ	98	91	140	266

წელიწადში იმხანად იბეჭდებოდა დაახლოებით 150 წიგნი — 560.000 ცალად. წიგნის გამომცემლობას ეწეოდენ, გარდა წ. კ. საზოგადოებისა, „მერანისა“, „ნორჩი საქართველოსი“ და სხვათა — წიგნის მალაზიები, ავტორები და კერძო პირები, რომელთაც, რასაკვირველია, მიზნათ ჰქონდათ მოგების მიღება. განსაკუთრებით ბევრი წიგნი იბეჭდებოდა ქუთაისს, უმთავრესად კი სახელმძღვანელოები, რადგან იქაური ქართველი მასწავლებლობა ამ მხრით უფრო მომზადებული აღმოჩნდა აღმოსავლელზე. კერძო გამომცემელნი სიიაფეს და მოგებას მისდევდენ და წიგნის გარეგნობას არაფრითარ ყურადღებას არ აქცევდენ. ამ ხანის წიგნების დიდი

უმრავლესობა დაბეჭდილია ძალიან მდარე ქალაქებზე (ქალაქის დიდი ნაქლებობაც იყო ამის მიზეზი), უხეიროდ ან სრულიად არ არის შეკინძული დასურათებული და მხატვრული გამოცემები იშვიათია.

ქართული წიგნი საბჭოთა ხელისუფლების დროს

საბჭოთა ხელისუფლებამ წიგნის გამომცემლობას თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია, როგორც იდეოლოგიური ფრონტის ერთერთ თვალსაჩინო უბანს. წიგნის საქმეს, როგორც კულტურული განვითარების უდიდეს იარაღს, სავსებით სახელმწიფო დაეპატრონა და თავისი გეზი და მიმართულება მისცა. პირველ ხანებში კერძო გამომცემელნიც ბევრნი იყვნენ, უწყებრივი გამომცემლობაც ძალიან გაიზარდა. მაგრამ ნელნელა ხდებოდა ამ საქმის კონცენტრაცია და ქართული წიგნის უმთავრეს ფაბრიკად ბოლოს სახელგამი გადიქცა. მძლავრად იმატა სკოლათა რიცხვმა. კულტურულ მუშაობაში ჩაებნენ ისეთი ფართო ფენები, რომელთათვისაც წინათ წიგნი უცხო ხილი იყო. მუშთაკები, წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები, პროფსკოლები, პარტსკოლები და სხვა მსგავსი საკულტურო დაწესებულებანი — ეს ისეთი ახალი მოვლენებია, რომელთაც წინათ ადგილი არ ჰქონია და რომელთაც გაუგონრად მასობრივი ხასიათი აქვთ. უზარმაზრად გაიზარდა პოლიტიკურ-სააკტიციო ლიტერატურის ხვედრითი წონა, რადგან სოცმშენებლობის ახალი ამოცანები, საბჭოთა ხელისუფლების მიზნები, გეგმები და პოლიტიკა ხალხის ფართო მასებში პოპულარიზაციას მოითხოვდა. წიგნის გამოცემის საქმე აღარ შეიძლებოდა ისევე ანარქიული ხასიათის ყოფილიყო, როგორც იგი არის კაპიტალისტურ ქვეყნებში. წიგნთითქოს უშუალო პრაქტიკული დანიშნულება მიეცა. ამიტომ იყო, რომ გამომცემლობამ მიიღო ორგანიზებული და გეგმიანი ხასიათი, შეთანხმებულ-შეხამებული საბჭოთა ქვეყნის საკულტურო აღმშენებლობასა და მეურნეობის განვითარების ტემპებთან.

ძალიან გაიზარდა წიგნის საშუალო ტირაჟიც. თუ წინათ იგი დაახლოებით 2000 ცალს უდრიდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ ციფრმა 3000 — 4000 მიაღწია. დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე წიგნის გავრცელების საქმეს. გარდა მრავალი მალაზიისა, წიგნი ვრცელდებოდა ადგილობების, სხვადასხვა პარტ-მასობრივი და პროფკავშირული ორგანიზაციების მეშვეობით და დახმარებით.

პოლიგრაფიული საქმის კონცენტრაცია მოხდა და მას უძღვებოდა პოლიგრაფტრესტი. ამან საშუალება მისცა ხელისუფლებას პოლიგრაფიული ბაზა გაეძლიერებინა, შეეძინა ახალი დიდი მანქანები, როტაციონები და სხვა, რასაც წინათ კერძო მესტამბე ვერ ახერხებდა. სტამბის მუშათა ახალი კატეგორიის მოსამზადებლად დაარსებულ იქნა პოლიგრაფსკოლა და სხვა. ყველაფერმა ამან წიგნის საქმე ისეთ მკვიდრ ნიადაგზე დააყენა, რომ ამ თორმეტი წლის განმავლობაში ქართული წიგნის პროდუქციამ გადააჭარბა და აღემატება არა თუ წინა ცალკე ეპოქათა, არამედ მთელი სამასი წლის პროდუქციას.

უნდა ითქვას კი, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, როდესაც ჩვენი ცხოვრების ახალ საფუძვლებზე გარდაქმნა ხდებოდა, როდესაც უშუალო პოლიტიკური ამოცანებისთვის მუშაობა ყველაფერს სჭარბობდა — წიგნის პროდუქციამ თითქოს იკლო. მაგრამ შემდგომ ხანებში წიგნის საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და სწრაფად იწყო განვითარება.

მაგრამ ვიდრე საერთო პროდუქციას შევეხებოდეთ, გავეცნოთ იმ ცალკე ორგანიზაციებს, რომელნიც ამჟამად წიგნის მესვეურობას ეწევიან — უწინარეს ყოვლისა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას.

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი

სახელმწიფო გამომცემლობა დაარსდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების რამდენსამე თვის შემდეგ — 1921 წლის მაისში. 1922 წლის აგვისტოს იგი გადაყავთ სამეურნეო ანგარიშზე და აქვს თავისი დებულება, რომლის მიხედვითაც იგი მოქმედებს. მიუხედავად ამისა, მისი საქმიანობა



ვერ არის მტკიცე ნიადაგზე დაყრდნობილი და გამომცემლობასაც უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს. ამ დროს სახელგამის სტრუქტურა ასეთია: ორგანიზაციას მეთაურობს გამგე და ერთი მისი თანაშემწე. დასაბეჭდ წიგნებს განიხილავს სარედაქციო კოლეგია, რომელიც ცხრა წევრისაგან შედგება. არის ცალკე სავაჭრო განყოფილება, რომელიც განაგებს წიგნის ვაჭრობის წერტებს, მუსიკალურ მალაზიას, საკანცელარიო ნივთების ვაჭრობას და საერთოდ საფინანსო საქმეებს. არის აგრეთვე ბუხვალტერია და კანცელარია.

სარედაქციო კოლეგია იხილავს ყველა დასაბეჭდ წიგნს იდეურ-პოლიტიკურად და შინაარსობრივად.

1926 წელს ხდება სახელგამის ორგანიზაცია და მისი მოქმედება უფრო გარკვეული და მტკიცე კალაპოტით მიიმართება. ამ დროს, 1926 წლის 10 ივლისს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს სახელგამის დებულებას, რომლის ერთერთ მუხლში ვკითხულობთ: სახელგამის მიზანია „მეცნიერებისა, პოლიტიკისა, ხელოვნებისა და სხვადასხვა დარგის ყოველგვარი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოების, სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა და გავრცელება“.

ამ დებულებით სახელგამი, როგორაც ძველად, ისე ახლაც განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში შედის და მის ქვემდებარე დაწესებულებად ითვლება. მიუხედავად ამისა, იგი დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ითვლება და მინიჭებული აქვს ყველა ის უფლება, რაიც ამ მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

